ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

cfvif,fsb7 @$ bdkbcb7 @)!@

1174 (5864)

afcb5 #) stshb

4 ივლისიდან
ვფ[ფკბ სფჯ,ფ4+
კბ რეფყ ბე
"ცბყუფგეჰბც ბცნჯჰბფ„
* კფჰბ




# გია ცაგარეიშვილი: სანამ უფლებამოსილება არ შემიწყდება, პარლამენტიდან არ გავალ!"

დეპუტატი პარლამენტის აპარატს კონსტიტუციის დარღვევაში ადანაშაულებს



გვ. 3

## ლევან ბეჟაშვილმა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობა დატოვა

გვ. 2





## გამატარეთ, მინისტრი ვარ!"

გვ. 3

გოგა ხაჩიძე ივანიშვილის დაცვის წევრებმა გააკავეს



## მერაბიშვილმა ჟურნალისტებს გადაადგილება შეუზღუდა

გვ. 7

## სოსო შატბერაშვილი: სააკაშვილმა პარლამენტის შენობა ივანიშვილის ბიზნეს-პარტნიორს მიჰყიდა"

გვ. 4

## ნუკრი ქანთარია: პოლიცია გრძნობს, რომ ხელისუფლების დღეები დათვლილია"

გვ. 2



ბოკერია საეჭვოდაა გაჩუმებული



## ნუგზარ წიკლაური: კახეთში მომხდარ უბედურებაზე პოლიტიკური დივიდენდების მოპოვების შესაძლებლობა არავის მიეცემა!"

გვ. 4

4 ივლისიდან
ვფ[ფკბ სფჯ,ფ4+
ვფპბბც ბცნჯჰბფ
!) კფჰბ




ISSN 1987-9385

5 ილია II: სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას არ უნდა შეეშინდეს"

4 სანდრო ბრეგაძე: ბიზნესმენები ნახევარ მილიონს იხდიან, ოღონდ ნაციონალებმა მაჟორიტარებად არ დაასახელონ"

5 მაია ფანჯიკიძე: ქართულ ოცნებასა" და ჯონდი ბაღათურიას შორის მოლაპარაკებები ჯერ არ დასრულებულა"

6 ეროვნული გამოცდების შედეგების გამოქვეყნება დაიწყო

# ნუკრი ქანთარია: პოლიცია გრძნობს, რომ ხელისუფლების დღეები დათვლილია“

შორენა კოწოწაშვილი

**ინტერვიუ ნუკრი ქანთარიასთან**

## ბოკერია საექვოდაა გაჩუმებული



***— ბატონო ნუკრი, როგორ შეაფასებდით ვანო მერაბიშვილის გაპრემიერების შემდგომ შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას და რა იკვეთება ამ ეტაპისთვის ხელისუფლების ნაბიჯებში?***

— პოლიტიკური ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შედის, ნაციონალებსა და ამ ხელისუფლებას ძალიან უნდოდათ ეს კულმინაცია გადმოეტანათ ივლის-აგვისტოში. მაქსიმალურად ეცადნენ პროვოკაციების მეშვეობით, დაყადაღებებით, ბიძინა ივანიშვილი წონასწორობიდან გამოეყვანათ და მერე თავისუფლად ჩაეტარებინათ არჩევნები. ახლა მიდის ბრძოლა და აშკარაა, რომ ჩვენ უპირატესობაში ვართ. მოვიარე იმერეთის სოფლების, გურიის და მცხეთა-მთიანეთის სოფლები, ბოლოს გორის რაიონის სოფლებში ვიყავი და ძალიან კარგად ვიცი, რა განწყობაა ხალხში. ფაქტია, ჩვენ უმრავლესობაში ვართ და მთავარია, ტემპი არ მოვადუნოთ. როდესაც მთელი საქართველო მართლაც ერთ მუშტად შეიკვრება, გამარჯვება ჩვენ მხარეს იქნება.

***— იმაზე მიანიშნებთ, რომ უკვე ამ ეტაპისთვის საზოგადოების დიდმა ნაწილმა სააკაშვილს და მის მმართველ პარტიას უთხრა ,,არა“?***

— დარწმუნებული ვარ, ასეა. ამაში დავრწმუნდი მოსახლეობასთან შეხვედრებისას. მართალია, არის ხალხი, რომელიც ამბობს, რომ შეჩვეული ჭირი ურჩევნია, მეორე ნაწილი ამბობს, არც ერთი მაინტერესებს, არც მეორე, ჩემი ცხოვრება არ შეიცვლება, რა უბედურიც ვიყავი, ასეთი დავრჩები. არის ხალხი, მიშაზე ფანატიკურად შეყვარებული და დიდი ნაწილი არის, ვისაც უნდა ხელისუფლების შეცვლა და ჭირივით ეზიზღება ეს ხელისუფლება. ადგილებზე გვეუბნებოდნენ, რომ ვერ გამოდიან ოპოზიციასთან შეხვედრებზე, რადგან მათი ახლობელი, ოჯახის წევრი მუშაობს გამგეობაში, სკოლაში და ა.შ. ხალხს ეშინია, რომ მოუხსნიან სოციალურ დახმარებას. თუმცა, ნამდვილად იმატა იმ ხალხის რიცხვმა, რომელიც გამოდის და ღიად ამბობს, რომ ამაზე მეტი რაღა უნდა მიყოს ხელისუფლებამ, თქვენს გვერდით ვართ. ეს ხელისუფლება ბევრს ეზიზღება.

***— ადგილობრივ ხელისუფლებას უჭირს, რომ უპატაკოს ხელისუფლებას, რომ ადგილებზე ხმების უმრავლესობას აიღებენ?***

— სადაც ,,ქართულმა ოცნებამ“ აქციები ჩაატარა, იქ მდგომარეობა რადიკალურად არის შეცვლილი, ჩვენ ამ რეგიონებში — იმერეთი, გურია, მცხეთა-მთიანეთი, ვართ უმრავლესობაში და ამ მდგომარეობის უფრო გაღრმავება გვინდა. უამრავი ხაფანგი დაგვიგო ხელისუფლებამ. იგივე მერაბიშვილის პრემიერად გადაყვანაც ამაზეა გათვლილი. ეს საკადრო ცვლილება, ერთი მხრივ, იმაზე მიანიშნებს, რომ პოლიცია პირდაპირ სააკაშვილს დაექვემდებარება. ყველამ იცის, რომ სისასტიკით გამორჩეული ბაჩო ახალაია, რომელიც შს მინისტრად დაინიშნა, პირდაპირ ემორჩილება სააკაშვილს. მერაბიშვილს მართლა ჰქონდა უწყების შიგნით ავორიტეტი. სააკაშვილს უნდა, რომ ახლა ეს ავტორიტეტი უფრო განავრცოს, ანუ ამ მანევრით მას ორი კურდღლის დაჭერა უნდა. ერთი მხრივ, პოლიცია ბოლომდე დაიქვემდებაროს, მეორე მხრივ, მერაბიშვილის გავლენა და მისი ავტორიტეტი განავრცოს.

***— მერაბიშვილის გავლენა იკლებს. მან უკვე გააკეთა განცხადება პოლიციელების მისამართით, თანამდებობებს ნუ დატოვებთ, სისტემა არ „ჩამოშალოთო“. ისე მოუვა ხელისუფლებას, როგორც ანდაზაშია: ,,,ორი კურდღლის მადევარი, ვერც ერთს ვერ დაიჭერსო?“***

— მერაბიშვილმა მხარდამჭერები დაკარგა. ყველაფერი ბუნებრივად მიდის. მან მუშაობა ისეთ ფლანგზე დაიწყო, რომელიც მისთვის უცხოა და მისი საქციელი ზოგჯერ პაროდიასაც იწვევს. რაც შეეხება ხელისუფლების დაპირებებს, ოთხზე გაამრავლეს ის, რაც ბიძინა ივანიშვილმა რეალურად შესთავაზა მოსახლეობას. ხელისუფლების წარმომადგენლებმა თუთიყუშივით დაიწყეს გამეორება, რომ ჩვენ 4 მლრდ-ს ჩავდებთ სოფლის მეურნეობაშიო. ამით უნდათ აჭრან კარტი. რასაც ივანიშვილი ჰპირდება, ახლა ესენი იმეორებენ ჩვენ გავაკეთებთ ამასო. ივანიშვილმა თქვა, მე ადრეც მინდოდა სოფლის მეურნეობაში მილიარდის ჩადება და ესენი არ დამეთანხმნენო. არავითარი საფუძველი არა გვაქვს, რომ არ დავუჯერო ამ ადამიანს. აშკარაა, რომ მას ქვეყნის ინტერესები ამოძრავებს. რასაც ვუყურებ, ის პროცესში შესულია და ძალიან წარმატებულად მიდის, ისე, რომ უკან არ იხედება. ძალიან კარგად იმუშავა ხალხზე, რომ ივანიშვილმა გააკეთა განცხადება საყოველთაო დაზღვევის შესახებ. სოფლებში ხალხი გვეუბნებოდა: დიაგნოზის გაგებისაც კი გვეშინია, რადგან მერე მკურნალობას იმხელა თანხები უნდა, ჯობია, ექიმთან საერთოდ არ მივიდეთო. ივანიშვილმა პირობა დადო და ეს ძალიან მოკლე პერიოდში შესრულებადია: სასამართლო დამოუკიდებლობა და მედიის თავისუფლება. ხელისუფლება პოლიტიზებულ სასამართლოზე არაფერს ამბობს, მხოლოდ სოფლის მეურნეობას ,,აწვებიან“. ახლა გაზის ფულსაც გადაურიცხავენ სოფლებს, კომუნალურ გადასახადებსაც ჩამოაწერენ, ვალებს, მაგრამ ამ ხალხმა უნდა იცოდეს, რომ ეს ისევ მათი გადასახდელია. ერთი მხრივ, ხელისუფლება ფოჩიანი კანფეტების დარიგებაზეა გადასული, მეორე მხრივ, პოლიციას და რეპრესიულ მანქანას აძლიერებს. ჯერჯერობით, როგორც ჩანს, სააკაშვილს ეს გეზი აქვს აღებული და დათმობას არ აპირებს.

***— ხელისუფლების დაპირებები, ან იგივე ვალების ჩამოწერა ამომრჩეველზე ვეღარ იმუშავებს და ნაციონალები ამით ხმებს ვეღარ მოიპოვებენ?***

— ხალხმა უკვე ბევრჯერ მოისმინა ამ ხელისუფლების დაპირებები და ამ დაპირებების ფონზე ნახა ძალიან გაზრდილი გადასახადები. ახლა ათასლარიან ვაუჩერებს დაპირდნენ ოთხი წლის მანძილზე ოჯახს. ეს თვეში 20 ლარია. არა მგონია, ხალხმა ეს დაპირებები კიდევ ,,ჭამოს“. ძალიან ბევრ სოფელში ვიყავი და ხალხი გამწარებულია.

***— ხალხის ეს გამწარება არჩევნების დღეს ამოხეთქავს ოპოზიციის სასარგებლოდ?***

— თუ ოდნავ შეგვრჩა გონიერება, ეს უნდა მოხდეს, ეს უნდა გადავიტანოთ ხმებში. არის ფაქტები, როცა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები იბარებენ იმ ადამიანებს და მათ ახლობლებს, ვინ ოპოზიციას უჭერს მხარს. ასეთ ფაქტებს კოალიციის წევრებთან შეხვედრებზეც ჰქონდა ადგილი, თუმცა, არა იმ დოზით, რადგან უცხოელი დამკვირვებლებიც დაგვყვებოდნენ. ეს ფაქტორი სიტუაციას ცოტა ანელებდა. რაც გურიაში ვნახეთ, მსგავსი არ მინახავს, ნამდვილად არ ველოდით ამ რაოდენობას. კარალეთში, მაგალითად, რაც მოხდა, ყველამ ვიცით და ისეთი ადამიანები აიყვანეს მეორე დღეს, რომლებსაც ხელი არ გაუნძრევიათ. იმის მიუხედავად, რომ სამხილები არაფერი ჰქონდათ, მაინც 15 დღიანი პატიმრობა შეუფარდეს. ბრძანება იყო გაცემული — შეაჩერეთ გორი. ანუ გორში უნდა გაჩერებულიყო კოალიციის ტრიუმფალური სვლა, მრავალათასიანი აქცია. ხელისუფლების გეგმებში იყო ხალხი ერთმანეთს დარეოდა, აქცია ჩაშლილიყო, უნდოდა ამით ხალხს სურვილი დაკარგვოდა აქციებზე გამოსვლის, მაგრამ ამას ვერ მიაღწიეს. ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ გორში 1300 ადამიანი გამოვიდა აქციაზეო, მაგრამ რეალურად 20 000-ზე მეტი გამოვიდა.

***— ბაჩო ახალაიას მხრიდან პოლიციის მაღალჩინოსანთა დათხოვნა შეფასდა, როგორც მერაბიშვილისთვის გუნდის შიგნიდან ცეცხლის გახსნა. სერიოზული დაპირისპირებაა ხელისუფლებაში?***

— ალბათ, წესით უნდა იყოს, ეს განწყობა ჩანს, რომ პოლიცია უკმაყოფილოა ახალაიას მინისტრობით. წამოვიდა კიდევ ხალხი პოლიციის რიგებიდან. ბუნებრივია, მუშაობს კოალიციის მხრიდან გაგზავნილი მესიჯები, რომ პროფესიონალები უპრობლემოდ გააგრძელებენ მუშაობას პოლიციის რიგებში, რომ პოლიცია გათავისუფლდება და პოლიტიზებული აღარ იქნება და მიხედავს თავის საქმეს. პოლიციელები ფიქრობენ, რატომ წავიდეთ ასეთ სისასტიკეზე, ჯობია დროებით სამსახური დავტოვოთ. აქციებზე დავაფიქსირე, რომ პოლიციელებიც სიამოვნებით უსმენდნენ ბიძინა ივანიშვილს, რომლებიც მანქანებით მოშორებით იდგნენ.

***— ანუ პოლიცია გრძნობს, რომ ხელისუფლების დღეები დათვლილია?***

— რა თქმა უნდა, გრძნობს, რომ ამათი საქმე ცუდად მიდის. პოლიციელებიც სიმართლის მხარეს დადგებიან.

***— ივანიშვილისა და მერაბიშვილის გადაძახილებზე რას იტყვით? პრემიერ-მინისტრი აცხადებს, რომ ის პოლიტიკოს ივანიშვილს არ იცნობს, ანუ კოალიციის ლიდერს პოლიტიკოსად არ აღიარებს.***

— სხვათა შორის, მერაბიშვილმა ძალიან თავშეკავებული განცხადება გააკეთა ივანიშვილთან მიმართებაში. თქვა, რომ ის პოლიტიკოს ივანიშვილს არ იცნობს. მას შეეძლო ეთქვა ივანიშვილზე, რუსული პროექტია და ა.შ., როგორც მისი თანაგუნდელები აცხადებენ, მაგრამ ამაზე ვერ წავიდა. მერაბიშვილი ნიკა რურუაზე ვაჟკაცურად მოიქცა, რომელმაც უმადურება გამოავლინა და განაცხადა: რაც ივანიშვილმა გააკეთა, უხარისხოაო. მერაბიშვილი ცდილობს, რაღაც კუნძული დაიტოვოს, ყველა ხიდი არ დაწვას, რადგან ხელისუფლების გარკვეული წარმომადგენლები მოხვდებიან პასუხისგებაში, ვისაც დანაშაული აქვს ჩადენილი, მას ბუნებრივია, პასუხისგება მოუწევს.

***— ანუ კოალიციის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სააკაშვილის ხელისუფლება გასამართლდება?***

— დარწმუნებული ვარ და ამაში პრინციპული ვიქნები, რომ სასამართლომ გადაწყვიტოს თითოეულის ბედი. ვისაც რაღაცა წაართვეს, მას უფლება ექნება იჩივლოს და სამართალს მიაღწიოს. იმ საქმეებზე შეძლებენ ადამიანები სარჩელის შეტანას, ვინც ფიქრობს, რომ მათ მიმართ უსამართლო განაჩენი დადგა. ამ ხელისუფლების წარმომადგენლებიც მოხვდებიან დამნაშავის სკამზე, რადგან ბევრი დანაშაული აქვთ ჩადენილი არამხოლოდ პოლიტიკური ნიშნით. ანუ მიმაჩნია, რომ დაზარალებულებს უნდა მიეცეთ უფლება, საკუთარი უფლებების აღდგენის და არავითარი რეპრესიული მანქანა არ უნდა არსებობდეს. მე პოლიტიკური წმენდის წინააღმდეგი ვარ.

***— პოლიტიკოსების ნაწილი მიიჩნევს, რომ სააკაშვილს უნდა სამოქალაქო დაპირისპირება, რომ დევნილი ხელისუფლების სახელით სხვა ქვეყანაში მოითხოვოს პოლიტიკური თავშესაფარი..***

— რატომღაც მეეჭვება, რომ ასეთ ნაბიჯზე წავიდეს. არა მგონია, ვინმემ შეიფაროს სააკაშვილი, ის უარეს დღეში ჩავარდება, მართლა დევნილის სტატუსით რომ იყოს. თუმცა, როგორ იმოქმედებს, ძნელი გასათვლელია. ერთი ცხადია, სააკაშვილი უკვე წარსულია. ქართველი ხალხისთვის არის ცუდი სიზმარი.

***— ვანო მერაბიშვილი სააკაშვილის მემკვიდრეა?***

— მეეჭვება. მერაბიშვილი დროებით არის მოყვანილი პრემიერის პოსტზე. მეეჭვება, რომ სააკაშვილი მერაბიშვილს ბოლომდე ენდობოდეს. სააკაშვილს მერაბიშვილი ამ პერიოდში სჭირდება, მერე მოისვრის.

***— ბოკერიას და „თავისუფლების ინსტიტუტის“ ლიდერების დროებით მიყუჩებას რითი ახსნიდით?***

— ეგენი საეჭვოდ მიყუჩდნენ, ალბათ ემზადებიან რაღაც ნაბიჯებისთვის. მათი დროებითი სიჩუმე იმით აიხსნება.

# ლევან ბეჟაშვილმა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობა დატოვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ყოფილმა ხელმძღვანელმა ლევან ბეჟაშვილმა თანამდებობა დატოვა. განცხადება ამის შესახებ მან გუშინ გააკეთა.

ბეჟაშვილის განმარტებით, აღნიშნული გადაწყვეტილების მიზეზი სტიქიის შედეგად დაზარალებული კახეთის რეგიონის დახმარების სურვილია, რაც მის თანამდებობასთან შეუთავსებელი იყო.



„დღეს მიმაჩნია, რომ ჩემი შინაგანი ვალდებულებაა, გვერდით დავუდგე და დავეხმარო ჩემს კახელებს სტიქიის შედეგად მიღებული ზარალის დაძლევაში და ხელშესახები დახმარება აღმოვუჩინო მათ, თუმცა, ეს შეუთავსებელია ჩემს თანამდებობასთან, ამიტომ მივიღე გადაწყვეტილება დავტოვო იგი და ჩემი მომავალი საქმიანობა დავუკავშირო ხალხზე ზრუნვას“-განაცხადა მან.

გავრცელებული ინფორმაციით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ბეჟაშვილს კახეთის ერთ-ერთ რაიონში მაჟორიტარ კანდიდატად წარადგენს.

**ნიუსპრესი**

# დეპუტატი პეტრე მამრაძე მწვანეთა პარტიაში“ გაწევრიანდა

საქართველოს პარლამენტის ოპოზიციონერი დეპუტატი, ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ წევრი პეტრე მამრაძე „საქართველოს მწვანეთა პარტიაში“ გაწევრიანდა. ამის შესახებ განცხადება გუშინ „მწვანეთა პარტიამ“ გაავრცელა.



პარტიის ინფორმაციით, მამრაძე მათ რიგებს საკუთარი განცხადების საფუძველზე შეუერთდა.

პარტია იმედს გამოთქვამს, რომ პეტრე მამრაძის პარლამენტსა და მთავრობაში მრავალწლიანი მუშაობის გამოცდილება „მწვანეთა პარტიის“ მუშაობაზე პოზიტიურად აისახება.

**ნიუსპრესი**

ახალი თაობა
www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# გამატარეთ, მინისტრი ვარ!“

## გოგა ხაჩიძე ივანიშვილის დაცვის წევრებმა გააკავეს

თეა მარხვაიძე

**გარემოს დაცვის მინისტრის საგვარეულო აშკარად ბიოლოგიურად ვერ იტანს ბიძინა ივანიშვილს. ჯერ იყო და მინისტრის ოჯახობა გამოეკიდა მეოცნებეებს ჩუმათელეთში, მერე თავად მინისტრმა გაიწია მეოცნებეთა ლიდერისკენ. როგორც მერე გაირკვა, გარემოს დარაჯს ქვეყნის პირველ მეოცნებესთან სალაპარაკო ჰქონდა.**



გაუგებრობა ლაგოდეხის რაიონის სოფელ აფენში მოხდა, სადაც მეოცნებეები ადგილობრივ მოსახლეობას ხვდებოდნენ. იმ დროს, როცა სტუმარ-მასპინძელი ბაასობდა, სად იყო და სად არა, გოგა ხაჩიძე გამოჩნდა. ახლა ამტკიცებს, იქ ჩასული ვიყავი და ხალხს ფიზიკურად ვეხმარებოდიო. როგორ მუშაობდა ფიზიკურად მინისტრი, ამის ამსახველი კადრები არ გვინახავს. სამაგიეროდ, მთელმა ერმა იხალისა მისი და ივანიშვილის დაცვის წევრების დიალოგზე. ხაჩიძის ფრაზამ „გამატარეთ, მინისტრი ვარო“, საყოველთაო ეროვნული აღფრთოვანება გამოიწვია.

ეს ფრაზა კი მინისტრს მას შემდეგ აღმოხდა, რაც ბიძინას დაცვის ბიჭებმა ის ივანიშვილთან არ მიუშვეს.

რატომ მოიქცა ასე ივანიშვილის დაცვა, ვერ გეტყვით. ალბათ იმიტომ, რომ გაახსენდათ, რა დღე დააწიეს მინისტრის მამამ და დამ მეოცნებეებს ჩუმათელეთში. გაახსენდათ და წინ გადაუდგნენ **გოგა ხაჩიძეს**.

— გამატარე ბიჭო, ამხელა კაცი ხარ, გამატარე, მინისტრი ვარ და გამატარე! გამატარე-მეთქი, გამატარე იქით, გამატარე, მთავრობის წევრი ვარ, ნუ მიკრძალავ გადაადგილებას, გამატარეთ-მეთქი, დამალაპარაკეთ მზეთუნახავი, — დაიწყო ყვირილი გზაგადაკეტილმა ხაჩიძემ.

ასეთ ჯაფაში იყო მინისტრი, როცა „ინფო9“-ის ჟურნალისტები მიეჭრნენ. მათ შორის ძალიან საინტერესო დიალოგი წარიმართა.

— რას აკეთებთ აქ, ბატონო გოგა? — ჩაეძია ჟურნალისტი მინისტრს.

— რას ვაკეთებ და ხალხს ვეხმარები ფიზიკურად, ყველანაირად, აი, ეგრე, — უპასუხა „ინფო9“-ს მინისტრმა.

ამ დროს მათთან ადგილობრივი მოსახლე მივიდა და საუბარში ჩაერია.

— მზეთუნახავია და ძალიან კარგიც არის. მომცეს 200 ლარი, დანარჩენი კიდე ჩაიდეს ჯიბეში, — მიაყარა მინისტრს ქოქოლა ადგილობრივმა.

ყველა კარგად ხვდებით, რომ მზეთუნახავში მინისტრმა ბიძინა ივანიშვილი იგულისხმა.

ხაჩიძე შეკრებილ საზოგადოებას ამაყად უყვებოდა, რა გააკეთა ხელისუფლებამ.

**გოგა ხაჩიძე:** დავარიგეთ შხამ-ქიმიკატები, საწვავი, ვარიგებთ ფქვილს, საკვებ პროდუქტებს...

**სიტყვა ჟურნალისტმა შეაწყვეტინა:** — 100%-იანი ზარალი რომ მიადგათ...

**გოგა ხაჩიძე:** — ერთი წუთი დამაცადეთ, სახურავებს ვაკეთებთ, კატეგორიების მიხედვით ფულად კომპენსაციებს რომ იღებს ხალხი, კრედიტი გადაუვადდებათ 1 წლით და სახელმწიფო გადაიხდის კრედიტს, ყველაფერი კეთდება, რისი გაკეთებაც შეიძლება. მინისტრი ვარ, მაინტერესებს, 4 დღეა აქა ვარ და ვშრომობ და ვწვალობ. კითხვა მქონდა, ვერ მივაღწიე, ვიღაცა ამბალები მიკეტავენ გზას, რომ კითხვა დავსვა, დამალაპარაკეთ.

მისი მუდარა ადგილობრივებმა გულთან ახლოს არ მიიტანეს. ისე, ივანიშვილის დაცვაში თუ ამბალები არიან, საინტერესოა, როგორ დაახასიათებს მინისტრი ზონდერებს. ეჭვგარეშეა, რაიმე მაზალო სახელს მოუძებნის, მაგარი შეფასებები ახასიათებს მინისტრს.

ამბალებთან ბრძოლაში მინისტრს ადგილობრივებიც არ დაეხმარნენ.

— არ დაგალაპარაკებ, იმიტომ, რომ ტყუილს იძახი, — უთხრა მინისტრს ადგილობრივმა.

მინისტრი არც ჟურნალისტმა მოასვენა.

— დღეს გაგიჩნდათ ბიძინა ივანიშვილთან დალაპარაკების სურვილი? — დაისვა კითხვა.

**გოგა ხაჩიძე:**

— რა დღეს გამიჩნდა სურვილი, საერთოდ არა მაქვს სურვილი, საქმე მაქვს ბევრი და მივხედავ ახლა კიდევ ჩემს საქმეს რა.

**„ინფო9“:**

— დახმარება რაში გამოიხატება?

**გოგა ხაჩიძე:**

— ყველაფერში, არ იცით? ჩამოგითვლით, დასამონტაჟებელი გაგიხდებათ, მაგრამ მაინც ჩამოგითვლით, შხამ-ქიმიკატების დარიგება, საწვავის დარიგება, ფულადი კომპენსაციების დარიგება, თუ რამე დაზიანებულია იმის გაკეთება, სახურავების გამოცვლა, დაზიანებული სახურავების გაკეთება, გადავადება კრედიტის და პროცენტს სახელმწიფო გადაიხდის, თუ შვილი სწავლობს და დაზარალებულია ოჯახი, იმის სწავლის თანხასაც სახელმწიფო შეეხიდება. გარდა ამისა, ფიზიკურად დავდივართ და ვეხმარებით ხალხს. ასე, რაღაცა იმით, ტახტრევანით არ დაგვაბრძანებენ ასე და მზეთუნახავებით არ ვიქცევით რა.

**„ინფო9“:**

— მზეთუნახავებში ვის გულისხმობთ?

**გოგა ხაჩიძე:**

— მზეთუნახავი, წადით ახლა ზღაპრებში გაიკითხეთ, მზეჭაბუკებისკენ მოიკითხეთ მზეთუნახავები ვინ არიან, ვისაც მზე ვერ ხედავს. ვინც პირველად ვიხილე ცხოვრებაში. ნუ გეშინიათ, თქვენ არჩევნებამდე სჭირდებით, არც ხელფასი მოგაკლდებათ, არც სამსახურიდან დაგითხოვენ და თქვენ ჟურნალისტურ მონაცემებს ჯერ არავინ შეაფასებს. ეგ მერე უკვე.

**„ინფო9“:**

— რის საფუძველზე ამბობთ?

**გოგა ხაჩიძე:**

— ნუ, ეხლა კარგით, რაღაცა სისულელეებს მეკითხებით და გგონიათ, რომ რაღაცა ექსცესში ხართ.

**„ინფო9“:**

— უკვე შეურაცხყოფებზე გადადიხართ და მე მგონი არ არის ეს სწორი საქციელი.

**გოგა ხაჩიძე:**

— ხოდა, ეს შეგიძლიათ მოამზადოთ სიუჟეტი, გარემოს დაცვის მინისტრმა შეურაცხყო „მეცხრე არხის“ ჟურნალისტი.

ჟურნალისტებმა ხაჩიძის რჩევა გაითვალისწინეს. სიუჟეტიც მოამზადეს. ოღონდ აქცენტი მეცხრე არხის შეურაცხყოფაზე არ იყო. მთავარი აქცენტი გაკეთდა ფრაზაზე: „გამატარეთ, მინისტრი ვარ!“

მართალია ახლა ყველა გოგა ხაჩიძეს აყრის თავზე ქოქოლას, მაგრამ არც დაცვის წევრები მოიქცნენ სწორად. ხაჩიძე უნდა გაეტარებინათ.

ინციდენტის მეორე დღეს, ანუ გუშინ გოგა ხაჩიძემ ლაგოდეხურ თავგადასავალზე განმარტება გააკეთა.

მინისტრი ფეისბუკზე იმას წერს, რის თქმასაც იგი გუშინ ბიძინა ივანიშვილისთვის აპირებდა.

— ვიცი, რომ არავინ ვართ იდეალური. მესმის, რომ წინასაარჩევნო პერიოდია და ნებისმიერი, ნორმალური პოლიტიკური ორგანიზაციის საქმიანობა შეიცავს Pღ-ს, თუმცა, ასეთ მნიშვნელოვან დროს, როდესაც ქვეყანაში ამ მასშტაბის სტიქიაა, არ შეიძლება ითამაშო ადამიანების გაჭირვებაზე (პრინციპში მხოლოდ...) იმის გამო, რომ ბევრი ფული გაქვს; არ უნდა გახვიო გაჭირვებაში მყოფი ადამიანები უპასუხისმგებლო განცხადებების ბურუსში. მით უმეტეს, არ შეიძლება, ეს ყველაფერი პოლიტ-შულერობის კონტექსტში გააკეთო — აი, დაახლოებით ამის თქმა მინდოდა გუშინ ივანიშვილისთვის, თუმცა, იმ ემოციურ ფონზე ასე დალაგებულად, ალბათ, ვერ მოვახერხებდი. გუშინდელი ინციდენტი უბრალოდ, პრაქტიკულად მოხდა, — წერს ხაჩიძე.

ის ამტკიცებს, რომ სულაც არ უნდოდა ივანიშვილთან შეხვედრა და მას უბრალოდ გადაეყარა სოფელ აფენში, სადაც მინისტრი ბოლო დღეებში ხშირად დადიოდა თურმე.

— ეგ, სოფელ აფენის ცენტრია, მანდ (მანდაც) ხშირად მიწევდა ყოფნა ამ ბოლო დღეებში. მანქანით მოვდიოდი. ივანიშვილის მხარდამჭერებმა (თურმე) გამაჩერეს დემონსტრაციული რეპლიკით. გავჩერდი, მივედი, მოვუსმინე... მერე სხვებიც დაინტერესდნენ... სხვებსაც მოვუსმინე.

ზოგი უბრალოდ დემაგოგობდა (მაგალითად, ატომურ სადგურზე სამცხე-ჯავახეთში), ზოგს მართლა პრობლემის მოგვარება სჭირდებოდა. მათივე თხოვნით რამდენიმე საკითხი და საკონტაქტო ინფორმაციაც მოვინიშნე შემდეგ მოვიდა ივანიშვილი და „ილაპარაკა“.

რომ გავიგე, რაც „ილაპარაკა“, ძალიან გამიჭირდა, მეც არ „მელაპარაკა“.

ეს ყველაფერი წარმოიდგინეთ დინამიკაში, შეავსეთ გავრცელებული სიუჟეტებით და დაახლოებით ეგ არის. მათ საპასუხოდ, ვინც ამტკიცებს, რომ ეს ყველაფერი დაგეგმილი იყო.

რატომ უნდა მომინდეს, სრულიად მარტო, ივანიშვილის შეხვედრაზე მისვლა და შემდეგ მისი დაცვის წევრებთან იმის გარკვევა, რომ გამატარონ?...

რაც შეეხება „მზეთუნახავს“... ეს, ერთგვარი ზღაპრული შეფასებაა, რომელშიც, რა თქმა უნდა, არის სიმართლე, ისევე, როგორც იმაში, რომ პრეზიდენტი არის მაღალი, — აღნიშნავს გარემოს დაცვის მინისტრი.

ლაგოდეხში მომხდარ გაუგებრობაზე ერმა ბევრი იხალისა. თუმცა მთლად სახალისოდ არა გვაქვს საქმე. არ არის ლამაზი, როცა მინისტრი არ მიუშვეს ოპოზიციის ლიდერთან. სხვა თუ არაფერი, გოგა ხაჩიძეც ბედკრული საქართველოს შვილია.

ამასთან, ისიც საეჭვოა, რომ იქ გარემოს მთავარი დარაჯი შემთხვევით მივიდა.

იმ მომენტში, ალბათ, ხაჩიძე შევიდა იმ მოქალაქეების მდგომარეობაში, რომლებსაც ხელისუფლების წარმომადგენლებთან არ უშვებენ დასალაპარაკებლად. პრეზიდენტზე აღარაფერს ვამბობთ.

თავად გოგა ხაჩიძე ცდილობს ხალხს დაელაპარაკოს და არც სხვა მინისტრებივით აქვს ცხვირი აწეული. ამის მიუხედავად, მასაც მოსდის იაღლიშები. ისევე, როგორც ივანიშვილს და მის დაცვას.

# გია ცაგარეიშვილი: სანამ უფლებამოსილება არ შემიწყდება, პარლამენტიდან არ გავალ!“

## დეპუტატი პარლამენტის აპარატს კონსტიტუციის დარღვევაში ადანაშაულებს

თეა მარხვაიძე

ჩვენი საზოგადოებისთვის უკვე ცნობილია, რომ პარლამენტის შენობა იცლება. გავრცელებული ინფორმაციით, შენობა 47 მილიონ ლარად გაიყიდა. ამ ინფორმაციას ხელისუფლება არ ადასტურებს. პარლამენტის გაყიდვაზე არც ნაციონალი დეპუტატები საუბრობენ, სამაგიეროდ, საგულდაგულოდ ფუთავენ თავიანთ ტექნიკასა და ავეჯს. შენობის დიდი ნაწილი უკვე დაცლილია.

პარლამენტის შენობის დაცლას არ აპირებენ ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ წევრები. ამასთან დაკავშირებით ჯერ დიმიტრი ლორთქიფანიძემ გააკეთა განცხადება, შემდეგ — კარლო კოპალიანმა, გუშინ კი ცაგარეიშვილმა დადო პირობა, პარლამენტიდან ფეხის მომცვლელი არა ვართო.

საინტერესოა, როგორ აპირებენ ფრაქციის წევრები კუთვნილი ოთახების შენარჩუნებას. დეპუტატი არ გამორიცხავს, რომ მათ ოთახებში შესაძლოა სპეცოპერაციაც კი ჩატარდეს.

სპეცოპერაციამდე ჯერ საქმე არ მისულა. დეპუტატი მიიჩნევს, რომ პარლამენტის აპარატი კონსტიტუციას არღვევს. ამის შესახებ განცხადება გია ცაგარეიშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

— პარლამენტის დაცლის პროცესი მიუღებელი და გაუგებარი სიტუაციაა. პარლამენტის შენობის დაცლით პარლამენტის აპარატი კონსტიტუციასა და რეგლამენტს არღვევს.

პარლამენტი ვალდებულია, დეპუტატის საქმიანობას შეუწყოს ხელი, მაგრამ, როდესაც მათ სამუშაო ოთახებიდან მიერეკებიან და უფლებას აღარ აძლევენ, სადეპუტატო უფლებამოსილება შეასრულონ, ამით პირდაპირ სწორედ კონსტიტუცია და რეგლამენტი ირღვევა. საპარლამენტო ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისათვის“ კუთვნილი ოთახებიდან ფეხს მანამდე არ მოიცვლის, ვიდრე ამ მოწვევის პარლამენტს უფლებამოსილება კანონით დადგენილი წესით არ შეუწყდება. ჩვენს ფრაქციას, უმრავლესობის წევრი დეპუტატებისაგან განსხვავებით, მხოლოდ რამდენიმე სკამი, კარადა და კომპიუტერი აქვს. შეგიძლიათ, შეანგრიოთ, დალეწოთ ჩვენი ოთახები — ამის ბრწყინვალე მაგალითი ხომ არაერთხელ მიგიციათ საზოგადოებისთვის, ქუჩაში გადაყაროთ ჩვენი ნივთები და სადაც გინდათ, იქ წაიღოთ, — განაცხადა უმრავლესობის გასაგონად გია ცაგარეიშვილმა.

ცაგარეიშვილი ამბობს, რომ მისი თანაფრაქციელები თითქმის დაცლილ პარლამენტის შენობაში მოქალაქეებსაც მიიღებენ.

როგორც დეპუტატი განმარტავს, მათ მოუვიდათ შეტყობინება, რომ ოთახები 20 ივლისამდე უნდა დაეცალათ. დაუმორჩილებლებს კაბინეტებიდან ჯერ არაფერი გამოუტანიათ.

„ერთობა სამართლიანობისთვის“ წევრი გაკვირვებულია ნაცმოძის წევრების ავეჯით.

— მიკვირს, თავის დროზე რამ შეატანინა და ახლა რამ გააზიდვინა უმრავლესობის წევრებს პარლამენტის შენობიდან ამდენი ძვირადღირებული ტექნიკა და ავეჯი.



როცა ამ ნივთებს ღამით სატვირთო მანქანებში აწყობდნენ, სურვილი გამიჩნდა, ჩალაგებაში მივხმარებოდი, რათა ისინი პოლიტიკური ცის კაბადონიდან სამუდამოდ გადახვეწილიყვნენ. დეპუტატები, რომელთაც თავი უკვე მომავალ პარლამენტში წარმოუდგენიათ, ავეჯს ალბათ თბილისსა და ქუთაისს შორის — რიკოთის უღელტეხილთან ასაწყობებენ, — განაცხადა დეპუტატმა. ხვალ პარლამენტის რიგგარეშე სხდომა გაიმართება, რომელზეც ბიუჯეტში ცვლილება უნდა შეიტანონ. ეს ცვლილებები კი კახეთში განვითარებულმა მოვლენებმა გახადა აუცილებელი. ამ სხდომაზე ალბათ პარლამენტის დაცლაზეც გაკეთდება განცხადებები. შესაძლოა, ურჩების ფრაქციას ამ სხდომის შემდეგ დაუცალონ ოთახები.

საგანგებო პრესკონფერენციაზე ცაგარეიშვილმა სხვა საკითხიც დააყენა. სავარაუდოდ, რიგგარეშე სხდომაზე ამაზეც იმსჯელებენ.

მას ძალიან აინტერესებს იმის გარკვევა, თუ რატომ დაადო ხელისუფლებამ სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილ თანხებს გრიფი „საიდუმლო“.

— მთავრობის სარეზერვო ფონდიდან წლის პირველ კვარტალში 38 მილიონი ლარია გახარჯული, თუმცა, რას მოხმარდა აღნიშნული თანხა, არსად არ არის მითითებული.

რაც შეეხება პრეზიდენტის სარეზერვო ფონდს, 4 თვეში 2 მლნ 131 ათასი ლარი დაიხარჯა, თუმცა, სად არის დარჩენილი თანხა, ჯერ უცნობია. ეს თანხები სააკაშვილის პირად ჯიბედ გადაიქცა, სადაც ხელს აფათურებს და გადასახადების გადამხდელებს მილიონებს აცლის, — აღნიშნა დეპუტატმა.

მისი ინფორმაციით, საქართველოს რეგიონების განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილ თანხას გრიფი „საიდუმლო“ ადევს.

— ამ ფონდიდან მთავრობის კანცელარიას მილიონი ლარი გამოეყო და მას გრიფი „საიდუმლო“ ადევს. ეტყობა, ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა ბევრი ფურცელი იყიდა, ქაღალდის თვითმფრინავებს აკეთებდა და უშვებდა. მას რეპი ჰყვარებია, თან რეპავდა და თან თვითმფრინავებს უშვებდა. ამავე ფონდიდან ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს რამდენიმე ტრანში გამოეყო. ერთ-ერთი სოფელ განმუხურში წყლის პარკისა და ატრაქციონის მოწყობას ითვალისწინებს, რომლისთვისაც 4 მილიონ ლარზე მეტია გამოყოფილი. სააკაშვილმა ერთხელ განაცხადა, რომ სვანეთიდან ჩამოსრიალდება და პირდაპირ ზღვაში ჩახტება. ეტყობა, ამისთვის სჭირდება წყლის პარკი, რომ ჩამოსრიალდეს და პირდაპირ ტალღებში გადაეშვას, — აღნიშნა გიორგი ცაგარეიშვილმა.

მისი ინფორმაციით, ამავე ფონდიდან თავდაცვის სამინისტროსთვის 5 მილიონი ლარია გამოყოფილი, რომელსაც ასევე გრიფი „საიდუმლო“ ადევს.

— მიმდინარე წლის 31 იანვარს გარემოს დაცვის სამინისტროს პრომეთეს მღვიმეში დეკორატიული განათებისა და აკუსტიკური სისტემის მოწყობისთვის 337 000 ლარი გამოეყო. ეს ის მღვიმეა, სადაც სააკაშვილმა მთავრობის სხდომა ჩაატარა. სახეებზე შევატყვე, რომ მინისტრებს კარგად არ ესმოდათ, კარგი აკუსტიკა არ იყო. ამის გამოსასწორებლად თანხა გამოიყო, რომ მინისტრებს პრეზიდენტის ყველა სიტყვა მღვიმის ნებისმიერ კუნჭულში ესმოდეთ. ანაკლიაში ჩერქეზი ხალხის გენოციდის მსხვერპლთა ხსოვნის მემორიალისა და შადრევნის მოწყობისთვის ამავე ფონდიდან 75 000 ლარია გამოყოფილი, — განაცხადა აღშფოთებულმა ცაგარეიშვილმა.

# სანდრო ბრეგაძე: ბიზნესმენები ნახევარ მილიონს იხდიან, ოღონდ ნაციონალებმა მაჟორიტარებად არ დაასახელონ“

**წინა არჩევნებზე ბიზნესმენები 250 ათას ლარს იხდიდნენ იმისათვის, რომ ნაცმოძრაობის სიაში მოხვედრილიყვნენ ან მაჟორიტარ დეპუტატად ეყარათ კენჭი,ხ დღეს კი მზად არიან, ამდენივე თანხა და უფრო მეტიც იმაში გადაიხადონ, რომ მაჟორიტარებად არ დასახელდნენ. ნაციონალური მოძრაობა სერიოზული პრობლემის წინაშე დგას, ვერ პოულობს ისეთ კანდიდატებს, რომლებსაც ოპოზიციის მიერ დასახელებულ მაჟორიტარ კანდიდატებს დაუპირისპირებს, — აცხადებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ეროვნულების ერთ-ერთი ლიდერი სანდრო ბრეგაძე.**

ნონა ცაბაძე

**სანდრო ბრეგაძე:**

— დღეს ხელისუფლებას თავისი რეპრესიული მანქანა აქვს ჩართული, მაგრამ მათი ქმედებები ძირითადად გამოწვეულია შიშის ფაქტორის კიდევ უფრო გაძლიერებით მოსახლეობაში. უბრალოდ, ეს არის აქციები, რომელიც გათვალისწინებულია იმისათვის, რომ ოპოზიციურად განწყობილ მოსახლეობას დაანახონ, მათ ჯერ კიდევ შესწევთ იმის ძალა, რომ რეპრესიული მეთოდები გამოიყენონ მოსახლეობის წინააღმდეგ თუკი მოსახლეობა არ გააკეთებს იმ არჩევანს საპარლამენტო არჩევნების დროს, რომელი არჩევანიც ხელისუფლებას აწყობს. ეს პროცესი განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში იქნება აქტიური და აგვისტოს თვე იქნება ამითი ყველაზე მეტად გამორჩეული. ამ დროს დიდი ქალაქები დაცლილია მოსახლეობისგან და უკანონობის ჩადენის შემთხვევაში პროტესტი არც ისე მძაფრი და არც ისე მასშტაბური იქნება. მინდა ვუთხრა ხელისუფლებას, რომ ეს არ არის გამოსავალი, ეს უფრო დააჩქარებს ხელისუფლების ცვლილების პროცესს, ვიდრე შეანელებს. ხელისუფლებას უნდა დაინახოს მოსახლეობის განწყობა, თუ რა განწყობა და რეაქციები იქნება ხალხში, თუკი ისინი აამუშავებენ რეპრესიულ მანქანას. ძალიან ცუდ დღეში არიან, ჩვენ ვხედავთ, რომ რიგითი ნაციონალები და რიგითი ზონდერებიც აღარა ჰყავთ მათ. ეს დაადასტურა კახეთის შეხვედრამ, როდესაც ფაქტობრივად ადამიანები, რომლებიც კახეთში ჩასულ ივანიშვლის დაუპირისპირდებოდნენ, ვერ იპოვეს. კახეთის ვიცე-გუბერნატორი გამოვიდა ქუჩაში და მან დაუწყო ხელის შეშლა ქართული ოცნების წარმომადგენლებს. როდესაც ვიცე-გუბერნატორი გამოდის ქუჩაში, ეს იმის მანიშნებელია, რომ მას ქვედა რგოლში არ ჰყავს ადამიანები, რომლებიც იმ ბინძურ სამუშაოს შეასრულებენ, რასაც ე.წ. ზონდერული სამუშაო ჰქვია. ასევე, ალბათ, ბევრმა ნახვა ის სამარცხვინო კადრები, ბლანჟეიანი მინისტრი რომ გვყავს, დამკვრელი ხაჩიძე, როდესაც ის ყვიროდა, მინისტრი ვარ, გამატარეთ, ოპოზიციის წევრებთან შეხვედრა მინდაო. ის მარტოდ- მარტო საცოდავად ლამობდა შეხვედრის ჩაშლას. როდესაც მინისტრები და გუბერნატორები ზონდერების ფუნქციას თავის თავზე იღებენ, ეს იმის მანიშნებელია, რომ ხელისუფლებას ბინძური სამუშაოს შემსრულებლები არ ჰყავს. სიტუაცია დღეს წელშია გატეხილი, მაგრამ ამავე დროს მინდა ვთქვა, რომ ერთადერთი, რამაც შეიძლება ოპოზიციის გამარჯვებას ხელი შეუშალოს, ეს იქნება თვითონვე ოპოზიციის შიგნით მიმდინარე პროცესები და ის არასწორი პოლიტიკა, რომელი პოლიტიკაც შეიძლება თვითონ ოპოზიციურ ერთობაში იქნეს ნაწარმოები.

***— კონკრეტულად რას გულისხმობთ ბატონო სანდრო?***

— მე გეტყვით, რომ ხელისუფლებას აქვს უდიდესი იმედი, რომ ოპოზიციაში, შიგნით მოხდება სერიოზული განხეთქილება, ან მოხდება პროცესების არასწორი გზით წარმართვა და არასწორი იდეოლოგიური ბაზისის შექმნა. ასევე არასწორი მაჟორიტარი კანდიდატების შერჩევა. ამაში გარკვეული ლოგიკა არის, იმიტომ, რომ შეიძლება ითქვას, რომ ყველა მაჟორიტარით არც მე არა ვარ აღფრთოვანებული, რომელიც ოპოზიციური ფლანგიდან იქნა დასახელებული რაიონებში, მე მთლიანად ოპოზიციურ ფლანგს ვგულისხმობ. ამავე დროს ოპოზიციაში მრავლად მოიძებნებიან ისეთი ძალები, რომელი ძალებიც მუდმივად ეცდებიან, რომ რაიმე განხეთქილება შეიტანონ პროვოკაციის გზით. პროვოცირებული იყოს ეს ყველაფერი და ოპოზიციის შიგნით მოხდეს განხეთქილება. ყველაზე მთავარი რაც არის, არის ის, რომ ეიფორიამ არ უნდა მოიცვას ოპოზიცია. მე ვატყობ ჩემ კოლეგა ოპოზიციონერებში საკმაოდ სერიოზულ ეიფორიას და ბევრი დარწმუნებულია უკვე 100%-ით იმაში, რომ ხელისუფლების ცვლილება განხორციელებულია და ისინი არიან ხელისუფლებაში მოსულები. მე ვფიქრობ, რომ თუკი ეიფორიას მიეცემა ოპოზიცია, მაშინ ოპოზიციის დამარცხება გარდაუვალი იქნება. როდესაც ეიფორიაშია პოლიტიკური ძალა, ის ადუნებს ყურადღებას, მოვლენებს სათანადოდ ვერ აფასებს და ამითი აუცილებლად ისარგებლებს ხელისუფლება. სხვათა შორის, მე მაქვს სერიოზული ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ ხელისუფლების ტაქტიკა ერთი მხრივ იქნება რეპრესიები და მეორე მხრივ, იქნება ეიფორიის შექმნა ოპოზიციაში, ოპოზიციის ლიდერებში, რათა მოხდეს მათ მიერ ყურადღების მოდუნება და გარკვეული საკითხებისადმი არარეალური კუთხით ყურება. აი, ეს თუ განხორციელდა, მაშინ, რა თქმა უნდა, ეს იქნება საკმაოდ ცუდი და მძიმე მოვლენა. არიან ისეთი მაჟორიტარები ოპოზიციის მხრიდან, რომელთა გამარჯვება ფაქტიურად გამორიცხულია.



***— თქვენ ზემოთაც ახსენეთ, რომ ყველა მაჟორიტარით არ ხართ კმაყოფილი, იქნებ დააკონკრეტოთ, ვის გულისხმობთ?***

— მეც ოპოზიციური ფლანგის წარმომადგენელი ვარ და არ მინდა ჩემს პოლიტიკურ პარტნიორებზე, ან ოპოზიციურ ფლანგზე მყოფ მაჟორიტარ კანდიდატებზე ღიად რაიმე ვისაუბრო. თქვენც ხვდებით, რომ ეს ლოგიკური არ იქნება, რადგან ამით მე ხელისუფლების წისქვილზე დავასხავ წყალს.

***— თუმცა, თქვენ არასდროს მალავდით, რომ რესპუბლიკელები არ მოგწონდათ...***

— მე ახლაც არ ვმალავ იმას, რომ რესპუბლიკელების პოლიტიკური იდეოლოგია არ მომწონს. სანდრო ბრეგაძის თავიდან დაბადება და შემდეგ მისი აღზრდა ბევრად უფრო ადვილი საქმეა, ვიდრე ის, რომ მე შევიყვარო რესპუბლიკელების იდეოლოგია. მას შემდეგ, რაც ეროვნულების და ქართული ოცნების გაერთიანება მოხდა, დაიწყო შავი პიარი სახელისუფლო ტელევიზიების მხრიდან, რომ სანდრო ბრეგაძემ პირობა დაარღვია, როდესაც ამბობდა, რომ ის არასოდეს არ იქნებოდა რესპუბლიკელებთან ერთად. მე დღესაც ვიმეორებ, რომ რესპუბლიკელების პოლიტიკური იდეოლოგია კატეგორიულად მიუღებელია ჩემთვის. მათი წარსული ხედვები, იგივე ზვიად გამსახურდიასთან მიმართებაში, იგივე 1992 წლის სახელმწიფო გადატრიალებასთან მიმართებაში, ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მე მოვითხოვო ის, რომ რესპუბლიკურმა პარტიამ მონაწილეობა არ მიიღოს ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში. პირიქით, მეტსაც გეტყვით, მე ვთვლი, აუცილებელია, რომ რესპუბლიკური პარტიის მსგავსი პოლიტიკური ძალა არსებობდეს დემოკრატიულ პოლიტიკურ სპექტრში. ისევე, როგორც აუცილებელია, რომ ეროვნული პოლიტიკური ძალა იყოს, ისევე, როგორც აუცილებელია მემარჯვენე ძალა და მემარცხენე ცენტრისტები. ჩვენ თუ გვინდა დემოკრატიული ქვეყნის ჩამოყალიბება, მაშინ ყველანაირი პოლიტიკური ძალა უნდა არსებობდეს ქვეყანაში და მოსახლეობამ უნდა გააკეთოს არჩევანი თუ რომელ პოლიტიკურ ძალას დაუჭერს ის მხარს. რაც შეეხება ერთიან ბრძოლას, დღეს ჩემთვის მთავარი არის მიზანი, მიზანი კი არის ქვეყანაში დემოკრატიის დამყარება. მე არ ვამბობ მარტო ხელისუფლების ცვლილებას, დიახ, ხელისუფლების ცვლილება, რომელსაც მოყვება დემოკრატიის დამყარება. ჩემთვის მიზანია მთავარი და პროცესი ამ შემთხვევაში აბსოლუტურად არ არის საინტერესო. მიზანი, რომელიც უნდა იქნეს მიღწეული და ერთხელ და სამუდამოდ საქართველო გახდეს დემოკრატიული ქვეყანა. ჩვენ ვუშვებთ ერთ დიდ შეცდომას, დღეს ბრძოლა მიდის დემოკრატიის დამყარებისთვის საქართველოში. არა რომელიმე პოლიტიკური ძალის გამარჯვებისთვის, არამედ ბრძოლა მიდის დემოკრატიის დასამყარებლად ქვეყანაში. ქვეყანაში, სადაც 21-ე საუკუნეში არის ავტოკრატიული, ტირანული დიქტატორული ერთპარტიული მმართველობა, რაც სრული ანაქრონიზმია დღევანდელ პოლიტიკურ სისტემაში. მე ვერასოდეს ვერ ვიქნები რესპუბლიკელების პოლიტიკური იდეოლოგიის მიმდევარი, პირიქით, მისი მოწინააღმდეგე ვიქნები, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მე წინააღმდეგი ვიყო მათი პოლიტაში ყოფნის.

***— რაც შეეხება ეროვნულების გაერთიანებას ქართულ ოცნებაში, ქართული ოცნების სახელით აპირებთ არჩევნებში მონაწილეობას?***

— ჩვენ ვართ საზოგადოებრივი მოძრაობა, იმიტომ, რომ ეროვნული მოძრაობა ბევრად უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე რომელიმე ვიწრო პოლიტიკური ორგანიზმი. ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ მოძრაობა ეროვნულები ყოფილიყო, საზოგადოებრივი მოძრაობა და საზოგადოებრივი მოძრაობის ეგიდით გამოსულიყო დიდ პოლიტიკურ ასპარეზზე. სწორედ აქედან გამომდინარე ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ უშუალოდ იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან, რომელსაც ქართული ოცნება ჰქვია და რომელსაც უშუალოდ ბატონი ივანიშვილი ხელმძღვანელობს, ჩვენ აქტიურ მონაწილეობას მივიღებთ პოლიტიკურ პროცესებში, ხოლო თუ ვინ, სად, როგორ და რანაირად იქნება, ეს არის მომავლის საქმე. მე ვფიქრობ, ამ ეტაპზე ეს არ არის გადამწყვეტი. გადამწყვეტი დღეს არის დემოკრატიის დამყარება ქვეყანაში და არსებული პოლიტიკური სისტემის შეცვლა, რომელი პოლიტიკური სისტემაც არის დიქტატორული. ჩვენ მას უნდა მივაღწიოთ და შემდგომში ყველა თავისი პოლიტიკური გზით წავა. საქართველოში უნდა იყოს ჭრელი პოლიტიკური სპექტრი, რაც საფუძველი იქნება დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისა. ამ კუთხით ბატონი ივანიშვილი აბსოლუტურად სწორი გზით მიდის და ამ გზიდან არ უნდა გადაუხვიოს.

***— ივანიშვილმა, როგორც ცნობილია, სპეციალურ ანგარიშზე ათი მილიონი ჩარიცხა დაზარალებული რეგიონის დასახმარებლად, როგორ ფიქრობთ, რატომ დათანხმდა ხელისუფლება მას ამ ნაბიჯზე?***

— სულაც არ გამიკვირდება, რომ ხელისუფლებამ ბიძინა ივანიშვილის მიერ გადარიცხული ათი მილიონი ადგნენ და თავად დახარჯონ. ზაფხულია და სულაც არ გამიკვირდება, ისინი მსოფლიოს სხვადასხვა კურორტებზე წავიდნენ. ჩაიდონ ეს ათი მილიონი და დროსტარებაში დახარჯონ. ეს მათგან არ არის გამორიცხული, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში კონტროლის მექანიზმი არსებობს, იმიტომ, რომ ეს აუცილებლად გაცხადდება და აქედან გამომდინარე ხელისუფლება იძულებული იქნება, რომ მიზნობრივად, ეკოკატასტროფის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად გადაისროლოს ეს თანხები. თუმცა, ხელისუფლებისგან ყველაფერს უნდა ველოდეთ. შესაძლოა სულაც თავისი წინასაარჩევნო კამპანიისთვის გამოიყენონ ეს ათი მილიონი. როგორც მე ვიცი, ივანიშვილი არ აპირებს ამ ათ მილიონზე გაჩერებას და ბევრად უფრო მეტი თანხების აკუმულირებას გეგმავს სტიქიისაგან დაზარალებულ სოფლებში. სააკაშვილი კი გამწარებული დარბის კახეთის სოფლებში, მაგრამ მაინც არაფერი გამოუვა. მას არა მარტო ზონდერების მოგროვება, უკვე დეპუტატობის კანდიდატების მოგროვებაც სერიოზულად უჭირს. ისინი საქართველოში ვერ პოულობენ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს, რომლებიც ოპოზიციის დეპუტატობის კანდიდატებს დაუპირისპირდებიან.

***— ეს რისი მანიშნებელია?***

— ეს არის იმის მანიშნებელი, რომ ვირთხები გარბიან გემიდან. ეს პროცესი უკვე დაწყებულია. ჯერჯერობით ბიზნესმენები გაურბიან ნაციონალებს, თუმცა პოლიტიკური ვირთხებიც მალე გაიქცევიან, იმიტომ, რომ როდესაც გემი იძირება, ვირთხები პირველები ტოვებენ გემბანს. მე გეტყვით პირდაპირ, რომ 250 ათასი დოლარი იყო შესატანი საერთო ყულაბაში წინა არჩევნების დროს იმისათვის, რომ ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარ კანდიდატად დასახელებულიყო რომელიმე ბიზნესმენი ან სხვა ფიგურა. დღეს ეს ადამიანები მზად არიან ერთი მაგდენი გადაიხადონ, ოღონდ არ მოხვდნენ ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარი დეპუტატის კანდიდატთა სიაში..

---

## ნუგზარ წიკლაური: კახეთში მომხდარ უბედურებაზე პოლიტიკური დივიდენდების მოპოვების შესაძლებლობა არავის მიეცემა!“

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის ნუგზარ წიკლაურის შეფასებით, კახეთში მომხდარ უბედურებაზე პოლიტიკური დივიდენდების მოპოვების შესაძლებლობა არავის მიცემა.

ამის შესახებ წიკლაურმა პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერის ბიძინა ივანიშვილის განცხადების შეფასებისას აღნიშნა, რომელმაც კახეთში სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად საბიუჯეტო ანგარიშზე 10 მლნ ლარი ჩარიცხა. როგორც წიკლაურმა აღნიშნა, 10 მლნ არ არის ბიძინა ივანიშვილის ფული, რადგან ის არის იმ თანხის ნაწილი, რომელიც მას ჯარიმის სახით აქვს გადასახდელი.



„ივანიშვილი გადაიხდის ამ 10 მილიონსაც და დანარჩენ 60 მილიონსაც, რომელიც ჯარიმის სახით აქვს დაკისრებული. ამიტომ, იმის თქმით, რომ თითქოს, ამ თანხას სტიქიით დაზარალებულებისთვის რიცხავს პოლიტიკური ქულების მოპოვება სურს. მისი მხრიდან ეს ყველაზე უფრო უსარგებლო სპეკულაციაა“ — განაცხადა წიკლაურმა.

ამასთან, მმართველი პარტიის წევრის თქმით, ივანიშვილის მხრიდან „ვაჭრობამ“, რომ 10 მილიონს გადარიცხავს, თუ ის კახეთს მოხმარდება, მას ფილმიდან „ქეთო და კოტე“ მაკარ კოტრიაშვილის სახეს გაახსენა.

„ივანიშვილი გადაიხდის იმ ფულს, რომელიც ჯარიმის სახით აქვს გადასახდელი და მთავრობა და პარლამენტი მიიღებენ გადაწყვეტილებას რა სახის დახმარება არის საჭირო და რამდენია გამოსაყოფი ხალხის დასახმარებლად“ — აღნიშნა წიკლაურმა.

მისივე თქმით, თუ ვინმე პოლიტიკური დივიდენდების მოპოვებას აპირებს იმ უბედურებაზე, რაც კახეთში მოხდა, ამის შესაძლებელობა არავის არ მიეცემა.

**ნიუსპრესი**

---

## სოსო შატბერაშვილი: სააკაშვილმა პარლამენტის შენობა ივანიშვილის ბიზნეს-პარტნიორს მიჰყიდა“

ლეიბორისტული პარტია პარლამენტის ქუთაისში გადატანას აპროტესტებს და აცხადებს, რომ თბილისში არსებული პარლამენტის შენობა ხელისუფლებამ ბიძინა ივანიშვილის ბიზნეს პარტნიო ელგუჯა (ბუბა) ქებურიას იმაზე ნაკლებ ფასად მიჰყიდა, ვიდრე სინამდვილეში ღირს.



როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე პარტიის გენერალურმა მდივანმა იოსებ შატბერაშვილმა ჟურნალისტებს განუმარტა, რომ ელგუჯა ქებურიასთვის პარლამენტის შენობის 30 მილიონ ლარად მიყიდვა ადასტურებს სააკაშვილსა და ივანიშვილს შორის არსებულ გარიგებას.

შატბერაშვილის თქმით, საქართველოს პარლამენტის შენობა საბჭოთა კავშირის მასშტაბით 50 საუკეთესო არქიტექტურულ ნაგებობათა შორის პირველ ათეულშია და ის იმაზე მეტი ღირს, ვიდრე ეკონომიკის სამინისტროს მიერ არის შეფასებული.

,,ელგუჯა ქებურია გახლავთ კრიმინალ ოლიგარქ ბიძინა ივანიშვილის ბიზნეს პარტნიორი. ისინი ერთად მოღვაწეობდნენ რუსეთში. შემდეგ საფრანგეთში აგრძელებდნენ ბიზნეს ურთიერთობას. სააკაშვილმა პარლამენტის შენობა პრაქტიკულად, კი არ მიჰყიდა, გააჩუქა. პარლამენტის შენობა შეფასებულია 1 მილიარდ ლარად. მე თუ მკითხავთ, მილიარდზე მეტი ღირს და თან ისტორიული შენობა არის. ეს შენობა 30 მილიონ ლარად ხელში ჩაუგდო ვინმე ქებურიას. რატომ გახდა პრეზიდენტი ასეთი გულუხვი და გულჩვილი, რომ ასეთ ძვირფასი შენობა აჩუქა ისედაც ასეთ მდიდარ ადამიანს?!“, — განაცხადა შატბერაშვილმა და დასძინა, რომ მილიარდელი სააკაშვილი დღეს ებრძვის მილიარდელ ივანიშვილის, მაგრამ თან ჩუმჩუმად მათ შორის მიმდინარეობს გარიგება, ამ გარიგების ერთ-ერთ მაგალითიც სწორედ ეს არის.

**მედიანიუსი**

# საქართველოში განახლებადი ენერგიების ეფექტურად გამოყენებასა და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვაზე ხელშეწყობა

მსოფლიოს საზოგადოება, თავისი ცივილიზაციის განვითარების ყოველ ეტაპზე ყოველთვის ცდილობდა ენერგიის მომარაგებისა და მოხმარების სისტემის სრულყოფას. მართალია თანამედროვე ადამიანი აქტიურად იყენებს ქვანახშირის, ბუნებრივი აირის, ნავთობის უზარმაზარ რაოდენობას, მრავალი კვლევა ადასტურებს, რომ ეს მარაგი ძალიან მალე ამოიწურება. სწორედ ამიტომ, მსოფლიოში ენერგიის მოხმარების ზრდის გამო კაცობრიობის წინაშე დღეს მწვავედ დადგა განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენების საკითხი, რომელიც უნდა განვიხილოთ როგორც დამატებითი, ეკონომიური და უსაფრთხო რესურსი ენერგიის გამომუშავებისთვის.

საქართველოში არსებული განახლებადი ენერგიის წყაროების პოტენციალი არასაკმარისად არის შესწავლილი და შესაბამისად გამოყენებული. თუმცა, სწორი სახელმწიფო პოლიტიკის და გათვლების შემთხვევაში შესაძლებელია ამ მიმართულებით მაღალი შედეგების მიღება, რადგან საქართველოს ამ მიმართულებით დიდი პოტენციალი გააჩნია. დღეს საქართველოს ენერგობალანსში თითქმის 70 პროცენტი მოდის იმპორტირებულ ენერგორესურსებზე, რაც ქვეყანას ენერგოდამოკიდებულს ხდის. აუთვისებელია ქვეყნის მდიდარი განახლებადი ენერგოპოტენციალი. ეს მაშინ, როდესაც ენერგეტიკულ სექტორში ბალანსის შევსების წყაროდ, საერთოდ არ განიხილება მზის, ქარის და თერმული წყლების გამოყენება. საგანგაშო მდგომარეობაა თბოსაიზოლაციო ტექნოლოგიების დანერგვისა და განვითარების თვალსაზრისითაც. საქართველოში ბინებისა და ოფისების თბოიზოლირების უაღრესად დაბალი დონის გამო, მათ გათბობაზე დახარჯული ენერგიის მხოლოდ 50-60 პროცენტი გამოიყენება დანიშნულებით, დანარჩენი კი გარემოში დანაკარგის სახით გაედინება.

საქართველოში მდგრადი ენერგეტიკის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო ახორციელებს პროექტს 'საქართველოში განახლებადი ენერგიების ეფექტურად გამოყენებასა და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვაზე ხელშეწყობა", რომელიც მიზნად ისახავს ქვეყანაში განახლებადი ენერგიების ეფექტურად გამოყენებისა და ენერგოეფექტურობის საკითხებთან დაკავშირებით ქმედითი საკანონმდებლო ბაზის შექმნას, რაც განხორციელდება არასამთავრობო სექტორის ინიციატივების კონსოლიდირების, სამართლებრივი მხარდაჭერის უზრუნველყოფის, სამთავრობო სტრუქტურებისა და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესებში მათი აქტიურად ჩართვის გზით.

პროექტის მიმდინარეობის ფარგლებში განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი ქმედება, მოეწყო საზოგადოებრივი შეხვედრები სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, დარგის სპეციალისტებთან, დაიგეგმა შემდგომი თანამშრომლობის ქმედებები. პროექტი ხორციელდება ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით.

უფრო კონკრეტულად თუ რა ეტაპზეა პროექტის მიმდინარეობა და რა ღონისძიებებია დაგეგმილი პროექტის ფარგლებში, გვესაუბრა პროექტის 'საქართველოში განახლებადი ენერგიების ეფექტურად გამოყენებასა და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვაზე ხელშეწყობა" კოორდინატორი, მწვანეთა მოძრაობის წევრი ბ-ნი გიორგი მაღრაძე.

***— ბ-ნი გიორგი, რა ღონისძიებები განახორციელეთ პროექტის მიმდინარეობის პირველ ეტაპზე?***

— მოგეხსენებათ, რომ დღეს მთელ მსოფლიოში საკმაოდ აქტუალურად მიმდინარეობს ენერგიის განახლებადი წყაროების დანეგვის ხელშეწყობაზე მუშაობა. საქართველოს ამ მხრივ, დიდი პოტენციალი გააჩნია. თუმცა, რაიმე მასშტაბური ქმედება არ განხორციელებულა. საჭიროა მიზანმიმართული და გეგმაზომიერი ღონისძიებების გატარება, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ენერგიის განახლებადი წყაროების დანერგვას; განახლებადი ენერგიებისა და ენერგოეფეტურობის პოტენციალის საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მათ აქტიურ




ჩართვას; ქვეყანაში განახლებადი ენერგიების ეფექტურად გამოყენებისა და ენერგოეფექტურობის საკითხების საკანონმდებლო დონეზე ლობირებას. პროექტის საწყის ეტაპზე მოხდა საქართველოში არსებული განახლებადი ენერგიისა და ენერგოეფექტურობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების, ექსპერტებისა და დაინტერესებული პირების შეკრება, რასაც კოორდინაცია გაუწია პროექტის განმახორციელებელმა ჯგუფმა. პირველ საკოორდინაციო შეხვედრაზე საუბარი იყო საქართველოში განახლებადი ენერგიების ეფექტურად გამოყენებისა და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის კუთხით არსებულ პრობლემებსა და შესაძლებლობებზე. შეიქმნა ოთხი თემატური სამუშაო ჯგუფი, რომლებმაც დაგეგმეს მუშაობა შემდეგი 4 მიმართულებებით:

1.საქართველოში მზის, ბიომასის, გეოთერმული და ქარის ენერგიის პოტენციალის შეფასებასა და პერსპექტივაში რეალურ გამოყენებასთან დაკავშირებით დასკვნისა და პრეზენტაციის მომზადება;

2.საქართველოში ენერგოეფექტურობის აუცილებლობის, მისი ათვისების პოტენციალსა და მოსალოდნელი შედეგების თაობაზე დასკვნის და პრეზენტაციის მომზადება;

3.საქართველოში მზის, ქარის და გეოთერმული წყლების ენერგიების ეფექტურად გამოყენებასა და ენერგოეფეტურობასთან დაკავშირებით არსებული საკანონმდებლო ბაზის ანალიზი და რეკომენდაციების მომზადება;

4.საქართველოს ინოვაციური ინტელექტუალური პროდუქტის პრაქტიკული გამოყენების მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ მიმოხილვისა და პრეზენტაციის მომზადება.

***— თქვენ აღნიშნეთ, რომ შეიქმნა 4 თემატური ჯგუფი, რომლებიც მუშაობენ 4 მიმართულებით. რა მდგომარეობაა ამ ეტაპისთვის?***

— თითოეულ ჯგუფში გაწევრიანებულია 5-8 ექსპერტი და პრაქტიკოს-სპეციალისტი და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც მუშაობენ შესაბამისი რეკომენდაციებისა და წინადადებების მომზადებაზე. ამ ეტაპისთვის თითოეულმა ჯგუფმა გამართა 5-7 სამუშაო შეხვედრა. ოთხივე მიმართულებით შემუშავებულია ექსპერტული დასკვნები და რეკომენდაციები. დაგეგმილია აღნიშნული დოკუმენტების წარდგენა სხვადასხვა დაინტერესებული თუ პასუხისმგებელი ორგანოებისა და ორგანიზაციებისადმი.

***— რა ბედი ელის თემატური ჯგუფების მიერ მომზადებულ დასკვნებსა და რეკომენდაციებს, იგეგმება თუ არა სამომავლოდ აღნიშნული მასალების წარდგენა შესაბამისი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოებისათვის?***

— მომზადებული რეკომენდაციები ემსახურება საქართველოში განახლებადი ენერგიებისა და ენერგოეფექტურობის მიმართულებით პროტექციონისტული საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებას. ამდენად, პროექტის დასკვნით ეტაპზე დაგეგმილია წარმომადგენლობითი საერთაშორისო კონფერენცია, რომელზეც მოწვეულნი იქნებიან საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები, საერთშორისო ექსპერტები. კონფერენციაზე მიღებული იქნება დეკლარაცია და საპროგრამო დოკუმენტი ქვეყანაში განახლებადი ენერგიების გამოყენებისა და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვასთან დაკავშირებით. მასალები გადაეცემა შესაბამის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებს. ვიმედოვნებთ, რომ კონფერენციის დეკლარაცია და საპროგრამო დოკუმენტი შექმნის ერთიან პლატფორმას არასამთავრობო სექტორის კოორდინირებული, ეფექტური და რეგულარული მოქმედებებისათვის, რითაც შეიქმნება ქსელური მუშაობის რეალური წინაპირობა; გაიზრდება სამთავრობო და საკანონმდებლო სტრუქტურების წარმომადგენელთა ინფორმირების დონე განახლებადი ენერგიებისა და ენერგოეფექტურობის საკითხებთან დაკავშირებით და მომზადდება საინფორმაციო საფუძველი ამ საკითხების სახელმწიფო პრიორიტეტებში დანერგვისათვის. უნდა გაიზარდოს მოსახლეობის ფართო ფენების ინფორმირებულობა განახლებადი ენერგიებისა და ენერგოეფექტურობის უახლესი ტექნოლოგიების დანერგვის საკითხებთან დაკავშირებით.

***— რა კონკრეტული გეგმები გაქვთ საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით დასახული?***

— პროექტის ფარგლებში გამოიცემა სპეციალური საინფორმაციო ლიფლეტი და ბიულეტენი, სადაც პოპულარულ ენაზე იქნება განმარტებული განახლებადი ენერგიების გამოყენებასთან და ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებული საკითხები, წარმოდგენილი იქნება პრაქტიკული რჩევები სახლებისა და ოფისების ენერგოდანახარჯების შემცირებასთან დაკავშირებით და ა.შ. აღსანიშნავია, რომ საზოგადოების მხრიდან მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში გაცილებით მარტივად მოხერხდება სათანადო საკანონმდებლო ბაზის შექმნა და ამოქნედება, ამიტომ ეს პოტენციალი სათანადოდ უნდა იქნას გამოყენებული. სწორედ, საზოგადოების აქტიურობის შედეგია ის, რომ ევროპის ბევრ წამყვან ქვეყანაში დღეს დიდი ყურადღება ექცევა განახლებადი ენერგიის წყაროების ფართოდ გამოყენებისა და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის საკითხებს. ამის საუკეთესო მაგალითია გერმანია, სადაც 2012 წელს გამომუშავებული ელექტროენერგიის 50%-ზე მეტი მზის ენერგიაზე მოდის. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი პროექტი სერიოზულ წვლილს შეიტანს საქართველოში ამ თვალსაზრისით მდგომარეობის გამოსწორების საქმეში და საფუძველს დაუდებს დაინტერესებული მხარეების კოორდინირებულ მუშაობას ჩვენი ქვეყნის ენერგოპოტენციალის მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფისათვის.

## საქართველოს მწვანეთა მოძრაობის

### მ ი მ ა რ თ ვ ა ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებისადმი

ქალბატონებო და ბატონებო,

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა ერთერთი უძველესი არაპოლიტიზირებული არასამთავრობო ორგანიზაციაა საქართველოში და ჩვენი არსებობის პერიოდში მრავალი მტკივნეული საკითხი გვაქვს გამოტანილი საზოგადოების სამსჯავროზე. ჩვენი ძალისხმევის შედეგად ხელისუფლებაც არაერთჯერ გამხდარა იძულებული მიელო საზოგადოებისა და ქვეყნის სასიკეთო გადაწყვეტილებები.

ჩვენი საქმიანობის ერთერთი ძირითადი მიმართულებაა ენერგეტიკის სფერო.

ამ საკითხებს ეძღვნება ამჟამად მიმდინარე სამუშაოები, სადაც ჩართულნი არიან მაღალი დონის პროფესიონალები საქართველოს სამეცნიერო წრეებიდან, ექსპერტები და პრაქტიკოსები.

ჩვენი მიზანია განახლებადი ენერგიების (მზის, ქარის, გეოთერმული, ბიო) ეფექტურად გამოყენება და ენერგოეფექტურობის სასურველი დონის მიღწევა, რისთვისაც ერთობლივი ძალებით ყალიბდება მოთხოვნები საკანონმდებლო, საინვესტიციო, ეკონომიკის სფეროებში და მ/წლის სექტემბერში, წარმომადგენლობით კონფერენციაზე, წარედგინება ხელისუფლებასა და ყველა დანარჩენ პოლიტიკურ ძალას.

დასკვნების, რეკომენდაციებისა და მოთხოვნების სრულყოფას დიდად შეუწყობს ხელს მზადების პროცესში თქვენი აქტიური მონაწილეობა, რისთვისაც გთხოვთ ითანამშრომლოთ სამუშაო ჯგუფთან. ამისათვის, მ/წლის 27 ივლისს, 12 საათზე სამუშაო ჯგუფი გამართავს შეხვედრას ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან.

შეხვედრა გაიმართება მისამართზე: ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქუჩა, №10ა, მე-4 სართული, ბინა 6.

გთხოვთ დაგვიკავშირდეთ ტელეფონებზე: **239-95-43, 599-24-46-32, 555-53-34-49.**

ელ-ფოსტა: **www.info@greens.ge**

ჩვენი განზრახვა მხარდაჭერილია არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ. პროექტი ხორციელდება ფრიდრიხ ებერტის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

**წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.**

# ილია II: სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას არ უნდა შეეშინდეს"



სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად მთელი საქართველო ფეხზე დგას, ამიტომ მოსახლეობას არ უნდა შეეშინდეს. ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II თელავის საკათედრო ტაძარში პარაკლისის დასრულების შემდეგ მოსახლეობის მიმართვისას განაცხადა.

„ჩვენ ვმადლობთ უფალს, რომ არ არის ადამიანის მსხვერპლი. დანარჩენი ყველაფერი გაკეთდება, ჩვენი ხალხი ყველაფერს გააკეთებს, რომ თქვენ არ გაგიჭირდეთ. ყველაფერი კარგად იქნება"-განაცხადა პატრიარქმა.

უწმინდესმა რამდენიმე დღის წინ კახეთში მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას საქართველოს საპატრიარქოს მიერ გამოყოფილი დახმარებაც გადასცა.

ნიუსპრესი

# ბათუმში 40-სართულიანი შენობა იუნკერთა საფლავებთან აღარ აშენდება"

პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების" წევრის მურმან დუმბაძის განცხადებით, ბათუმში იუნკერთა საფლავების მიმდებარე ტერიტორიაზე 40-სართულიანი შენობა აღარ აშენდება. ამის შესახებ დუმბაძემ გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. მისი თქმით, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირმა ოფიციალური წერილი მიაწოდა, სადაც აღნიშნულია, რომ თურქულ კომპანია „სისთემინშაათი" მშენებლობას ამ ტერიტორიაზე აღარ აპირებს. დუმბაძის მტკიცებით, სანაცვლოდ, თურქ ინვესტორს აჭარის მთავრობამ სხვა ტერიტორია მისცა, რომელიც 3997 კვ.მ ფართობს შეადგენს.

მისი თქმით, იუნკერების საფლავთან ტერიტორია აჭარის მთავრობის ხელმძღვანელმა ლევან ვარშალომიძემ თურქ ინვესტორს 1 ლარად მიყიდა, რასაც ბათუმში საზოგადოების პროტესტი მოჰყვა. მშენებლობის წინააღმდეგ რამდენიმე აქციაც გაიმართა.

ნიუსპრესი

# თავისუფალი საქართველო" მეტროსადგურ სამგორში" მომხდარ სუიციდის ფაქტთან კავშირს უარყოფს

პარტია „თავისუფალი საქართველო" მეტროსადგურ „სამგორში" ფრიდონ ჯანჯღავას მიერ თვითმკვლელობის ფაქტთან ყოველგვარ კავშირს უარყოფს.

პარტიის პრესსამსახურის განმარტებით, მედიისთვის მიცემულ ინტერვიუში გარდაცვლილის ნათესავებმა განაცხადეს, რომ ვინმე ბუკიამ ჯანჯღავას ოჯახს, სახლის იპოთეკით დატვირთვით, თანხა გამოსძალა. ნათესავების თქმით, ბუკია ჯანჯღავების ოჯახს „კახა კუკავას პარტიაში სამსახურის დაწყებით აიმედებდა" და ფულის დაბრუნებას ჰპირდებოდა.

„თავისუფალი საქართველოს" პრესსამსახური აცხადებს, რომ არცერთ მათგანს პარტიასთან კავშირი არ აქვს და საქმე თაღლითობის ფაქტთან გვაქვს.

პარტია „თავისუფალი საქართველო" მიმართავს სამართალდამცავ უწყებებს და მოითხოვს დაუყოვნებლივ გამოიძიონ აღნიშნული საქმე და თაღლითური სქემის ავტორები დასაჯონ.

მეტროსადგურ „სამგორში" 50 წლის ფრიდონ ჯანჯღავამ თავი გუშინწინ მოიკლა. ის ლიანდაგებზე მაშინ გადახტა, როდესაც მატარებელი სადგურზე შემოდიოდა. მემანქანემ დამუხრუჭება ვერ მოასწრო და მატარებელმა მამაკაცს გადაუარა. ფრიდონ ჯანჯღავა ადგილზე გარდაიცვალა.

ნიუსპრესი

# მაია ფანჯიკიძე: ქართულ ოცნებასა" და ჯონდი ბაღათურიას შორის მოლაპარაკებები ჯერ არ დასრულებულა"



პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნება" პარტია „ქართული დასის" ლიდერთან ჯონდი ბაღათურიასთან მოლაპარაკებებს აგრძელებს.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე კოალიციის პრესსპიკერმა მაია ფანჯიკიძემ განაცხადა, ბაღათურისათან ახალი შეხვედრა ჯერ არ გამართულა, თუმცა, თანამშრომლობის პერსპექტივა ისევ ძალაშია.

„ჯონდი ბაღათურიასთან რამდენადაც ვიცი, ახალი შეხვედრა არ გამართულა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თანამშრომლობა შეწყვეტილია ან დასრულებულია. ამ თანამშრომლობას კიდევ აქვს პერსპექტივა"– განაცხადა ფანჯიკიძემ.

მან კოალიციის ლიდერების სოზარ სუბარისა და ლევან ბერძენიშვილის მაჟორიტარობის კანდიდატებად არ დასახელებაზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ისინი საერთო შტაბის მუშაობაში ჩაერთვებიან, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია.

„ძალიან ბევრი ცნობილი სახე საერთო შტაბის მუშაობაში ჩაება, მათ შორის ლევან ბერძენიშვილი და სოზარ სუბარი. ბერძენიშვილი ამ ეტაპზე არ იმყოფება საქართველოში, ხოლო სოზარ ახლა შტაბის სხდომას ესწრება"– განაცხადა ფანჯიკიძემ და აღნიშნა, რომ საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები კოალიციაში შემავალი სხვადასხვა სუბიექტებიდან, საარჩევნო სიაში ძალიან პრესტიჟულ ადგილებზე იქნებიან.

ნიუსპრესი

# ნავთობზე ფასი არ გაიზრდება

ლიზა მახარაშვილი

**საწვავის ფასებთან დაკავშირებით ექსპერტებს დღემდე განსხვავებული მოსაზრებები აქვთ. ნაწილი ფიქრობს, რომ საწვავზე ფასები ხელოვნურადაა გაზრდილი. ბუნებრივია, ნებისმიერ მოსაზრებას აქვს არსებობის საშუალება, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, პასუხგაუცემელი კითხვები მაინც რჩება. ყველაზე მარტივი კითხვა, რომელიც შეიძლება დავსვათ, არის ის, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც მაღალი ფასების პირობებში საწვავზე მოთხოვნილება იკლებს და როდესაც ამავე მიზეზის გამო მასობრივად ხდება ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადასვლა გაზზე, რატომ უნდა შედიოდეს ფასების ზრდა ამა თუ იმ კომპანიის ინტერესში.**



ამ და სხვა კითხვებზე პასუხის მისაღებად ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე **ვახტანგ იოზაშვილს** მივმართეთ.

***— ბატონო ვახტანგ, პირველ რიგში, მინდა გკითხოთ, ადასტურებთ თუ არა იმას, რომ თქვენი კავშირი ნავთობკომპანიებს ლობირებას უწევს და, აქედან გამომდინარე, თქვენი და კომპანიების პოზიციები უმეტეს შემთხვევაში ემთხვევა ერთმანეთს. მართლაც არის თუ არა ხელოვნურად ფასები გაზრდილი, იქნებ აგვიხსნათ, რა ხდება რეალურად, გვაქვს თუ არა პირად შემოქმედებასთან საქმე, როგორც ამას ბევრი ექსპერტი ამტკიცებს?***

— ჩვენ არ ვმალავთ იმას, რომ ნამდვილად ვართ ნავთობკომპანიების ინტერესების დამცველი. ნამდვილად გვეამაყება, რომ ეს არის ერთ-ერთი კარგად ჩამოყალიბებული და გამჭვირვალე სექტორი. ეს სექტორი ბიუჯეტში შენატანებით სხვა ბიზნესებს შორის პირველ ადგილზეა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს კომპანიები არის იმის გარანტი, რომ ქვეყანაში ყოველთვის იქნება სამუშაო ადგილები, ადამიანები იღებენ ღირსეულ ანაზღაურებას და არ ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე კომპანიას დაეწყოს სამუშაო ადგილების შემცირება. მაგრამ ის ადამიანები, რომლებიც ცდილობენ, ამ კომპანიებს მოსცხონ ჩირქი, წინა ხელისუფლების კორუმპირებული გადმონაშთები არიან. მათ ვურჩევდი, ჯერ ძირეულად შეისწავლონ საკითხი, რაზეც იწყებენ საუბარს, რომ არ გააკეთონ არაკომპეტენტური განცხადებები, რითიც ისინი ყოველთვის სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ხოლმე. იმისათვის, რომ ადამიანები შეცდომაში არ შეიყვანო, პირველ რიგში, ელემენტარული არითმეტიკის ცოდნაა საჭირო და იმის დათვლა, თუ რატომ არის ნავთობპროდუქტზე ესა თუ ის ფასი.

***— რატომაა მათი კალკულაცია განსხვავებული, სად უშვებენ შეცდომას?***

— მათ კალკულაციაში ძალიან ბევრი ფაქტორი არ არის გათვალისწინებული. თუ სწორად არ დაითვლი, რა თქმა უნდა, ციფრები არასწორად და ბევრად ნაკლები გამოვა. მაგალითად, ბატონი იზორია თავგამოდებით ანგარიშობს ყოველთვის საწვავის ფასებს, მაგრამ მას და მის გუნდს ეშლება ტონაში ლიტრაჟი და მისი კუთრი წონა.

***— რომელ ფაქტორებს არ ითვალისწინებენ?***

— ეს არის შიდა გადაზიდვები, სატერმინალო მომსახურება, ვაგონის მოცდენა, რომელიც გარანტირებული აქვს ნებისმიერ მეწარმეს. ვაგონის მოცდენა ღირს ხუთასი ლარი. ეს ყველაფერი ხომ აისახება ერთობლიობაში ფასებზე. ასევე არ ითვლიან დაბეგვრის სისტემას. ეს ყველაფერი უნდა დაითვალოს, თუ უნდათ, სწორი ფორმულა გამოიყვანონ, მაგრამ ისინი სწორ ფორმულას ვერ გამოიყვანენ და იცით, რატომ? იმიტომ, რომ არ უნდათ.

***— ამბობთ, რომ დღეს საქართველოს ბაზარზე არსებული ფასები შესაბამისობაში მოდის საერთაშორისო ბაზრის ფასებთან.***

— რა თქმა უნდა. აბსოლუტურად შესაბამისობაშია, ჩვენ ეს არაერთხელ გვითქვამს, აგვიხსნია, დაგვითვლია. ასე რომ, თუ ვინმეს გაგება უნდა, ნამდვილად გაიგებდა, მაგრამ, არიან ადამიანები, ძირითად ყოფილი ჩინოვნიკები, რომლებიც ცდილობენ, ყოველთვის აკეთონ რაღაც პოლიტიკური განცხადებები, ცდილობენ, რაღაც თემაზე ლაპარაკით დაიწერონ ქულები, მაგრამ მათ ავიწყდებათ, რომ ჩვენ არ ვართ პოლიტიკოსები, ჩვენ ვაკეთებთ ჩვენს საქმეს და პოლიტიკაში გარევის არანაირი სურვილი არ გვაქვს. ერთადერთი, რაც ჩვენთვის არის მთავარი, ისაა, რომ ჩვენი ქმედება ყოველთვის ჯდებოდეს კანონის ჩარჩოებში და ასეც არის, ვერც ერთი ე.წ. ექსპერტი ვერ იპოვის ერთ გადაცდომასაც კი. ეს ბიზნესი კეთილსინდისიერად აკეთებს თავის საქმეს და, თუ ვინმეს რაღაცის გაგება, უბრალოდ, არ უნდა, ეს უკვე მათი პრობლემაა და არა ჩვენი.

***— შიდა გადაზიდვებზე პროდუქტებზე ფასების ზრდას პირდაპირ უკავშირებენ საწვავზე არსებულ ფასს. რამდენადაა ეს ყველაფერი ურთიერთკავშირში?***

— ერთი პერიოდი, როდესაც ხორცი ძალიან გაძვირდა, ჩვენ ეს ყველაფერი ძალიან მარტივად დავითვალეთ. დავუშვათ, ადამიანმა თელავიდან წამოიღო თბილისში ხორცი გასაყიდად, მას ხომ არ მოაქვს ერთი და ორი კილოგრამი, მოაქვს ხუთასი და მეტი. საწვავის მატების ხუთი თეთრი ხუთას კილოზე რომ გადავანაწილოთ, რამდენი თეთრით უნდა გაეძვირებინა მას ხორცი? ხუთი და ათი ლარით? მაგრამ ვილაცისაკენ ხელის გაშვერა და რაღაცის გადაბრალება ყოველთვის ძალიან იოლია. მე მესმის, რომ ვიღაც ოპოზიციაშია და მას თავისი საქმე აქვს, მაგრამ ეს არ არის ოპოზიციური აზროვნება. ეს სიძულვილით აღსავსე ადამიანების აზროვნება და ლაპარაკია.

***— დღეისათვის რა მდგომარეობაა სანავთობე ბაზარზე, ფასების მატება ხომ არ არის მოსალოდნელი?***

— ამ ეტაპზე არ ველოდებით ფასების მატებას. თუმცა, ეს ბოლო დღეები მცირედი მატება დაფიქსირდა საერთაშორისო ბაზარზე, მაგრამ ჩვენთან ეს არ ასახულა.

***— ბოლო პერიოდში მასობრივად ხდება სატრანსპორტო საშუალებების გადასვლა გაზის მოხმარებაზე, რომელიც შედარებით იაფია. ხომ არ არის იმის საშიშროება, რომ სამანქანო გაზის ფასმა მოიმატოს?***

— არა. არსებობს სახელმწიფოებრივი ხელშეკრულება საქართველოს სახელმწიფოსა და აზერბაიჯანს შორის, სადაც ცალსახად არის აღნიშნული, რომ ფასის მატება არ მოხდება. ამ თემაზე საუბარიც კი არასდროს ყოფილა.

***— ამით ხომ არ შემცირდა საწვავზე მოთხოვნილება?***

— თუ ამდენი მანქანა გაზს არ მოიხმარდა, ბუნებრივია, საწვავზე მოთხოვნილებაც შედარებით მაღალი იქნებოდა. თუმცა, ნავთობპროდუქტებს ჰყავს თავისი სეგმენტი და ვფიქრობ, რომ ბენზინსა და დიზელზე მომუშავე ავტოსატრანსპორტო საშუალებები ბევრად უფრო უსაფრთხოა ქალაქისთვისაც და მომხმარებლისთვისაც.

# ეროვნული გამოცდების შედეგების გამოქვეყნება დაიწყო

ნათია ხურცილავა

გამოცდების ეროვნული ცენტრი ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების გამოცხადებას იწყებს. როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში აცხადებენ, გამოცდების შედეგების გაგება გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით იქნება შესაძლებელი.



აღნიშნული სერვისით სარგებლობა ნებისმიერი მობილური ოპერატორის აბონენტს შეეძლება.

ამისათვის მათ საგამოცდო ბარათზე წითლად მითითებული 9 ნიშნა საიდენტიფიკაციო კოდი უნდა გაგზავნონ, წელს უკვე განახლებულ ნომერზე – 9333. მომსახურება ფასიანია, როგორც ცნობილია, მომსახურების საფასურია 50 თეთრი. სამინისტროს ინფორმაციით, წელს, ზოგადი უნარების გამოცდაში მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადასალახავად აბიტურიენტს 21 სწორი პასუხი უნდა ჰქონოდა. გარდა მედიკოსის, სტომატოლოგის, ფარმაციისა და იურიდიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების მსურველებისა, სადაც ზღვარი 10 პროცენტითაა გაზრდილი.

გამოცდები ზოგად უნარებში 9 და 10 ივლისს ჩატარდა. დარეგისტრირებული 35 ათასზე მეტი აბიტურიენტიდან გამოცდაზე გამოცხადდა 97 პროცენტზე მეტი, დაიგვიანა ოთხმა.

მხოლოდ უნარების გამოცდაში მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა საკმარისია იმისთვის, რომ აბიტურიენტი სურვილის შემთხვევაში პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხოს. ხოლო ამავე გამოცდაში 40 პროცენტი ბარიერის გადალახვის შემთხვევაში, პროფესიულ კოლეჯში სწავლის გასაგრძელებლად იგი სახელმწიფოსგან 1000 ლარიან ვაუჩერს მიიღებს.

სახელმწიფო სასწავლო გრანტის მინიჭებისას, სხვა საგნებთან შედარებით, ზოგადი უნარების ქულის კოეფიციენტი ყველაზე მაღალია.

წელს, ზოგადი უნარების გამოცდაში აბიტურიენტების 92 პროცენტზე მეტმა მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა შეძლო.

# საია სტუდია მონიტორის“ საქმეზე სწრაფ გამოძიებას ითხოვს

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) „სტუდია მონიტორის“ საქმეზე სწრაფი და ეფექტური გამოძიების ჩატარებას ითხოვს

როგორც საიას განცხადებაშია ნათქვამი, 22 ივლისს აიიპ „სტუდია მონიტორის“ ჟურნალისტებს ოფისი გაქურდული დახვდათ. ამ ეტაპზე ცნობილია, რომ „სტუდია მონიტორის“ ოფისიდან ექვსი პერსონალური კომპიუტერი, ორი სამონტაჟო, ორი კამერა, ერთი შტატივი და ერთი ფლეშ კამერაა დაკარგული. აპარატურასთან ერთად ასევე დაკარგულია ჟურნალისტების სამუშაო მასალები.

„სტუდია მონიტორი“ წარმოადგენს დამოუკიდებელ ჟურნალისტურ გაერთიანებას, რომელიც მნიშვნელოვან საქმიანობას ახორციელებს ქვეყანაში გამოხატვის თავისუფლების რეალიზაციის კუთხით. აღნიშნული სტუდია ერთ-ერთი გამონაკლისია, რომელიც ამზადებს ჟურნალისტურ გამოძიებებს და შესაბამისად, განსაკუთრებული დატვირთვა აქვს საზოგადოების წინაშე. „სტუდია მონიტორი“ 2005 წლის 14 დეკემბერს შეიქმნა და ამ პერიოდიდან აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან და სარგებლობს საიას ქართული მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრის მომსახურებით.

საია-ს ქართული მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრი მიაჩნია, რომ „სტუდია მონიტორის“ საქმეზე მნიშვნელოვანია სწრაფი და ეფექტური გამოძიება, რათა ჟურნალისტებს მიეცეთ შესაძლებლობა, დაიბრუნონ მასალები და ტექნიკა, რათა სწრაფად აღადგინონ მუშაობის ჩვეული რეჟიმი.

მედიანიუსი

# ქდმ-ს ლიდერები ყელქცეულის მოსახლეობას ყანის გამარგვლაში დაეხმარნენ

„ქრისტიან-დემოკრატების“ ლიდერები გორის რაიონის სოფელ ყელქცეულის მოსახლეობას სიმინდის ყანის გამარგვლაში დაეხმარნენ.

პარტიის პრესსამსახურის ცნობით, „ქრისტიან-დემოკრატიულიმოძრაობის“ ლიდერებმა გიორგი თარგამაძემ და ლევან ვეფხვაძემ გორის რაიონის სოფელ ყელქცეულაში სიმინდის ყანაში მიმდინარე სამუშაოებში მონაწილეობა ადგილობრივ გლეხებთან ერთად მიიღეს. რის შემდეგაც ადგილობრივებ მაცხოვრებლებთან სოფლის მეურნეობის საკითხები განიხილეს.

ქდმ-ს ლიდერების თქმით, აღნიშნული სოფლის მოსახლეობას მთლიანად უნადგურდება კომბოსტოს მოსავალი, რადგან არ არსებობს ბაზარი, სადაც მოხდება პროდუქტის რეალიზაცია. ამ მიზეზის გამო ორი წლის განმავლობაში ასეულობით ტონა კომბოსტო გადაიყარა. ამასთან, მათ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დეფიციტი აქვთ. გარდა ამისა, „ქრიატიან-დემოკრატების“ განცხადებით, გლეხებს დიდ ფინანსურ პრობლემას უქმნის მაღალპროცენტიანი (38%) აგროსესხიც.

„ქრისტიან-დემოკრატებმა“ ყელქცეულის მოსახლეობას სოფლის მეურნეობის საკუთარი პროგრამა — „ქდმ-ს 10 ნაბიჯი სოფლის მეურნეობის განსავითარებლად“ გააცნეს.

„იმისთვის, რომ სასოფლო-სამეურნეო პროცესი არ მიმდინარეობდეს სპონტანურად, გლეხს ჰქონდეს სტაბილური შემოსავალი და მოტივაცია საქმიანობისთვის, აუცილებელია არსებობდეს დაბალპროცენტიანი აგროსესხი, შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და გასაღების ბაზარი, რომ გლეხი გახდეს კონკურენტუნარიანი და შემოსავლიანი“. — განაცხადა გიორგი თარგამაძემ.

ინტერპრესნიუსი

# ბალათურიამ მთავრობისაგან სარეზერვო ფონდების გახარჯვაზე ინფორმაცია მოითხოვა

პოლიტიკური გაერთიანება „ქართული დასის“ ლიდერი, ოპოზიციონერი დეპუტატი ჯონდი ბალათურია მთავრობისგან სარეზერვო ფონდების გახარჯვაზე ინფორმაციას ითხოვს.

როგორც მან გუშინ პარლამენტის ბიუროს რიგგარეშე სხდომაზე იკითხა, მაშინ, როცა პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდები არსებობს, სტიქიით დაზარალებულთა დახმარებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა რისთვის არის საჭირო.



„პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდები სწორედ ეპიდემიების, მიწისძვრების და სხვა ბუნებრივი კატაკლიზმებით გამოწვეული შედეგების სალიკვიდაციოდ იქმნება. მთავრობამ მოგვახსენოს, რაში დახარჯა ეს სარეზერვო თანხა“, — აღნიშნა ჯონდი ბალათურიამ.

პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძემ დეპუტატს გამოსვლა შეაწყვეტინა და შესაბამისი კითხვების დასმა მისი ფრაქციის — „ერთობა სამართლიანობისთვის“ — სხდომაზე ფინანსთა მინისტრ დიმიტრი გვინდაძისათვის ურჩია. შეგახსენებთ, რომ საქართველოს რეგიონებში სტიქიის შედეგების ლიკვიდაციისა და მოსახლეობისათვის კომპენსაციების გასაცემად სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებები შედის.. ცვლილებებს პარლამენტი რიგგარეშე სხდომაზე 25 ივლისს განიხილავს.

მედიანიუსი

# მიხეილ სააკაშვილმა ოლიმპიური ნაკრების წევრები მიიღო

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, ლონდონში გამგზავრების წინ, საქართველოს ოლიმპიური ნაკრების წევრები პრეზიდენტის სასახლეში მიიღო და სპორტულ თამაშებში წარმატებები უსურვა.

„წინ დიდი შეჯიბრი გაქვთ, ჩვენ კი თქვენი გამარჯვების დიდი ემოციები. ქართველი კაცი ის მებრძოლია, რომელიც გამარჯვების იმედს, ყველაზე გამოუვალ და რთულ სიტუაციაშიც კი არ კარგავს, გამარჯვების შანსი ყველა სახეობაში გვაქვს, მთავარია ვიბრძოლოთ. დღეს მსოფლიოში ბევრი აღიარებს, რომ მრავალი პრობლემის მიუხედავად, საქართველო პირველ პოზიციებს იკავებს. ასე უნდა ვიყოთ სპორტში“, — აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა ოლიმპიელებთან შეხვედრისას.

საქართველოს სახელით, ეროვნულ ნაკრებში, ქვეყნის ღირსებისთვის წელს წარმოშობით პოლონელი მძლეოსანი მასიეჯ როსიევიჩი ისპარეზებს.

წლევანდელ ოლიმპიადაზე სპორტის 12 სახეობაში 35 ქართველი სპორტსმენი იასპარეზებს. გუნდის მედროშე და კაპიტანი ტყვიის მსროლელი ნინო სალუქვაძე იქნება.

მედიანიუსი

# ocdaaTmetriani bari da bevri ludi `nataxtarisgan~



საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების წევრმა ჯაბა ბრეგვაძემ ჩაქუჩი კასრს დაარტყა და... ფესტივალიც დაიწყო!

უკვე მესამე ზაფხულია, კომპანია „ნატახტარი“ თბილისში, „ვარდების რევოლუციის მოედანზე“, ლუდის მოყვარულებისთვის თბილისის ლუდის ფესტივალს აწყობს. წლევანდელი ღონისძიება კი ყველაზე მასშტაბური და ხალმხრავალი იყო.

მზიანი დღეები, მუსიკა და ძალიან ბევრი ცივი ლუდი! ორი დღის განმავლობაში ასე გრძელდებოდა, ამასთან ვარდების მოედანზე ძალიან ბევრ მხიარულ სახეს შეხვდებოდით – ფესტივალმა ლუდის მოყვარულთა იმედები გაამართლა.

ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში გავრცელებული ლუდის ფესტივალების ქართულმა ანალოგმა, ტრადიციული სახე მიიღო. ის უკვე მესამედ გაიმართა და მართლაც, ყველაზე ხალხმრავალი გამოდგა. ყველაზე მასშტაბური ლუდის ფესტივალი გასული წლების მსგავსად, ორი დღის განმავლობაში გაგრძელდა.

„თბილისის ლუდის ფესტივალზე“ დასწრება ყველა მსურველს უფასოდ შეეძლო. წლევანდელი ფესტივალი იმითიც იყო გამორჩეული, რომ ორგანიზატორებმა წინა წლების გამოცდილებიდან გამომდინარე ფესტივალზე დამსწრეებს უფრო კომფორტული მომსახურება შესთავაზეს. 30–მეტრიან ბართან ვიზიტორებს ლუდის დაგემოვნება ისე შეეძლოთ, რომ თითქმის არ უწევდათ რიგში დგომა. გარდა ამისა, ფესტივალს 100–მდე პროფესიონალი მომსახურე პერსონალი ემსახურებოდა.

ფესტივალი დატვირთული იყო უამრავი გასართობი, საინტერესო, საკონკურსო და სახალისო ღონისძიებით. მუსიკალურ საღამოს გიორგი ყიფშიძე უძღვებოდა. მოედანზე დამონტაჟებულ სპეციალურ სცენაზე, გაიმართა ცოცხალი კონცერტები ცნობილი ქართული ჯგუფებისა და მუსიკოსების მონაწილეობით – „მგზავრები“, „ბანდეროლი“, კორკოტა, დავით ილურიძის ბენდი, „ზარები“, „ნალი“ და „ზურგი“ ყველასთვის საყვარელ სიმღერებს ასრულებდნენ, თანაც ისეთს, ლუდს რომ უხდება.



რაც შეეხება ლუდს, კომპანია „ნატახტარმა“ ფესტივალზე 4 დასახელების ლუდი წარმოადგინა – „ნატახტარი“, „ქარვა“, „ეფესი“ და „მთიელი“. როგორც მოგეხსენებათ, „მთიელი“ ახლახანს გამოჩნდა ქართულ ბაზარზე და ძირითადი დატვირთვა ამ ლუდზე მოდიოდა. ახლადჩამოსახმელი „მთიელი“აშკარად სასიამოვნო ლუდი გამოდგა.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ფესტივალზე მარტო ქართველებს არ შეხვდებოდით, ბლომად ირეოდნენ უცხოელები და ქართულ ლუდს სიამოვნებით აგემოვნებდნენ.

**ფესტივალთან დაკავშირებით ვესაუბრეთ კომპანია „ნატახტარის“ ქსელური მარკეტინგის მენეჯერ ოთარ უნაფქოშვილს:**

– წელს გაორმაგებულია ხალხის რაოდენობა. ასევე მოიმატა ლუდის გაყიდვის რაოდენობამ. მარტო პირველ დღეს 10 ტონა ლუდი დაილია. მეორე დღეს კი მეტი. საერთოდაც ასე ხდება – პირველ დღეს უფრო ცოტა ლუდი იყიდება, მეორე დღეს ხალხის რაოდენობაც იმატებს, იმიტომ რომ ვინც პირველ დღეს არის ნამყოფი, მათთან ერთად სხვებიც მოდიან.

***– წელს მომსახურება მართლაც გაუმჯობესებულია, მიუხედავად მომხმარებლის მატებისა, რიგები თითქმის არ არის.***

– ამ მიმართულების მხრივაც ბევრი ვიმუშავეთ, ეს გამოცდილებამაც მოიტანა. თუ შარშან რამდენიმე წერტილში იდგა ჩამოსასხმელები, წელს ერთი დიდი წერტილი გავაკეთეთ. გასულ წელს რამდენიმე წერტილი ქმნიდა გაუგებრობას, ხალხს ეგონა რომ ლუდი მხოლოდ იმ წერტილში იყო და სხვაგან გადასვლა აღარ უნდოდა, ახლა მათ 30–მეტრიანი ბარი ემსახურებოდა და ყველამ იცოდა სად გაიყიდებოდა ლუდი. ამან რიგები შემცირა და მომხმარებელიც უფრო კმაყოფილი დარჩა. მართალია, იყო კიდევ პატარ–პატარა წერტილი, სადაც კონკრეტული ლუდი ისხმებოდა, მაგრამ ბარი ყველა ადგილიდან კარგად ჩანდა და ძირითადი დატვირთვა სწორედ ამ ბარზე მიდიოდა. გარდა ამისა, შევცვალეთ დიზაინი. ესეც მომხმარებლის პირობების გასაუმჯობესებლად. მაგიდების, ბარის თუ სცენის განლაგება გაცილებით კომფორტული იყო, ვიდრე გასულ წელს. ეს ყველაფერი წელს აშკარად უფრო დახვეწილი იყო. ალბათ წლევანდელი გამოცდილებით, გაისად უფრო უკეთესი იქნება.

***– მსოფლიო მასშტაბით სხვადასხვა სახის ლუდის ფესტივალები გაიმრთება, ერთი, სადაც ყველა კომპანიას შეუძლია თავისი ნაწარმის წარმოდგენა და ინდივიდუალური, რომელსაც ერთი კომპანია ატარებს. ასეთია თქვენ მიერ მოწყობილი ფესტივალი. რამ განაპირობა მისი ჩატარება?***

– დავიწყებ იმით, რომ ეს არის პირველ რიგში სახალხო ზეიმი, ჩვენი მომხმარებლის პატივისცემა. გვინდა ჩვენს ერთგულ მომხმარებელს წელიწადში ერთხელ თუნდაც სიმბოლურ ფასად მიეცეს ჩვენი ლუდის დაგემოვნების საშუალება. გარდა ამისა, ვთავაზობთ უამრავ გასართობს და ორი დღის განმავლობაში სიამოვნებით ატარებს დროს. რაც შეეხება მეორე ვარიანტს, ბათუმის ლუდის ფესტივალზე შესაძლებელია სხვადასხვა ლუდის წარდგენა და ჩვენ იქ ორი ბრენდით – „მთიელით“ და „ნატახტარით“ ვიქნებით წარდგენილნი. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი სრულად კომპანია „ნატახტარი“ თავის თავზე იღებს ფესტივალის ჩატარებას.

ლუდის ფესტივალის სტუმრების აზრით, ეს წამოწყება მისასალმებელია და კარგი იქნება, თუ სხვა კომპანიებიც მიბაძავენ „ნატახტარს“. კვირას გვიან ღამით ყველა კმაყოფილი და ნასიამოვნები დაიშალა.

თბილისის ლუდის ფესტივალის ორგანიზატორები კი ლუდის მოყვარულებს აიმედებენ, რომ ფესტივალი მომავალ წლებშიც ყოველ ზაფხულს გაიმართება და მისი მასშტაბები კიდევ უფრო გაიზრდება!

# მერაბიშვილმა ჟურნალისტებს გადაადგილება შეუზღუდა

ნათია ხურცილავა

ვანო მერაბიშვილმა პრემიერ-მინისტრის რანგში მთავრობის კანცელარიაში გუშინ მთავრობის სხდომა ჩაატარა. მერაბიშვილი შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე ქართულ მედიას არ სწყალობდა, მაგრამ რუსული გამოცემების ხშირი სტუმარი იყო. პრემიერის პოსტის ჩაბარებისთანავე მერაბიშვილმა არალოიალურად განწყობილ ტელეარხს ინტერვიუ მისცა, რაც ბევრმა მერაბიშვილის მართვის სისტემის ცვლილების მესიჯად აღიქვა, თუმცა მისი წინამორბედის, გილაურისგან განსხვავებით, მან ჟურნალისტებს უარი უთხრა, რომ მათ თავიანთი პირდაპირი მოვალეობა განახორციელონ და მინისტრებს კითხვები დაუსვან. მეტიც, ახალმა პრემიერმა მე-12 სართულზე მუშაობაზეც უარი გვითხრა.

ჟურნალისტებს მთავრობის კანცელარიაში მთვარობის სხდომების გაშუქების შესაძლებლობა შეეზღუდათ.

გუშინ მთავრობის კანცელარიაში აკრედიტებულ ჟურნალისტებს გადაადგილების პრობლემებიც შეექმნათ. მე-12 სართულზე, სადაც მთავრობის სხდომები იმართება, პრესას მუშაობის საშუალება არ მიეცა. პრესსამსახურმა მხოლოდ ოპერატორები აიყვანა და დიქტოფონები გაიყოლა. მუშაობის შეზღუდული ფორმატი მინისტრებისთვის კითხვის დასმის შესაძლებლობას არ იძლევა.

როგორც ჩანს, ახალი პრემიერი მთავრობის კანცელარიაში ჟურნალისტების მუშაობის წესს ცვლის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მედიის წარმომადგენლებს მინისტრების კომენტარების ჩაწერის შესაძლებლობა შესაძლოა აღარც ჰქონდეთ. როგორც ჟურნალისტებს მთავრობის პრესსამსახურში განუმარტეს, ამ ეტაპზე მიმდინარეობს მსჯელობა და უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი, რა წესით მოუწევთ ჟურნალისტებს მუშაობა. მთავრობის გუშინდელი სხდომის მიმდინარეობისას ჟურნალისტებს შენობის პირველ სართულზე პრესრუმი გამოუყვეს, სადაც მთავრობის სხდომის დასრულებას დაელოდნენ.

სანამ აღნიშნული ცვლილება განხორციელდებოდა, ჟურნალისტები მთავრობის სხდომის დაწყებიდან დასრულებამდე მე-12 სართულზე იმყოფებოდნენ, სადაც უშუალოდ სხდომა მიმდინარეობდა.

სხდომის შემდეგ კი, ჟურნალისტებს შესაძლებლობა ჰქონდათ, მინისტრებისგან კითხვებზე პასუხები მიეღოთ. მთავრობის კანცელარიაში, პრემიერ-მინისტრ ვანო მერაბიშვილის ხელმძღვანელობით, მინისტრთა კაბინეტის მორიგი სხდომა სხვადასხვა საკითხების განხილვით დასრულდა. სხდომაზე, სხვა საკითხებთან ერთად, კახეთის რეგიონში სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის მიზნით, საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები განიხილეს.

ცვლილებები მოიცავს სტიქიის შედეგად დაზარალებულთათვის კომპენსაციებისა და სხვა სახის დახმარებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხების გამოყოფას. მთავრობის გუშინდელ სხდომაზე „დევნილთა საჭიროებების შესწავლის“ პროგრამების პრეზენტაციაც გაიმართა, რომელიც ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა დალი ხომერიკმა წარმოადგინა.

როგორც მთავრობის პრესსამსახურში აცხადებენ, პროგრამის მიზანია დევნილთა კონკრეტული საჭიროებების შესწავლა და სამინისტროს მიერ მიზნობრივი პროგრამების ეფექტური დაგეგმვა-განხორციელება.

მთავრობის სხდომაზე, რამდენადაც ცნობილი გახდა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი გვინდაძემ ბიუჯეტში ცვლილებების პროექტი წარადგინა. სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის მიზნით, სპეციალური ფონდი შეიქმნება, რომელიც 50 მილიონი ლარით განისაზღვრება, – ამის შესახებ მთავრობის სხდომაზე ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი გვინდაძემ სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებების შესახებ პროექტის წარდგენისას აღნიშნა.

გვინდაძის განცხადებით, ფონდში გათვალისწინებულია 50 მილიონი ლარი, რომელიც გადაუდებელი ღონისძიებების განხორციელებას მოხმარდება.

ფინანსთა მინისტრის თქმით, მსხვილდება კახეთის განვითარების პროგრამაც, რომლის დაფინანსება იქნება 110 მილიონი ლარი, საიდანაც 20 მილიონი მოხმარდება სტიქიის შედეგების ლიკვიდაციას.

გარდა აღნიშნული ცვლილებისა, 2 მილიონი ლარით იზრდება კახეთის რამდენიმე მუნიციპალიტეტის დაფინანსება.

ასევე გვინდაძის განმარტებით, მთავრობის სარეზერვო ფონდში რჩება 17 მილიონი ლარი და საჭიროების შემთხვევაში, თანხა სტიქიით დაზარალებულ რეგიონებს მოხმარდება.

მთავრობის გუშინდელ სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა მინისტრთა კაბინეტს საგანგებო მუშაობისთვის მადლობა გადაუხადა და მინისტრებს მომდევნო დღეებშიც აქტიური მუშაობისკენ მოუწოდა.

მერაბიშვილმა ბიუჯეტის სწრაფ ცვლილებებზე გააკეთა განცხადება, რომელიც სტიქიით დაზარალებულთა დახმარებისთვის გახდა საჭირო.

– მინდა აღვნიშნო, რომ სანამ არ დავასრულებთ ყველა იმ ამოცანას, რასაც ვპირდებით ჩვენს ხალხს, საქართველოს მოქალაქეებს და დაზარალებულ ოჯახებს, მანამდე ჩვენ მოგვიწევს მსგავს რეჟიმში მუშაობა. მოვუწოდებ ყველა მინისტრს, რომ დაწყებული საქმე გააგრძელოს და ბოლომდე მიიყვანოს. ჩვენ ახლა სწრაფად გვჭირდება ბიუჯეტში ცვლილებები, რათა ეს ღონისძიებები დავაფინანსოთ, – განაცხადა ვანო მერაბიშვილმა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, ფინანსთა მინისტრს დავალებული აქვს, ბიუჯეტში ცვლილებების პროექტი პარლამენტში სწრაფად წარადგინოს.

სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებების პროექტით, ჯანდაცვის სამინისტროს დაფინანსება 6 000 000 ლარით იზრდება.

ამის შესახებ განცხადება ფინანსთა მინისტრმა, დიმიტრი გვინდაძემ მთავრობის სხდომაზე გააკეთა.

მისი თქმით, თანხა სამუშაოს მაძიებელთა მონაცემთა ბაზის შექმნას მოხმარდება. ჯანდაცვის ბიუჯეტში ცვლილება გათვალისწინებულია ბიუჯეტის ახალ პროექტში, რომელიც ფინანსთა სამინისტრომ უკვე მოამზადა და რომელიც უახლოეს პერიოდში პარლამენტში შევა.

დევნილთა საჭიროებების შესწავლის პროგრამა ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოსთან ერთად განხორციელდება.

პროგრამის პრეზენტაცია მთავრობის სხდომაზე ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა დალი ხომერიკმა გამართა.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, პროგრამის მთავარი მიზანია, რომ მთავრობის მიერ დასახელებული პრიორიტეტები – ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და სოფლის განვითარება ხელმისაწვდომი იყოს დევნილებისთვის, რომლებიც საქართველოს მოსახლეობის 6 პროცენტს შეადგენენ.

ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის თქმით, დაგეგმილია გამოკითხვა, რომელიც ხელს შეუწყობს კონკრეტული მიმართულებით დევნილთა საჭიროებების შესწავლას, ეფექტური პროგრამების დაგეგმვას და განხორციელებას.

– პროგრამა განხორციელდება 3 ეტაპად. პირველ რიგში პროგრამის მიზანია დევნილთა საჭიროებებზე ინფორმაციის შეგროვება. შემდეგ დევნილთა შესახებ მონაცემები აღირიცხება. ამ ეტაპზე შევიმუშავეთ კითხვარები. ჩატარდება ტრენინგები. 30 ივლისამდე შეიქმნება მონაცემთა ბაზის აპლიკაცია და საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი განთავსდება ვებგვერდზე. ძირითადი მეორე ეტაპი დაიწყება პირველი აგვისტოდან და გაგრძელდება ერთი თვის განმავლობაში,



რომლის დროსაც 185 ინტერვიუერი 44 700 ოჯახს გამოკითხავს. 185 ინტერვიუერი თავად დევნილები იქნებიან. ბოლო ეტაპი, რომელიც სექტემბერში დაიწყება, გულისხმობს კერძო სექტორში მცხოვრები დევნილების დამატებით გამოკითხვებს. საბოლოო ჯამში კი, ეს ინფორმაცია განთავსდება მონაცემთა ბაზაში, – განაცხადა დალი ხომერიკმა. საქართველოს პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი პარლამენტს მოუწოდებს. უმოკლეს ვადაში მიიღოს საბიუჯეტო ცვლილებები, რომელიც სტიქიით დაზარალებულ რეგიონებში სამუშაოების განსახორციელებლად შეიქმნა. როგორც პრემიერმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, ამ საბიუჯეტო ცვლილებების მიღება ხელს შეუწყობს ყველა იმ ამოცანის შესრულებას, რომელსაც მთავრობა დაზარალებულ ოჯახებს დაჰპირდა.

აღნიშნულ ცვლილებებთან დაკავშირებით მთავრობის სხდომაზე განმარტება საქართველოს ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი გვინდაძემაც გააკეთა. მისი თქმით, იქმნება სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის ფონდი, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია 50 მილიონი ლარის ოდენობის რესურსი.

– ეს თანხა მთლიანად გადაუდებელი ღონისძიებების განხორციელებას მოხმარდება. მსხვილდება კახეთის განვითარების პროგრამა, რომლის ფარგლებში მთლიანი რესურსი 110 მილიონი ლარი იქნება. აქედან 20 მილიონი ლარი სტიქიის შედეგების ლიკვიდაციას მოხმარდება. გარდა ამისა, დაახლოებით ორი მილიონი ლარის ოდენობით იზრდება ასიგნება კახეთის რამდენიმე მუნიციპალიტეტის. 17 მილიონი ლარი რჩება მთავრობის სარეზერვო ფონდში, საიდანაც საჭიროების შემთხვევაში თანხა სტიქიით დაზარალებული რეგიონების აღდგენას მოხმარდება. ასევე იზრდება ჯანდაცვის სამინისტროს ასიგნება 6 მილიონი ლარით, ეს თანხა მოხმარდება სამუშაოების მაძიებელთა მონაცემთა ბაზის შექმნას, – განაცხადა ფინანსთა მინისტრმა.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე ბრიუსელში ,,აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მინისტერიალში მონაწილეობს.

# რატომ გადავიდა დუტა იმედზე“?

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ქალაქების მუსიკალურ სკოლებსა თუ კულტურის ცენტრებში გაგრძელდა. ამ კვირაში კი კონკურსი უკვე ამბროლაურში, ონში, ქუთაისში, ჭიათურაში, ზესტაფონში, სამტრედიაში, ზუგდიდსა და ფოთში ჩატარდება.

როგორც პროექტის ავტორები აღნიშნავენ, ეს არის კონკურსი 16-დან 26 წლამდე დამწყები მომღერლებისთვის, რომლებსაც სურთ, გახდნენ „საქართველოს ვარსკვლავი“. შესარჩევი კონკურსი უკვე მთელი საქართველოს მასშტაბით დაწყებულია და აგვისტოში ალბათ დასრულდება კიდეც, თუმცა, როდის გავა ეთერში ახალი პროექტი „საქართველოს ვარსკვლავი“ და რა სახის იქნება ეს კონკურსი, ჯერჯერობით უცნობია.

რაც შეეხება დუტას მიერ წასაყვან ახალ მუსიკალურ პროექტს, არც ის არის ქართული და ისიც, „ჯეოსტარის“ მსგავსად, უცხოური გადაცემის ანალოგია.

როგორც მისი ქართველი ავტორები განმარტავენ, პროექტი „საქართველოს ხმა“ არის მსოფლიოში ყველაზე მაღალრეიტინგული მუსიკალური პროექტის „ზი ვოის“ (ხმა) უცხოური პროექტის ანალოგი „იმედის“ არხზე.

პროექტის პროდიუსერ ეკა ნაცვლიშვილის თქმით, ქვეყანაში „ახალი ხმის“ აღმოჩენის დრო დგება.

– ეს პროექტი მსოფლიოში ყველაზე მაღალრეიტინგული მუსიკალური მეგაპროექტია, რომელმაც 25 ქვეყანაში აღიარება უკვე მოიპოვა. პროექტი ახალი სეზონიდან ტელეკომპანია „იმედის“ მაყურებლის წინაშე „ქართული ხმის“ სახელწოდებით წარდგება. „მოგვაწვდინე სასურველი ხმა!“ – ეს არის გზავნილი, რომელიც მიზნად ისახავს მთელი ქვეყნის მასშტაბით ძლიერი, უნიკალური ვოკალური მონაცემების მქონე მონაწილეთა აღმოჩენას. ეს არის ჭეშმარიტი ტალანტების კონკურსი, სადაც მხოლოდ ხმის ირგვლივ ბრუნავს და ტრიალებს მუსიკალური სამყარო. აქ შესრულების ხარისხი ყველაზე მნიშვნელოვანია! ამ მუსიკალურ პროექტში არ არსებობს მკაცრი ჟიური, დაცინვა და ირონია! ხუთი ცნობილი, წარმატებული და მისაბაძი ქართველი მომღერალი შეითავსებს მწვრთნელის ფუნქციას და შოუს უნიკალური ფორმატის – ფარული აუდიენციის (მოსმენის) მეშვეობით შექმნის თავის რჩეულთა გუნდს, მხოლოდ ხმის ტემბრისა და ვოკალური მონაცემების გათვალისწინებით და არა ვიზუალით. აქ გელოდებათ რინგი – დუეტების დუელი, უკომპრომისო მუსიკალური შერკინება, სადაც თითოეული მწვრთნელი მაქსიმალურად დაიხარჯება თავისი რჩეული გუნდიდან ნამდვილი ტალანტის გამოსავლენად. პროექტის საბოლოო ეტაპი ლაივშოუა, სადაც მაყურებელი იხილავს მწვრთნელებისა და კონკურსანტების გუნდურ შესრულებას. ამავე დროს, მაყურებელი მწვრთნელებთან ერთად წყვეტს, რომელი ტალანტია საუკეთესო, – აცხადებს პროექტის პროდიუსერი.

ამერიკული რეალითი-შოუ რამდენიმე წელია, წარმატებით მიმდინარეობს ამერიკის შეერთებულ შტატებში. შოუ პირველად ნიდერლანდებში ერთ-ერთი ტელევიზიის პროდიუსერებმა კარსონ დეილიმ და ელისონ ჰაისლიპმა დადგეს. აშშ-ის შოუში გამარჯვებული 100.000 დოლარს იღებს ჯილდოდ და კომპანია „იუნივერსალ რეპაბლიკთან“ კონტრაქტს აფორმებს. კრისტინა აგილერა, ბლეიკ შელტონი, სი ლო გრინი და მაროონ 5-ის ვოკალისტი ადამ ლევაინი ჟიურის წევრები არიან. ეს არის ერთადერთი შოუ, სადაც ჟიური, თავისი კონკურსანტის გამარჯვების შემთხვევაში, სოლიდური ფულადი პრემიით ჯილდოვდება. შოუ სამი ფაზისგან შედგება – ბრმა მოსმენა, რინგი და ცოცხალი შესრულების შოუ. ჟიურის ოთხივე წევრი (მწვრთნელი) ცნობილი მუსიკოსები არიან. ისინი კონკურსანტებისგან საკუთარი ჯგუფის წევრს აუდიენციის, ე.წ. ბრმა მოსმენის შედეგად ირჩევენ. ჟიურის თითოეულ წევრს დაახლოებით ერთი წუთი აქვს მოსასმენად და იმისათვის, რომ გადაწყვიტოს, უნდა თუ არა ესა თუ ის მონაწილე თავის ჯგუფში, რომელშიც 12 მონაწილე ეყოლება. ამის მერე კონკურსანტის მიმართ ზურგშექცევით მჯდომი ჟიური აჭერს ხელს საკუთარ სავარძელთან მოთავსებულ ღილაკს: „მე გირჩევ შენ!“ და მომღერლისკენ შეტრიალდება. თუ დაემთხვა და ჟიურის რამდენიმე წევრმა აირჩია მონაწილე, მაშინ კონკურსანტი თავად ირჩევს ჟიურის ოთხი წევრიდან ერთ-ერთს, რომელიც მთელი შოუს განმავლობაში მისი გულშემატკივარი და ხელმძღვანელი იქნება. შემსრულებლების თითოეულ ჯგუფს ცნობილი მომღერლები, იგივე ჟიურის წევრები ხელმძღვანელობენ და სწორედ ისინი ზრუნავენ საკუთარი ჯგუფის წევრების განვითარებაზე. ეს რეალითი- შოუ უკვე 25 ქვეყანაში წარმატებულად მიმდინარეობს. წელს საქართველოც შეუერთდება მათ და ტელეკომპანია „იმედი“ წარმოადგენს შოუს სახელწოდებით „საქართველოს ხმა“.

ცნობილია, რომ ქართული რეალითი-შოუს ჟიურის წევრები და მწვრთნელები იქნებიან ქართული ესტრადის ვარსკვლავები – მერაბ სეფაშვილი, დათო ფორჩხიძე, სტეფანე მღებრიშვილი, მაია დარსმელიძე და ნინო ჩხეიძე. ამ ეტაპისთვის უცნობია, თუ რა იქნება გამარჯვებულის პრიზი. კონკურსის პროდიუსერები ჯერჯერობით მხოლოდ იმას ამბობენ, რომ „საქართველოს ხმა“ იქნება ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და გრანდიოზული პროექტი ქართულ ტელესივრცეში მუსიკალური თვალსაზრისით, რაც კი აქამდე ჩატარებულა.

# ამერიკის საელჩო ბათუმში ამერიკულ დღეებს ატარებს

ეკა ირემაშვილი

**ზაფხულის დადგომასთან ერთად, ყველა კულტურულმა ღონისძიებამ თბილისიდან ბათუმში გადაინაცვლა. ყოველდღე საქართველოს კულტურის სამინისტრო, საქართველოში მოქმედი სხვადასხვა ქვეყნის საელჩოები თუ ორგანიზაციები კულტურულ ღონისძიებებს მართავენ.**

ბათუმი ამჯერად ამერიკულ დღეებს უმასპინძლებს. ფესტივალის ფარგლებში გაიმართება არაერთი კულტურული და სახელოვნებო ღონისძიება, ამავე პროექტის ფარგლებში მოეწყობა ნუარის ჟანრის ამერიკული ფილმების ჩვენება. საელჩოს გადაწყვეტილებით, ყველა ღონისძიებაზე დასწრება თავისუფალია.

ამერიკული დღეების ფარგლებში 24 ივლისიდან 29 ივლისის ჩათვლით აჭარის ხელოვნების მუზეუმში XIX-XX საუკუნეების ამერიკული ფოტოგრაფიის გამოფენა მოეწყობა. წარმოდგენილი იქნება ადრეული დასავლეთის აღიარებული ფოტოგრაფების, მათ შორის ტიმოთი სალივანისა და კარლტონ უოტკინსის ნამუშევრები. 26 ივლისს ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში კონცერტს გამართავს ნიუ იორკის ჯულიარდის სკოლის კურსდამთავრებული, მსოფლიოში აღიარებული პიანისტი რომან რუდნიცკი, რომელზეც დასწრება ნებისმიერ მსურველს თავისუფლად შეეძლება. ამერიკული კულტურის დღეებში ყოველ საღამოს, 27 ივლისის ჩათვლით, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარ ჰოლში გაიმართება ნუარის ჟანრის ამერიკული ფილმების ჩვენება.

ბათუმში მოაწყო ახალი საზღვაო კოლექციის ჩვენება და პრეზენტაცია კომპანია „ზარაფხანამ“. საიუველირო კომპანიამ ახალ კოლექციაზე მუშაობის დასრულების შემდეგ, რომლის ძირითადი ინსპირაცია ზღვა და ზღვის თემატიკაა, მისი პრეზენტაცია ბათუმის სასტუმრო „რედისონში“ ღია ცის ქვეშ საცურაო აუზის ტერიტორიაზე დაგეგმა. „ზარაფხანამ“ ახალ კოლექციაში წარმოადგინა 17 ერთეული ნივთი, რომელიც 585 სინჯ ოქროსა და ბრილიანტშია შესრულებული.

– დახვეწილი დიზაინი და თანამედროვე ფორმები განკუთვნილია გემოვნებიანი ქალბატონებისათვის, რომელთათვისაც ზაფხულის პერიოდი და მასთან დაკავშირებული ასოციაციები განსაკუთრებით ძვირფასია. ახა-



ლი კოლექციის პრეზენტაციამდე ზარაფხანის მიერ შერჩეულმა 10-მა წარმატებულმა ქალბატონმა რამდენიმე დღის განმავლობაში მოირგო სამკაულები, რომლებიც გაყიდვაში პრეზენტაციის მეორე დღეს თბილისის ყველა მაღაზიასა და ბათუმში გამოჩნდა. მოგეხსენებათ, კომპანია „ზარაფხანას“ გააჩნია საქართველოში ყველაზე დიდი, 70-წლიანი გამოცდილება საიუველირო ნაწარმის შექმნაში. კომპანიის ნაკეთობები გამოირჩევა ორიგინალურობითა და დახვეწილი დიზაინით. კომპანია მუდმივად ცდილობს, შეინარჩუნოს და განავითაროს ქართული ოქრომჭედლობის საუკეთესო ტრადიციები და, ამავდროულად, იყოს თანამედროვე ტენდენციების გამტარებელი. თანამედროვე მოდის ტენდენციებიდან გამომდინარე, ზარაფხანამ გადაწყვიტა, შესთავზოს სეზონური კოლექციები საზოგადოებას და ამ ეტაპზე საზღვაო თემატიკით შთაგონებულ ნაკეთობებზე გააკეთა აქცენტი, რომელიც განსაკუთრებით მოუხდება ყველაზე ცხელ და სასურველ სეზონს, – განაცხადა პროექტის კურატორმა თეონა ბაღდავაძემ.

ბათუმის პიაცაზე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პროექტის „სუვენირები საქართველოდან“ ფარგლებში ქართული სუვენირების გამოფენა-გაყიდვა გაიხსნა. სუვენირების ოსტატებმა თავად წარმოადგინეს საკუთარი ნამუშევრები ღია ცის ქვეშ. ქართული სუვენირების ექსპოზიცია ბათუმის პიაცაზე ხუთი დღის განმავლობაში იყო წარმოდგენილი, სადაც გამოიფინა ორმოცდაათამდე ხელოვანის 1500-ზე მეტი ნამუშევარი, ტრადიციული ქართული ლურჯი სუფრა, სამუზეუმო თემაზე შექმნილი ქართული ჭედურობის ნიმუშები, ქართული კერამიკა, ნაქარგობა, თექა, ბატიკა და სხვა მნიშვნელოვანი სუვენირები საქართველოდან.

– ექსპონირებულ ნამუშევრებში მკაცრად არის დაცული ქართული სტილისტიკა: ტრადიცია, ორნამენტი, დამუშავების ტექნოლოგია. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ ინიცირებულმა პროექტმა „სუვენირები საქართველოდან“ ხალხური რეწვის მრავალი ავტორის ნამუშევარი გააერთიანა. მასში მონაწილეობა მიიღეს ახალმა ავტორებმა, ასევე საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსულმა ხალხური რეწვის ოსტატებმა. კულტურის სამინისტრომ კატალოგის ორი ნომერი უკვე გამოსცა და სწორედ ეს პროექტი დაედო საფუძვლად ტრადიციად ქცეულ ყოველთვიურ გამოფენებს, – განაცხადა კულტურის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ.


**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900.




იცხოვრეთ მომავლისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

ცფ,ფყრჯპტრდბპბნტ,ბ5

ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% )() $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 @@) !)! $^%
fyu8 N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs cohf-ab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib 2 c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2 [j,bc vjyfcnthb8 ~pfhbc qbht,ekt,ff ! kfhb`8

[J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`



**უფყნ[ფლტ,ტ,ბ**

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლიზმს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, აფორიაქებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, უიმედობას, ოჯახურ კონფლიქტებს, დაძაბულობას, დეპრესიას, ჩაკეტილობას. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423 ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, გაგიფორმებთ ხელშეკრულებას.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.სმ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ მის: ნუცუბიძის ფერდობი 1 მ/რ,სახლი №5. ფასი შეთანხმებით. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● ბუნებრივი საშუალებებით უმკურნალეთ ბავშვებში ქრონიკულ სურდოს, ანგინას, შეკრულობას, დისბაქტერიოზს, ჭიებს, შიშებსა და უძილობას პედიატრ-ჰომეოპატთან კლინიკა „მედიგარდში“. მის: ფალიაშვილის 17. ტელ: 225-20-50; 593-78-44-67.

● კლინიკა „მედიგარდი“ გთავაზობთ ნებისმიერი ტიპისა და სირთულის სისხლძარღვოვანი პათოლოგიის გამოკვლევასა და მკურნალობას. მკურნალობა ეფუძნება შემდეგ მეთოდებს: მეზოთერაპია, ჰირუდოთერაპია (წურბელები), ჰომეოპათია, ოზონოთერაპია და ფიტოთერაპია. მისამართი: ფალიაშვილის 17. ტელ: 225-20-50; 599-57-25-08.

● იყიდება ძროხების ფერმა 16 სული, 12 ნამატით, ძროხებისა და მომვლელის კაპიტალური ბინით, მთელი წელი უზრუნველყოფილი საძოვრით. გლდანის ციხიდან 6 კმ-ში. ტელ: 591-409-131 ვარლამი.

# დავით მუჯირი: „ნეფთჩის“ არ მოუგია, ჩვენ წავაგეთ

24 ივლისს „ზესტაფონი“ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის განმეორებით მატჩში ბაქოს „ნეფთჩის“ უმასპინძლებს.

აზერბაიჯანის ჩემპიონი თბილისში გუშინ დილით ჩამოფრინდა, შემდეგ კი გეზი დასავლეთ საქართველოსკენ ავტობუსით აიღო და წყალტუბოს სასტუმროში დაბინავდა. „ნეფთჩის“ მთავარი მწვრთნელი ბუიუქალა გაჯიევი კვლავ შეუძლოდაა და თავის გუნდს საქართველოში ვერ მოჰყვება.

ეს ბაქოელებზე, ახლა კი დავით მუჯირის ინტერვიუ, რომელიც პირველი მატჩის შემდეგ ჩამოართვეს.

***– როგორ ახსნით დიდი ანგარიშით წაგებას?***

– ძალიან მძიმე დღეში აღმოვჩნდით. შეტევაში აგრესია გვაკლდა, დაცვაში კი ბავშვური შეცდომები დავუშვით, რომლებიც მეტოქემ არ გვაპატია. პირველ გოლამდე ნორმალურად ვითამაშეთ, მაგრამ მცველის უხეშმა შეცდომამ ყველაფერი გააფუჭა.

***– იქნებ საქართველოს ჩემპიონმა „ნეფთჩი“ სათანადოდ ვერ შეაფასა? თქვენი გუნდის წევრების წინასამატჩო კომენტარებში ზედმეტი თავდაჯერებულობა იგრძნობოდა.***

– რაღაც ასეთი რამ არ მახსენდება. მახსოვს, რომ ოპტიმისტურად ვემზადებოდით მატჩისთვის და წარმატების გვეიმედებოდა. თამაშამდე გუნდების შანსებს თანაბრად ვაფასებდით. ახლა, რა თქმა უნდა, სიტუაცია შეიცვალა, უკვე ფავორიტი ჩვენი მეტოქეა და ცალი ფეხით შემდეგ ეტაპზეა.

***– საპასუხო მატჩისგან რას ელით?***

– ერთი რამ ნათელია, ამოცანა ძალიან გავირთულეთ. მატჩი უკვე დასრულებულია და ველარაფერს შეცვლი. შემდეგი თამაშისთვის უნდა მოვემზადოთ. ჩვენ თვითონ გავაფუჭეთ ყველაფერი და თავადვე უნდა გამოვასწოროთ. თუკი „ნეფთჩიმ“ საკუთარ კედლებში სამი გოლი გაგვიტანა, რატომ არ შეგვიძლია, ზესტაფონში იგივე ჩვენც გავაკეთოთ? ბოლომდე ვიბრძოლებთ.

***– 0:3-ის შემოტრიალებას იშვიათად ახერხებენ. რამდენად რეალურია, რომ ამას შეძლებთ?***

– დიახ, ჩვენ თავი კუთხეში მივიმწყვდიეთ. ამ სიტუაციიდან გამოსვლა ძალიან ძნელია, მაგრამ ყველაფერი ჩვენსავე ხელთაა. პირველ თამაშში მხოლოდ ჩვენი შეცდომები დავინახე, რომლებიც მოწინააღმდეგემ არ გვაპატია.

***– ეს შეცდომები შეიძლება მომავალ შეხვედრაშიც შეიძლება გამეორდეს და „ნეფთჩიმ“ ზესტაფონშიც მოიგოს.***

– არა მგონია, ზედიზედ ორ თამაშში ამდენი შეცდომა დავუშვათ, მით უმეტეს, რომ საპასუხო შეხვედრა ჩვენს მოედანზე გაიმართება. გეთანხმებით, სამბურთიანი უპირატესობა თითქმის შემდეგ რაუნდში გასვლას ნიშნავს, მაგრამ აუცილებლად ბოლომდე ვიბრძოლებთ.

***– „ნეფთჩიზე“ თითქმის არაფერი გითქვამთ.***

– თქვენმა გუნდმა ცივსისხლიანად გამოიყენა მომენტები, რაც მის კლასზე მეტყველებს. ბაქოელებმა თავიანთი საუკეთესო თამაში აჩვენეს. ჩვენ კი, პირველ ყოვლისა, საკუთარ თავთან დავმარცხდით. „ნეფთჩი“ ნამდვილად არაა ის ბარიერი, რომლის დაძლევაც შეუძლებელია, ოღონდ არა იმ თამაშით, რომელიც პირველ მატჩში ვაჩვენეთ. დღეს „ნეფთჩის“ არ მოუგია – „ზესტაფონმა“ წააგო.

***– რა მოხდება, თუკი საქართველოს ჩემპიონი ამ ეტაპს ვერ გადალახავს?***

– მე მინდა, რომ გავიდეთ, მაგრამ, თუ ასე არ იქნება, „ნეფთჩის“ მომავალ თამაშებში წარმატებას ვუსურვებ. თუმცა საპასუხო მატჩის წინ ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. გავაანალიზებთ ამ თამაშს, ვიპოვით მეტოქე გუნდის სუსტ წერტილებს და ამით ვისარგებლებთ.

შეგახსენებთ, ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში „ზესტაფონი“ სტუმრად ბაქოს „ნეფთჩისთან“ 0:3 დამარცხდა. საპასუხო შეხვედრა კი ზესტაფონში დღეს გაიმართება.

# ელიტიდან გავარდნას ახალმა ფორმატმა გადაგვარჩინა

**შვედეთი – საქართველო 81:67**
(21:21, 22:21, 27:11, 11:14)

**შვედეთი:** გეიდფორსი (15ქ,9მ,6პ), გუტენიუსი (15ქ), ბარტონი (15ქ), ერიქსონი (11ქ), ბიორგი (10ქ), პერსონი (7ქ), ანდერსონი (4ქ), ისაქსონი (2ქ), ორნერი (2ქ), ლიექვისტი, ასპლუნდი

**საქართველო:** სანაძე (27ქ,8მ), ბოქოლიშვილი (10ქ), ბურჯანაძე (9ქ,10მ.), თენიეშვილი (9ქ,6მ.), როგავა (4ქ), ჯავახიშვილი (4ქ), მაჩალაძე (2ქ), ლომინაშვილი (2ქ)

საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობა დაასრულა. დავით უსტიაშვილის გუნდმა ბოლო შეხვედრა შვედეთთან გამართა და, მიუხედავად იმისა, რომ მეორე მეოთხედში სოლიდურად იგებდა, საბოლოოდ მაინც დამარცხდა. სკანდინავიელებმა ქართველები 81:67 დაამარცხეს.

პირველი მეოთხედის ფრედ (21:21) დასრულების შემდეგ მეორე ათწუთეულში მოვლენები საინტერესოდ განვითარდა. გუნდებმა მონაცვლეობით მოაწყვეს 11-ქულიანი სპურტი. ჯერ იყო და 23:26 ჩამორჩენის შემდეგ საქართველოს ნაკრებმა სამწუთიანი მონაკვეთი 11:0 მოიგო და 34:26 დაწინაურდა, შემდეგ კი შვედეთმა მოიგო 11:0 და ლიდერობა დაიბრუნა – 37:34. პირველი ტაიმი სკანდინავიელთა მინიმალური სხვაობით, 43:42 დასრულდა.

დიდი შესვენების შემდეგ შვედები სულ სხვაგვარად შემართულნი გამოვიდნენ მოედანზე. მინიმალური უპირატესობა სკანდინავიელებმა 5 წუთში 13-ქულიან ლიდერობად აქციეს და ამის შემდეგ საქართველოს ნაკრები სათოფეზე აღარ გაიკარეს. უსტიაშვილის შეგირდები ბევრს ეცადნენ, მაგრამ ველარაფერი გააწყვეს.

შვედებისგან ერთბაშად ხუთმა მოთამაშემ მიაღწია 10-ქულიან თამასას, ჩვენგან კი დუდა სანაძეს 27 ქულა ჰქონდა, ხოლო მერაბ ბოქოლიშვილს – 10. ბექა ბურჯანაძეს ორმაგ დუბლამდე 1 ქულა დააკლდა, მის ანგარიშზე 10 მოხსნა და 9 ქულა იყო.

მაშ ასე, საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატი 8 წაგებითა და 1 მოგებით დაასრულა და ტურნირზე ბოლო, მე-16 ადგილი დაიკავა. თუმცა, მომავალ სეზონში უსტიაშვილის გუნდი კვლავ ა დივიზიონში იასპარეზებს, რადგან წლეულს ელიტიდან არავინ გავარდნილა – ა დივიზიონში ბ დივიზიონის 4 საუკეთესო გუნდი გადმოვიდა და მომავალ წელს 20-გუნდიანი ევროჩემპიონატი ჩატარდება.

# ალესანდრო ნესტა: „იუვენტუსი“ ვერ დავაფასეთ

ალესანდრო ნესტა თვის ბოლოს კანადაში იქნება და მლს-ის ჩემპიონატის გუნდ „ტორონტოში“ ითამაშებს. ნესტას ადაპტირება არ უნდა გაუჭირდეს – მისი თანაგუნდელები იქნებიან თანამემამულეები: მატეო ფერარი, დენის ლაპიჩინო, ფელიპე მარტინსი, მარკო დი ვაიო და ბერნარდო კორადი.

***– როგორ გაჩნდა „მონრეალში“ გადასვლის იდეა?***

– მლს-ზე უკვე რამდენიმე წელია ვფიქრობდი. „მილანის“ შემდეგ ამერიკაში მსურდა კარიერის გაგრძელება, მაგრამ იქაური დიდი კლუბებისთვის საჭირო არ აღმოვჩნდი. თავიდან ეს ყველაფერი მაკვირვებდა, მაგრამ იქ ფეხბურთზე სულ სხვა წარმოდგენა აქვთ. ჩვენთან მცველი რაღაც განსაკუთრებულია, ამერიკაში კი უმთავრესი ყურადღება თავდამსხმელებს ექცევა. მარკეტინგის საკითხია. „მონრეალში“ უფრო იტალიური ფილოსოფიის შეხედულება აქვთ. მარკო დი ვაიოს სანახავად ჩამოვედი, ვისაუბრეთ და მაგრძნობინეს, რომ ამ გუნდისთვის საჭირო ვიყავი.

***– თქვენ ანაზღაურება ისეთი არ შემოგთავაზეს, როგორსაც სხვებს სთავაზობენ.***

– ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. ოცი წლის განმავლობაში საკმარისი თანხა გამოვიმუშავე და ახლა ზუსტად ამ სახის გამოცდილება მჭირდებოდა. გამიჭირდებოდა, თამაშის დასრულების შემდეგ ისეთი სამუშაოს შოვნა, რომელიც ასეთ ცხოვრებისეულ ცვლილებაში დამეხმარებოდა. ახლა ჩემს შვილებს ანგლო-ფრანგულ გარემოში აღზრდის საშუალება ექნებათ. ამასთან, მათი ძიძა ესპანურენოვანია. გაიზრდებიან და მადლობას მეტყვიან.

***– უკვე ჩამოგიყალიბდათ წარმოდგენა ამერიკულ „სოკერზე“?***

– ეს ფიზიკურ მომზადებაზე დამყარებული ფეხბურთია. დონემ აიწია, თუ იმ დროს შევადარებთ, როდესაც აქ ამხანაგური მატჩების გასამართად ჩამოვდიოდით, მაგრამ მისი ამაღლება კიდევ შეიძლება.

***– ცოტა ხნის წინ თქვენ ამბობდით, რომ როდესაც თამაშს თავს დაანებებდით, საფეხბურთო სამყაროსაც დატოვებდით, რათა სხვა ცხოვრებით დამტკბარიყავით. ახლა კი მწვრთნელის ლიცენზიაც აიღეთ. ფეხბურთში რჩებით?***

– მივხვდი, რომ იმ გარემოსთან განშორება, რომელშიც ბავშვობიდან ხარ, იოლი არ იქნებოდა. მსურს მწვრთნელობა, მაგრამ არა ბავშვებში. დიდი მიზნები მაქვს, საკუთარი შესაძლებლობების უმაღლეს დონეზე გამოცდა მინდა. მე მჭირდება შეჯიბრება, ადრენალინი და მწვრთნელობა იქნება იდეალური სამუშაო, ზუსტად ჩემზეა მორგებული.

***– ზოგს მიაჩნია, რომ „ბარსელონისა“ და ესპანეთის ნაკრების თამაშების ყურება ძალიან მოსაწყენია.***

– ზოგს მაგრად უმართლებს. მე „ბარსელონის“ წინააღმდეგ მითამაშია და დამიჯერეთ, რატომღაც ვერ მოვიწყინე. არადა, კარგი იყო, მომეწყინა – იდეალურის ზღვარზე თამაშობენ.

***– თქვენც მოიხიბლეთ ბალოტელის მიერ გერმანიის ნაკრების კარში გატანილი გოლებით?***

– ნაკრებს მაიამიდან ვგულშემატკივრობდი. თამაშს რესტორანში ვუყურე. არიან მოთამაშეები, რომელთაც სხვებზე მეტად ვგულშემატკივრობ, ვთქვათ, ჩემი მეგობრები პირლო, დე როსი, აბატე და ბუფონი. ნებისმიერ შემთხვევაში, გამარჯვებამ გამახარა, ოღონდ, არ მიქნევია მანქანიდან გადმოყოფილი დროშა და არ დამირტყამს წრეები ქალაქისთვის. რაღაც ნოსტალგიური განწყობა მქონდა, რადგან ნაკრების მაისურის ტარება დიდებული რამაა. თუმცა, სულაც არ ვდარდობ, ნაკრებში რომ აღარ ვთამაშობ. შესაძლოა, ამ საქმეს ნაადრევად გავანებე თავი, მაგრამ ნაკრების მაისურით კიდევ რომ მეთამაშა, ახლა ბურთს მხოლოდ პლაჟზე თუ გავაგორებდი.



***– მოგეწონათ პრანდელის დაყენებული თამაში?***

– ძალიან და პირადად მასაც უდიდეს პატივს ვცემ. ეს კაცი მუდამ 4 მცველით თამაშს ანიჭებდა უპირატესობას, მაგრამ მერე გაბედა და ყველაფერი შეცვალა. ის მიხვდა, რომ განკარგულებაში „იუვენტუსის“ ბლოკი ჰყავდა – 3 მცველი, წინ პირლო და უკან ბუფონი. ამ გუნდმა მსგავსი თამაშით „სკუდეტო“ მოიგო.

***– სიტყვამ მოიტანა და გული დაგწყდათ, „იუვემ“ „სკუდეტო“ რომ ჩამოგართვათ? ოღონდ, თქვენ მაინც ნუ იტყვით, რომ ეს არჩათვლილი გოლის ბრალია.***

– არ ვიტყვი. ჩვენ საშინაო მატჩები წავაგეთ „ფიორენტინასთან“ და „ბოლონიასთან“. ვერ დავაფასეთ „იუვენტუსი“, არ გვეჯერა, ასეთ სეზონს თუ ჩაატარებდნენ. ვფიქრობ, არც მათ სჯეროდათ ბოლომდე საკუთარი ძალების. ყოჩაღ მათ, რადგან ისე ითამაშეს, „სკუდეტო“ დაიმსახურეს. ეს გამართლება არაა, მაგრამ ტრავმებმა შეგვიშალა ხელი. თავდაჯერებულობა დავკარგეთ.

***– თქვენმა მეგობარმა პირლომ ამაში უდიდესი როლი ითამაშა. როგორ მოახერხეთ მისი კონკურენტისთვის ასე იოლად დათმობა?***

– მას კონტრაქტი ეწურებოდა. ამ დროს შენ ახანგრძლივებ ფეხბურთელთან კონტრაქტს, ან ის, სადაც უნდა, იქ მიდის. ვიმეორებ, ჩვენ ვერ დავაფასეთ „იუვენტუსი“.

***– „მილანი“ სუსტდება. სატრანსფერო ამბებს თვალს ადევნებთ?***

– რა თქმა უნდა, ახალ ამბებს ინტერნეტით ყოველდღე ვეცნობი. ვერ ვიტყვით, რომ მშვიდად ვარ, რადგან ჯერ კიდევ მჭიდრო კავშირში ვარ ამ გუნდთან და ადამიანებთან. ორი ასეთი მოთამაშის წასვლა უდიდესი დანაკარგია. ასეთ მოთამაშეებს ველარ იშოვი, საქმე ისე არაა – გავყიდი ტიაგო სილვას და ბაზარზე ახალ ტიაგო სილვას შევიძენ, იმიტომ, რომ მისნაირები არ არიან, არიან უარესები. იბრაჰიმოვიჩზეც იმავეს თქმა შეიძლება. მაგრამ ამ ფულით 3-4 კარგი ფეხბურთელის შეძენა შეიძლება, მათ შორის სამომავლო პერსპექტივით. ასეც შეიძლება კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება.

***– გულშემატკივრები ჯერ არ აპროტესტებენ, მაგრამ მათი მოთმინებაც არ იქნება უსაზღვრო.***

– ბერლუსკონი 26 წელია ამ კლუბისთვის ხარჯავს ფულს და რაღაც მომენტში თუ იმავეს გაკეთებას ვერ მოახერხებს, ე.ი. საქმეები არცთუ კარგადაა. ვფიქრობ, 4-5 სეზონი შეიძლება მას ამის უფლება მისცე. როგორც გულშემატკივარს, ეს მესმის, რადგან მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ის ჩვენ გამუდმებით გვახარებდა.

***– და ახლა, როგორც ჩანს, „იუვენტუსის“ დრო მოვიდა?***

– „იუვენტუსმა“ დიდებულად იმუშავა, აქვს საკუთარი სტადიონი და რეალურია, რომ მომდევნო წლებში სერიოზული ბიუჯეტი ექნება. სხვა გუნდები თავს ამდენის უფლებას ვერ მისცემენ. კარგი ფეხბურთელები სხვა ქვეყნებში მიდიან, რადგან იტალიაში იმხელა ფული არ ტრიალებს. ხალხს ეს უნდა ესმოდეს, განსაკუთრებით მას, ვისაც „მილანი“ უყვარს.

***– რას ფიქრობთ ბუქმეიქერულ სკანდალზე?***

– აქ გასაკვირი არაფერია. ისეთი ქვეყანა ვართ, ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ მსგავს სკანდალებს ვაწყობთ. ამერიკაში ასეა – სისულელეს ჩაიდენ, სამაგალითოდ დაგსჯიან და მერე იმავეს გამეორების სურვილი აღარავის უჩნდება. იტალიაშიც ვილაც უნდა დაისაჯოს სამაგალითოდ, თორემ საბოლოოდ ისე გამოდის, არავის ხვდება. გავა ორიოდე წელი, ყველა ყველაფერს დაივიწყებს და ის, ვინც დამნაშავე იყო, ისევ რაღაც შარში გაეხვევა. აზროვნება უნდა შევცვალოთ და დამნაშავე უფრო მკაცრად დავსაჯოთ.

# ნადალმა დროშა გასოლს გადააბარა

ლონდონის ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალზე ესპანეთის დელეგაციის მედროშე იქნება კალათბურთელი პაუ გასოლი, რომელსაც ეს საპატიო სტატუსი ჩოგბურთელ რაფაელ ნადალის უარის შემდეგ მიანიჭეს.

თავდაპირველად ესპანელთა მედროშედ შერჩეული იყო ნადალი, რომელმაც 2008 წლის პეკინის ოლიმპიადაზე ერთეულთა თანრიგში ოქროს მედალი მოიპოვა, მაგრამ მუხლზე ახლახან გადატანილი ტრავმის შემდეგ იგი ფორმაში არაა და ამის გამო მოიხსნა ოლიმპიური ტურნირიდან.

ნადალმა თამაშგარე მდგომარეობაში დარჩენა არჩია იმის გამოც, რომ ოლიმპიური ტურნირი გაიმართება ბალახისსაფარიან კორტებზე, „ოლ ინგლენდ ქლაბში“, სადაც „უიმბლდონის“ პრესტიჟული ტურნირი ტარდება. ასეთი ტიპის კორტზე კი ნადალს არცთუ კარგად გამოსდის თამაში – წლევანდელ „უიმბლდონზე“ მეორე რაუნდიდან გავარდა.

ესპანელთა ახალი მოწინავე პაუ გასოლიც გამოცდილი ოლიმპიელია, 2008 წელს პეკინში მისი კაპიტნობით საკალათბურთო ნაკრები ფინალში გავიდა და მცირე სხვაობით დამარცხდა გამოკვეთილ ფავორიტთან, აშშ-ის ნაკრებთან. გასოლი ესპანეთის ნაკრებში საუკეთესო იყო 2004 წლის ათენის ოლიმპიადაზეც. ეს გუნდი იქაც აშშ-სთან დამარცხდა, ოღონდ – მეოთხედფინალში.

გასოლის ლიდერობით ესპანეთის ნაკრებმა მოიგო 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი და ბოლო ორი (2009, 2011) ევროპის ჩემპიონატი. იგი აშშ-ის საკალათბურთო ლიგის, ნბა-ს ორგზის ჩემპიონიცაა „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ რიგებში. ოლიმპიურ ნაკრებში ირიცხება მისი უმცროსი ძმა, მარკ გასოლიც, რომელიც ასევე ნბა-სა და ეროვნული გუნდის ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშეა.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# შედეგები

## ფეხბურთი

**რუსეთი. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| ზენიტი–ამკარი | 2:0 |
| კრ.სოვეტოვი–ტერეკი | 1:1 |
| ანჟი–ყუბანი | 2:1 |

**შვეიცარია. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| სიონი–სერვეტი | 1:0 |
| იანგ ბოიზი–გრასჰოპერსი | 0:1 |
| ციურიხი–თუნი | 0:2 |

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ადმირა–რიდი | 0:2 |

**ბელგია. სუპერთასი**

| | |
|---|---|
| ანდერლეხტი–ლოკერენი | 3:2 |

**უკრაინა. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| მეტალურგი(ზ)–დნიპრო | 0:4 |
| ვოლინი–ვორსკლა | 1:0 |
| არსენალი–დინამო | 0:1 |
| მეტალურგი(დ)–ზორია | 1:2 |

**დანია. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ოდენსე–რანდერსი | 0:1 |
| სონდერიისკე–კოპენჰაგენი | 1:1 |
| ოლბორგი–ბრონდბიუ | 2:1 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

| | |
|---|---|
| ელფსბორგი–კალმარი | 3:0 |
| აიკი–ატვიდაბერგი | 1:0 |

**ნორვეგია. ტიპელიგა**

| | |
|---|---|
| ბრანი–ალესუნდი | 2:1 |
| სტაბეკი–ვალერენგა | 1:3 |
| ოდ გრელანდი–სტრომგოდსეტი | 2:1 |
| ფრედრიკსტადი–ჰონეფოსი | 0:2 |

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

| | |
|---|---|
| მარიეჰამნი–ჯჯკ | 3:3 |
| კუუპიო–ინტერი | 0:6 |

*ინტერის მე–4 გოლი ირაკლი სირბილაძემ გაიტანა*

| | |
|---|---|
| მიუპა–ჰონკა | 0:0 |
| ტპს–ლახტი | 4:0 |

**აშშ. მლს**

| | |
|---|---|
| ვანკუვერი–სან ხოსე | 2:1 |

**ბრაზილია. სერია ა**

| | |
|---|---|
| კრუზეირო–ფლამენგო | 1:0 |
| პალმეირასი–ნაუტიკო | 3:0 |
| ფიგეირენსე–სან პაულუ | 0:2 |
| ბაია–კურიტიბა | 2:2 |
| ბოტაფოგო–გრემიო | 0:1 |
| პონტე პრეტა–ფლუმინენსე | 1:2 |

## კალათბურთი

**ამხანაგური მატჩები**

**კაცები**

| | |
|---|---|
| პოლონეთი–ჩინეთი | 81:79 |
| ბელგია–დ.ბრიტანეთი | 79:56 |
| რუსეთი–ლიტვა | 101:79 |
| ბრაზილია–აშშ | 87:71 |
| აშშ–არგენტინა | 86:80 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| ბრაზილია–ჩინეთი | 71:62 |
| საფრანგეთი–ავსტრალია | 64:58 |
| თურქეთი–აშშ | 61:80 |

## ჩოგბურთი

**ატპ. ატლანტა. მყარი. ფინალი**

| | |
|---|---|
| როდიკი–მიულერი | 1:6;7:6;6:2 |

**ატპ. ჰამბურგი. თიხა. ფინალი**

| | |
|---|---|
| მონაკო–ჰაასი | 7:5;6:4 |

**ატპ. გშტაადი. თიხა. ფინალი**

| | |
|---|---|
| ტიპსარევიჩი–ბელუჩი | 7:6;4:6;2:6 |

**ვტა. ბოსტადი. თიხა. ფინალი**

| | |
|---|---|
| ჰერცოგი–იოჰანსონი | 0:6;6:4;7:5 |

**ვტა. პალერმო. თიხა. ფინალი**

| | |
|---|---|
| ბარტოლი–ციბულკოვა | 1:6;5:7 |

# ევროპაში სოციალურ აფეთქებას პროგნოზირებენ

ევროპარლამენტის თავმჯდომარე მარტინ შულცი ევროპაში შესაძლო სოციალურ აფეთქებაზე გაფრთხილებას იძლევა, — იუწყება ბელგიის მედია. მისი ცნობით, მოსალოდნელი სოციალური აფეთქება ახალგაზრდებს შორის უმუშევრობის ზრდის შედეგია.

— ესპანეთში მიმდინარე მანიფესტაციები უჩვენებს, რომ ევროპაში ახალგაზრდებს შორის უმუშევრობის მაჩვენებლის მაღალი დონის გამო გამო სოციალური აფეთქების საფრთხე არსებობს, — განაცხადა მარტინ შულცმა. მისი მოსაზრებით, სოციალური აფეთქების თავიდან ასაცილებლად საჭიროა ახალი ევროპული პროგრამები ამ თაობისათვის სამუშაო ადგილების შესაქმნელად.

როგორც ცნობილია, 19 ივლისს ესპანეთის 80-ზე მეტ ქალაქში ასობით ათასი ადამიანი საპროტესტო აქციაზე გავიდა. მათ მთავრობის იმ ღონისძიებათა ახალი პაკეტი გააპროტესტეს, რომელიც საბიუჯეტო დეფიციტის შემცირებასა და გადასახადების გაზრდას ითვალისწინებს.

სამართალდამცავთა და მიტინგის მონაწილეებს შორის შეტაკება მას შემდეგ მოხდა, რაც დემონსტრანტების ერთმა ნაწილმა პოლიციის დერეფნის

გაგრძელება მე11 გვერდზე

# ოპოზიცია ალიევს მესამე ვადით გაპრეზიდენტებას უკრძალავს

აზერბაიჯანის ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა ალი კერიმლიმ განაცხადა, რომ მოქმედ პრეზიდენტ ილჰამ ალიევს მესამე ვადით არჩევნებში მონაწილოების უფლება არ აქვს. აღნიშნული განცხადება მან „ჰაქინ.აზთან" ინტერვიუს დროს გააკეთა.

კერიმლი პარტია „აზერბაიჯანის ეროვნული ფრონტის" ლიდერია. ის, ასევე, ოპოზიციური ალიანსის — „საზოგადოებრივი პალატის" წევრიცაა.

ოპოზიციონერის განცხადებით, „კანონს უკუქცევითი ძალა არ გააჩნია" (ცხადია, მხედველობში ჰქონდა კონსტიტუციის შესწორება, რომელიც ერთ ადამიანს მხოლოდ ორი ვადით გაპრეზიდეტების ნებას რთავს). მისი აზრით, მოქმედმა პრეზიდენტმა უკვე გამოიყენა საკუთარი უფლება და ორჯერ იქნა არჩეული ქვეყნის ლიდერად.

კერიმლიმ დაამატა, რომ თუ ალიევი მაინც გადაწყვეტს მესამედ ქვეყნის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას, ოპოზიცია „ამ უკანონობასთან დაკავშირებით მასობრივი წინააღმდეგობის ორგანიზებას გეგმავს".

ილჰამ ალიევი ქვეყანას 2003 წლიდან მართავს. პრეზიდენტის თანამდებობაზე მან მამამისი ჰეიდარ ალიევი ჩაანაცვლა. 2008 წელს ის მეორედ აირჩიეს ქვეყნის პრეზიდენტად. ამის შემდეგ მმართველმა პარტიამ „ახალმა აზერბაიჯანმა" ჩაატარა რეფერენდუმი, რომლის მიხედვითაც კონსტიტუციიდან ამოიღეს შეზღუდვა, რომელიც ადამიანს ორ ვადაზე მეტად საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას უკრძალავდა. ცოტა ხნის წინ, პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ალი გასანოვმა განაცხადა, რომ მოახლოებულ არჩევნებში „ახალი აზერბაიჯანი" ალიევის კანდიდატურას დაუჭერს მხარს. თუმცა გასანოვმა დაამატა, რომ „პრეზიდენტს 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით, ჯერ არავითარი განცხადება არ გაუკეთებია".

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# ლონდონმა ვლასიჩი მოისაკლისა

ლონდონის ოლიმპიურ თამაშებს დააკლდება ერთ-ერთი გამორჩეული სპორტსმენი — სადღეისოდ მსოფლიოს საუკეთესო სიმაღლეზე მხტომელი ქალი ბლანკა ვლასიჩი.

ხორვატმა მძლეოსანმა იანვარში რამდენიმე დღის ინტერვალით მუხლისა და ქუსლის ტრავმა გადაიტანა და ბოლომდე ვერ მოახერხა ფორმის აღდგენა. ამასთან, მას ვირუსული ინფექციაც უშლის ხელს.

ბლანკა ვლასიჩი:

— ლონდონში ვერ ვასწრებ ფორმაში ჩადგომას და არ მინდა, ამ კატეგორიის შეჯიბრებაში იმ დონეზე ვერ ვიასპარეზო, როგორზეც ჩვეულებრივ ყველა ტურნირზე გამოვდივარ.

ხორვატი მძლეოსანი თავის დისციპლინაში მსოფლიოში საუკეთესოდ ითვლება, 2007 და 09 წლებში მსოფლიოს ჩემპიონატებზე ოქროს მედალი მოიპოვა, 2011 წელს კი — ვერცხლი, ხოლო 2008 წელს პეკინის ოლიმპიადაზე ერთი სანტიმეტრი დააკლდა ოქრომდე და ვერცხლის მედალი შეხვდა.

ვლასიჩს ეკუთვნის მსოფლიოს ყველა დროის მეორე შედეგი სიმაღლეზე ხტომაში. ერთ-ერთ ტურნირზე მას დაძლეული აქვს 2.08 მეტრი.

მსოფლიოს რეკორდი კი 2.09 მეტრია და ეკუთვნის ბულგარელ სტეფკა კოსტადინოვას. ამ შედეგის გაუმჯობესებას ქალები უკვე 25 წელია, ამაოდ ცდილობენ.

*მიხეილ ჟორჟოლიანი*

## გასწორება

20 ივლისის „ახალ თაობაში" დაიბეჭდა ინტერვიუ კომპოზიტორ კახა ცაბაძესთან, რომლის სათაურის გამო „კახა ცაბაძე „ვერის უბნის მელოდიების" გათანამედროვებას ეწინააღმდეგება" კომპოზიტორს ბოდიშს ვუხდით. მისი თქმით, იგი „ვერის უბნის მელოდიების" არა გათანამედროვების, არამედ გადამღერების წინააღმდეგია.


## განცხადება

2012 წლის 17 აგვისტოს შედგება სააქციო საზოგადოება „სურინჯის" საერთო კრება

**მისამართზე: თბილისი, აბუსერიძე-ტბელის ქუჩა №15-ში.**

**დღის წესრიგი:**

1. 2011 წლის სამეცრნეო-საფინანსო ანგარიში; მომხსენებელი გ. მამაცაშვილი
2. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში; მომხსენებელი ზ. სიხარულიძე
3. 2011 წლის შედეგების დამტკიცება;
4. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევნები.

*სააქციო საზოგადოება „სურინჯის" დირექტორი გ. მამაცაშვილი*


# მწერალმა ბესო ხვედელიძემ აუდიოსტუდიაში საკუთარი შემოქმედება ჩაწერა

*ეკა ირემაშვილი*

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის აუდიოსტუდიაში ლიტერატურული პრემია 'საბას' წლის საუკეთესო პროზაული კრებულის ნომინაციაში გამარჯვებულმა მწერალმა ბესო ხვედელიძემ თავისი ნაწარმოებები ჩაწერა გამარჯვებული კრებულიდან 'წითელი'.**

ეროვნულმა არქივმა პროექტის განხორციელება ცოტა ხნის წინ დაიწყო, რომლის ფარგლებშიც თანამედროვე ავტორები საკუთარ ნაწარმოებებს წაიკითხავენ და მათი ფონოჩანაწერები არქივში ათწლეულების წინ შექმნილ ქართველი კლასიკოსი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების აუდიოჩანაწერებთან ერთად შეინახება.

ბესო ხვედელიძის თქმით, პროექტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს და იგი მიესალმება ამ საშვილიშვილო წამოწყებას, რადგან, დაინტერესების შემთხვევაში, ნებისმიერ პირს შეეძლება, არქივის მიერ შექმნილ ფონდში მოიძიოს და მოისმინოს მისთვის საინტერესო ავტორის ხმა.

ფონოარქივის სიმდიდრეს წარმოადგენს აკაკი წერეთლის, გალაკტიონ ტაბიძის, იოსებ გრიშაშვილის, პაოლო იაშვილის, გრიგოლ რობაქიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, გიორგი ლეონიძის, ირაკლი აბაშიძისა და სხვათა ფონოჩანაწერები, რომელშიც ისინი საკუთარ ნაწარმოებებს კითხულობენ.

პროექტის ფარგლებში ეროვნული არქივის ფონოსაცავში ლიტერატურული პრემია „საბას" ყველა გამარჯვებულის, თანამედროვე ავტორების, ასევე ახალგაზრდა შემოქმედების ჩანაწერები შეინახება, რომლებიც წლებთან ერთად დიდ მნიშვნელობას შეიძენს. ეროვნული არქივი შესაძლებლობას აძლევს ნებისმიერ ავტორს, დაუტოვონ საკუთარი ხმა მომავალ თაობებს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივი აუდიოსტუდიაში მუშაობის პარალელურად, უცხოეთშიც მართავს სამუშაო შეხვედრებს. ეროვნული არქივის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის წარმომადგენლები პოლონეთის სახელმწიფო არქივს ეწვივნენ დოკუმენტების დიგიტალიზაციისა და ელექტრონული არქივების სფეროში კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

ვიზიტის ფარგლებში დაიგეგმა დელეგაციის წევრების მიერ დიგიტალიზაციის პრინციპების, ფოტო დოკუმენტების დიგიტალიზაციის, ასევე, ელექტრონული ჩანაწერების არქივებისა და ინტეგრირებული საარქივო საინფორმაციო სისტემის მუშაობის სტანდარტების გაცნობა.

— აღსანიშნავია, რომ დიგიტალიზაციის სფეროში თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით თანამშრომლობაზე ეროვნული არქივისა და პოლონეთის სახელმწიფო არქივების ხელმძღვანელები რამდენიმე თვის წინ ეროვნული არქივის გენერალური დირექტორის თეონა იაშვილის ვარშავაში ვიზიტისას შეთანხმდნენ. თუმცა ეს დასასრული არ არის, ეროვნული არქივის ხელმძღვანელი თეონა იაშვილი კვლავაც აგრძელებს თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმებას ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული არქივების ხელმძღვანელებთან. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივსა და იტალიის რესპუბლიკის კულტურული მემკვიდრეობის სამინისტროს არქივების გენერალურ დირექტორატს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. დოკუმენტს ხელი მოაწერეს საქართველოს ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა თეონა იაშვილმა და იტალიის არქივების გენერალური დირექტორატის ხელმძღვანელმა როსანა რუმომ. დოკუმენტი ითვალისწინებს ორი ქვეყნის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი დოკუმენტების, გზამკვლევებისა და ნუსხების ასლების გაცვლას, საარქივო სფეროში გამოცდილების გაზიარებას, ერთობლივი პუბლიკაციების გამოცემასა და ღონისძიებების ორგანიზებას.

არქივების ხელმძღვანელებმა ისაუბრეს საქართველოსა და იტალიის არქივების სტრუქტურაზე, მუშაობის პრინციპებზე, სამომავლო გეგმებსა და ერთობლივ გამოფენებზე, — განაცხადა ეროვნული არქივის წარმომადგენელმა თეა ქიმერიძემ.

თეონა იაშვილი ესტუმრა რომის სახელმწიფო არქივსაც, სადაც შეხვედრა გამართა არქივის დირექტორთან, დაათვალიერა იქ დაცული დოკუმენტები, მათ შორის 1629 წელს რომში გამოცემული იტალიურ-ქართული ლექსიკონი, რომელიც რომის უნივერსიტეტის ფონდშია დაცული, გაეცნო დოკუმენტების დიგიტალიზაციის პროგრამასა და ელექტრონული არქივების მუშაობის პრინციპებს.




სამომავლოდ დაიგეგმა იტალიის რესპუბლიკის კულტურული მემკვიდრეობის სამინისტროს არქივების გენერალური დირექტორატის დელეგაციის საპასუხო ვიზიტი საქართველოში.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულმა არქივმა განვლილი ნახევარი წელი შეაჯამა. მისი წარმომადგენლის თეა ქიმერიძის თქმით, არქივი 2012 წლის 6 თვის განმავლობაში 22 ათასამდე მოქალაქეს მოემსახურა. საისტორიო, უახლესი ისტორიის, კინოფოტოფონოდოკუმენტების, ქუთაისის ცენტრალური, ასევე, ადგილობრივი არქივებიდან 21021 თემატური და სოციალურ-უფლებრივი ხასიათის ცნობა გაიცა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი პასუხებით.

— ამავე პერიოდში ეროვნული არქივის მკვლევართა დარბაზებში იმუშავა 446 მკვლევარმა, მათ შორის 30 უცხოელი იყო — ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, თურქეთის, ისრაელის, ირანის, სომხეთის, აზერბაიჯანის, პოლონეთის, ლიტვის, რუსეთის მოქალაქეები. უცხოელი მკვლევრების დაინტერესების საგანს წარმოადგენდა თემები: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918-21 წლებში; სამხრეთ კავკასია საზღვარგარეთის ქვეყნების პოლიტიკაში; ჩრდილოკავკასიელ ხალხთა გამათავისუფლებელი მოძრაობა; დაღესტან-საქართველოს ისტორიულ-კულტურული კონტაქტები; მეფის რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკა სამხრეთ აზერბაიჯანში; კავკასია XIX-XX საუკუნეებში; სახელოვნებო დაწესებულებები 1920-30-იანი წლების კავკასიაში. საქართველოს ეროვნული არქივი მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს შემდეგ მომსახურებას უწევს: სამკითხველო დარბაზებში დოკუმენტების გაცნობა; დოკუმენტების ქსეროასლების დამზადება და ციფრულ ფორმატზე გადატანა; დოკუმენტების შესახებ საინფორმაციო ცნობისა და ანალიტიკური მიმოხილვის მომზადება; ფოტოდოკუმენტის ნეგატივიდან ანაბეჭდის დამზადება; კინოდოკუმენტების ეკრანზე ჩვენება და ციფრულ ფორმატზე გადატანა; ფონოდოკუმენტის მოსმენა და ციფრულ ფორმატზე გადატანა; აუდიოსტუდიაში ფონოჩანაწერის დამზადება. ეროვნულ არქივში მოქალაქეებს შეუძლიათ მიიღონ სოციალურ-უფლებრივი ხასიათის ცნობები: დაბადების, გარდაცვალების, ქორწინების ცნობა; რეპრესიისა და რეაბილიტაციის ცნობა; სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობა; გენეალოგიური და ბიოგრაფიული ხასიათის ცნობა; ქონებრივი უფლების დამადასტურებელი ცნობა, — განაცხადა თეა ქიმერიძემ.

## კროსვორდი



**შვეულად:** 1. ქართველი მეცნიერი გეოდეზიის ფუძემდებელი საქართველოში; 2. ქუჩის ტელეფონ-ავტომატი; 3. მე-19 საუკუნის ცნობილ ქართველ ოქრომჭედელთა გვარი; 4. ერთ-ერთი უდიდესი ატომური ელექტროსადგური საფრანგეთში; 5. შავი ფერის მტაცებელი ფრინველი; 9. საკურორტო ცენტრი ფლორიდაში; 11. გამჭვირვალე ქსოვილზე ან მინაზე ორივე მხრიდან დახატული სურათი; 12. ხელოვნურად გაშენებული ტყის მასივი; 14. იურიდიულად გაფორმებული სავალო ხელწერილი; 18. სახელმწიფო აზიაში; 19. საარყე ტიკჭორა.

**თარაზულად:** 4. ფრანგი მხატვარი, ფოტოგრაფიის გამომგონებელი; 5. ქართველ მამაკაცთა ძველებური თავსაბურველი; 6. მწყემსი სამხრეთ ამერიკაში; 7. მეხსიერების დაკარგვა; 8. მკვახე, უმწიფარი ყურძენი; 10. ოქროს ვარაყის ძველი ქართული სახელწოდება; 13. საჩუქრად მირთმეული რამე; 15. ტვირთის მზიდავი, მებარგული იტალიაში; 16. მტაცებელი ფრინველი; 17. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონას" ფეხბურთელი; 20. რამდენიმე სახელმწიფოს მეთაურთა სამუშაო თათბირი; 21. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 22. შავი, ტკბილი ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი; 23. კუთხე საქართველოში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

[illegible]

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. ფასადი; 4. კანტორა; 7. მაიორი; 9 მაკაკი; 11. ტერიერი; 12. კამპუჩია; 13. იქედნე; 17 სელაპი; 18 ბოლი; 19 ანტიკვარი; 20. დირიჟორი.

**შვეულად:** 1. ფონი; 2. დაირა; 3. სტიგმა; 5. ავაზა; 6. რადიაცია; 8. ფლექსატონი; 10. არაქისი; 12. კანკანი; 14. პლევრა; 15. ფიზიკა; 16. კრივი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ანოა; 2. მანდოლინა; 3. ნოტა; 4. სეკანსი; 5. ას; 6. ოშკი; 7. მატლი; 8. ლატარია; 9. ივ; 10. სამაია; 11. გარანტია; 12. პაპა; 13. პაბლისიტი; 14. პლატო; 15. კომბლე; 16. ბუ; 17. იმა; 18. ელი; 19. ლამპიონი; 20. მერილ; 21. თერმოსი; 22. ატამი; 23. ესტამპი; 24. მეკონგი; 25. პიერ; 26. ლიბერია; 27. ბი; 28. სამოსელი; 29. სი; 30. იოტა; 31. კრიზისი.

**სურათებზე:** რებეკა რომეინ სტამოსი; ფრენკ რიბერი.

# სირიამ, შესაძლოა, ქიმიური იარაღი გამოიყენოს

უცხოური სამხედრო ჩარევის შემთხვევაში, სირია ქიმიურ იარაღს გამოიყენებს.

„რია ნოვისტის" ცნობით, ეს განცხადება სირიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა, ჯიხად მაკდისიმ, დამასკოში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

— ჩვენ ქიმიურ იარაღს მხოლოდ გარე აგრესიის შემთხვევაში გამოვიყენებთ, — განაცხადა მაკდისმა.

თეთრი სახლის ოფიციალური წარმომადგენელი ადრე აცხადებდა, რომ თუ ასადი აჯანყებულების წინააღმდეგ ქიმიურ იარაღს გამოიყენებს, ამისათვის მას პასუხი მოეთხოვება.

სირიაში არსებულ ქიმიურ იარაღზე კონტროლის დაკარგვისა და ტერორისტთა ხელში მოხვედრის საშიშროებაზე შეშფოთება გამოთქვეს ისრაელის პრემიერ-მინისტრმა, ბენიამინ ნათანიაჰუმ და თავდაცვის მინისტრმა, ეჰუდ ბარაქმა.

შეგახსენებთ, რომ დამასკოს სხვა და სხვა რაიონებში ოპოზიციასა და სამთავრობო ჯარებს შორის შეტაკებები ამჟამადაც გრძელდება.

სირიის მთავრობის ერთ-ერთმა მაღალი რანგის დიპლომატმა — ყოფილმა ელჩმა ერაყში, რომელიც ბაშარ ასადს განუდგა, განაცხადა, რომ არაა გამორიცხული დამასკო უკვე იყენებდეს ქიმიურ იარარს ქვეყნის ცალკეეულ რეგიონებში.

ოპოზიციის სამხედრო დაჯგუფებებმა კი სიდიდით მეორე ქალაქს, ალეპოს შეუტიეს; ბრძოლა უკვე ქალაქის გარეუბნებში მიმდინარეობს. ამის შესახებ „როიტერი" იუწყება. აჯანყებულებმა შეძლეს ალეპოდან 10 კილომეტრში მდებარე სასწავლო-სამხედრო ბაზის აღება. იქ მყოფი სამხედრო მოსამსახურეებიდან, ნაწილი აჯანყებულების მხარეს გადავიდა, ნაწილი — ტყვედ ჩაბარდა.



ოპოზიციის ხელთ აღმოჩნდა ბაზის საწყობებში განთავსებული საბრძოლო მასალა და ჯავშანტექნიკა.

აჯანყებულთა კონტროლქვეშ გადავიდა სირია-თურქეთის საზღვარზე, თურქეთში გადასასვლელი კიდევ ერთი ბაბ ას-სალამის უღელტეხილი.

მანამდე, სირიის სამთავრობო არმიის ქვედანაყოფებმა დამასკოს აჯანყებულებისაგან გაწმენდა და დედაქალაქზე კონტროლის დამყარება შეძლეს.

დამასკოში უკვე რამდენიმე დღეა ინტენსიური ბრძოლები მიმდინარეობს. რამდენიმე დღის წინ კი, აფეთქების შედეგად დაიღუპა სირიის თავდაცვის მინისტრი, მისი მოადგილე, რომელიც ასადის სიძეც იყო, ასევე ასადის პირადი მრჩეველი და დაზვერვის შეფი.

როგორც აღვნიშნეთ, ამბოხებულებმა აიღეს მესამე სასაზღვრო პუნქტი ერაყთან და სამხედრო სასწავლებელი. თუმცა, დღესვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ სამი სასაზღვრო პუნქტიდან ამბოხებულებმა ორი უკვე დაკარგეს.

სირიიდან გაქცეული სამხედრო პირების განცხადებით, სასაზღვრო პუნქტებს სტრატეგიული მნიშვნელობა არ აქვთ, თუმცა შესაძლოა გამოიწვიოს სამთავრობო ჯარების დემორალიზაცია.

თურქეთმა საბრძოლო რაკეტები სირიის საზღვართან განალაგა, სადაც აჯანყებულებსა და ასადის სახელისუფლო რაზმებს შორის ბრძოლა მიმდინარეობს.

„ფრანს პრესის" ინფორმაციით, რაკეტების რაოდენობა უცნობია, თუმცა თურქული არხის მიერ გავრცელებულ კადრებში კარგად ჩანს ხუთი მატარებლის ვაგონი, რომლითაც რაკეტები გადააქვთ.

ბრძოლები თურქეთ-სირიის საზღვართან ამ წუთებშიც მიმდინარეობს. დღეს ასადის სახელისუფლო რაზმებმა კიდევ ერთი სიმაგრე -ბაბ ალსალამი ჩააბარეს აჯანყებულებს.

„ევრონიუსის" ინფორმაციით, სირიის აჯანყებულებთან აქტიურად თანამშრომლობს „ალ-ქაიდა", მისი დაახლოებით 6000-მდე წევრი სირის აჯანყებულთა არმიაში იბრძვის. აჯანყებულთა რიგებში ალჟირელი, საუდიის არაბეთის, ეგვიპტის, ტუნისისა და ჩეჩნეთის წარმომადგენლები იბრძვიან.

ამას ვიდეოს გავრცელებული კადრებიც მოწმობს, სადაც აჯანყებულები „ალ-ქაიდას" დროშებით მიდიან და ხმამაღლა სკანდირებენ, რომ ისინი ისლამურ სახელმწიფოს აშენებენ.

გაეროს მონაცემებით კი, სირია 150 000-მდე ადამიანმა უკვე დატოვა, მათ მეზობელ ქვეყნებს შეაფარეს თავი.

ამ ფონზე, არაბული სახელმწიფოების ლიგის საგარეო საქმეთა მინისტრებმა სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადს გადადგომისკენ მოუწოდეს.

ასადის ოჯახს მინისტრებმა ქვეყნის დატოვება მოსთხოვეს. არაბული სახელმწიფოების ლიგამ სირიის ოპოზიციას გარდამავალი მთავრობის შექმნისკენ მოუწოდა.

ამ საკითხზე ლიგამ ყატარის დედაქალაქ დოჰაში გამართულ სხდომაზე იმსჯელა.

როგორც შეხვედრაზე მიღებულ განცხადებაში არის ნათქვამი, პრეზიდენტის თანამდებობიდან გადადგომა ქვეყანაში სისხლისღვრის შეჩერებას შეუწყობს ხელს. ამავე განცხადებით, არაბულ სახელმწიფოთა ლიგა ასადს დაეხმარება და მისი ოჯახის უსაფრთხოების უზრუნველყოფს.

— ეს ვაჟკაცური გადაწყვეტილება ნგრევისა და ადამიანების სიკვდილის შეჩერებას შეუწყობს ხელს, — ნათქვამია განცხადებაში.

სხდომის მონაწილეთა თქმით, სირიაში გაეროს მისიის წარმომადგენლები ძალაუფლების მშვიდობიანი გადაცემისათვის ძალისხმევას არ დაიშურებენ.

ბაშარ ასადმა კი ახალი ბრძანება გამოსცა. მან სახელმწიფო ჯარს მოუწოდა გააორმაგონ ძალები დამასკოსა და ალეპოში აჯანყებულთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

ევროკავშირმა კი სირიის წინააღმდეგ ახალ, სანქციების მე-17 პაკეტს დაუჭირა მხარი.

„ფრანს პრესის" ცნობით, აღნიშნულ „შავ სიაში" ევროკავშირმა 49 სირიული კომპანია და სირიის 129 მოქალაქე შეიყვანა.

შეგახსენებთ, რომ სირიაში ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის შეიარაღებული დაპირისპირება წელიწადზე მეტია გრძელდება. ოპოზიცია პრეზიდენტ ბაშარ ასადის გადადგომას ითხოვს. სხვადასხვა მონაცემით, კონფლიქტის დროს 12 000-დან 17 000-მდე ადამიანი დაიღუპა.

# ირანი მზადაა, ურანის გამდიდრების პროცესი 56 პროცენტამდე გაზარდოს



იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო საზოგადოება ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით, თეირანზე ზეწოლას გააგრძელებს, ირანი მზადაა ურანის გამდიდრების პროცესი 56 პროცენტით გაზარდოს.

ამის შესახებ ირანის სულიერი ლიდერის აიათოლა ჰამენეის თანაშემწემ რეზა ტაკავიმ განაცხადა.

მანამდე, ირანმა საერთაშორისო შუამავლებს გადასცა დოკუმენტი, სადაც ის პირობები ეწერა, რა შემთხვევაშიც გააგრძელებენ საერთაშორისო საზოგადოებასთან მოლაპარაკებების პროცესს ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით.

დოკუმენტის თანახმად, ირანის ხელისუფლება საერთაშორისო საზოგადოებასთან დიალოგს მხოლოდ იმ შემთხვევაში განაახლებს, თუ თეირანს საერთაშორისო საზოგადოების სრულუფლებიანი წევრის სტატუსი დაუბრუნდება.

შეგახსენებთ, რომ დასავლეთის ქვეყნებმა და აშშ ირანს სანაქციები მას შემდეგ დაუწესა, რაც თეირანმა ბირთვული პროგრამის ფარგლებში ურანის 20 პროცენტით გამდიდრება დაიწყო.

დასავლეთი და აშშ შიშობენ, რომ ირანი ბირთვულ პროგრამას არამშვიდობიანი მიზნებისთვის გამოიყენებს, თუმცა თეირანი აღნიშნულ ბრალდებებს უარყოფს და აცხადებს, რომ მათი ბირთვული პროგრამა მხოლოდ მშვიდობიან მიზნებს ემსახურება.

ამასთან, ირანის ხელისუფლების განცხადებით, ორი ტერორისტული ქსელი აღმოაჩინეს, რომლებიც ირანელ ფიზიკოს მეცნიერებზე თავდასხმაზე არიან პასუხისმგებელნი.

ირანის დაზვერვის საქმეების მინისტრმა ჰეიდარ მოსლეჰმა განაცხადა, რომ მათ ორ ქსელს მიაგნეს: ერთ-ერთს თავად ირანში, მეორეს კი-საზღვრებს გარეთ.

გასული წლის ივლისში ფიზიკოს დარიუს რეზაინეჯადზე მოხდა თავდასხმა. მკვლელობიდან ერთი წლის შემდეგ მოსლეჰი აცხადებს, რომ მკვლელები ყველანაირად ეცადნენ კვალი არ დაეტოვებინათ, თუმცა მაინც დაუშვეს ისეთი შეცდომა, რომლის წყალობითაც მათი ქმედების გახსნა გახდა შესაძლებელი.

მთლიანად, ირანელ სპეცსამსახურებს ფიზიკოსებზე თავდასხმის 30 სავარაუდო ეჭვმიტანილი ჰყავთ დაკავებული. ოპერაციის დეტალები ცნობილი არ არის. მოსლეჰის განცხადებით, მათ უკან უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები დგანან.

თეირანმა, ადრე არაერთხელ დაადანაშაულა ისრაელი, ამერიკა და დასავლეთი ქვეყნის მიერ ბირთვულ პროგრამაზე მუშაობაში ფარულად ხელის შეშლაში.

ირანელ ფიზიკოსებზე და ბირთვულ ობიექტებზე თავდასხმის სია არც თუ ისე მცირეა:

2010 წლის 12 იანვარს თეირანში პროფესორი მასუდ ალი მოჰამედი მოკლეს. იმავე წლის ნომებერში კი, თეირანის სხვადასხვა რაიონში ფიზიკოსებზე-მაჯიდ შაჰრიარზე და ფერეიდუნ აბას დავანზე მოხდა თავდასხმები. აქედან შაჰრირი გადარჩა.

2011 წლის ნოემბერში სოფელ ბიგდანის სამხედრო ობიექტთან დიდი აფეთქება მოხდა, რასაც გენერალი ჰასან ტაჰრან მოგადამი და 11 ოფიცერი ესმხვერპლა. 2011 წლის ბოლოს ისპაჰანში აფეთქება მოხდა ურანის გამამდირებელ ქარხანასთან. 2011 წლის დეკემბერში კი, აფეთქება მოხდა ქალაქ იაზდში, სადაც დაუდასტურებელი ინფორმაციით ის ცენტრიფუგები მზადდებოდა, რომელსაც ურანის გასამდიდრებლად იყენებენ. 2012 წლის იანავრში თეირანის ჩრდილოეთით ავტომანქანის აფეთქებას 32 წლის თეირანის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროფესორი მუსტაფა აჰმედ როშანი ემსხვერპლა. იგი ნათანზში ურანის გამამდირებელ ქარხანას ხელმძღვანელობდა.

მოამზადა ვერა მამულაშვილმა

## ევროპაში სოციალურ აფეთქებას პროგნოზირებენ

დასაწყისი მე-10 გვერდზე

გარღვევა და კონგრესის შენობისკენ წასვლა სცადა. დემონსტრანტების წინააღმდეგ, რომლებმაც ნაგვის ურნების დაწვა დაიწყეს, პოლიციას რეზინის ტყვიების გამოყენება მოუხდა.

ამ ფონზე, საბერძნეთის ევროზონიდან გასვლაზე ისევ ალაპარაკდნენ.

— მე სკეპტიკურზე უარესად ვარ განწყობილი, — განაცხადა გერმანიის ფინანსთა მინისტმრა ფილიპ რესლერმა საბერძნეთზე საუბრისას. მისი თქმით საბერძნეთში ჩატარებული რეფორმები წარუმატებელი იყო. ამის გამო, ეჭვქვეშ დგება საბერძნეთის დახმარების ახალი პაკეტების შემუშავება, ეს კი საბოლოოდ აიძულებს საბერძნეთს დატოვოს ევროზონა.

საბერძნეთში უკვე ერთი წელია ეკონომიკური კრიზისია. საბერძენთის მთავრობის რეფორმებმა მოსახელობაში პროსტესტი გამოიწვია და საჭირო გახდა ვადამდელი არჩევნები. არჩევნებში კი მემარცხენეები ლიდერობენ, რომლებიც უარს იძახიან ევროპის დახმარებაზე.

ეკონომიკური კრიზისი, პოლიტიკურშიც გადაიზარდა რადგან პარლამენტში არცერთს პარტიას არ აქვს უმრავლესობა, ხოლო მათი პოზიციები კი მკვეთრად განსხვავდება.

ცფვუკჯდბფპჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ



მეუღლე ბაბუცა კორსანტია, შვილები გოჩა (გიორგი) და მედეა კორსანტიები, რძალი ტატიანა გოლდენბერგი, შვილიშვილები მარიამი და თამარი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მიშა (მიხეილი) სოლომონის ძე კორსანტია**

პანაშვიდი: 24, 25 ივლისს, 17 საათზე.

დაკრძალვა: 26 ივლისს, 14 საათზე.

მისამართი: თემქა, IX კვარტალი, „ბ" კორპუსი, ბინა 20.

სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის" კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება ფინანსური დირექტორის

**ლია ერქომაიშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრი" ღრმა მწუხარებით იუწყება დოცენტ

**ასლან ხაბაზის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს ოჯახს.

სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის" II განყოფილების თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან დოცენტ

**ასლან ხაბაზის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ინფექციურ დაავადებათა დეპარტამენტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან დოცენტ

**ასლან ხაბაზის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.

მეგობრები დიდი გულისტკივილით იუწყებიან უსაყვარლესი ადამიანის

**ვალიკო შომახიას**

გარდაცვალებას და ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

კოტე კვირტია ოჯახით იუწყება ძმისშვილის, ნანა კვირტიას მეუღლის

**შამილ გალაქტიონის ძე ცხაკაიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

დაკრძალვა: 26 ივნისს, 14 საათზე.
მისამართი: ქ.ქუთაისი, მგალობლიშვილის 1.

ცფვუკჯდბფპჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ვბბქტ,ფ .ჯდტკლქტ7 რდბპბც უფპლფ7 !@-ლფყ !& ცფფსფვლტ8

## TV პროგრამა

**სამშაბათი 24 ივლისი**

07.30 ჩვენი დილა 09.00, 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 11.00 სამოთხის ვაშლები 12.45 მხ. ფ. **"ნიანგი დანდი"** 14.30 დოკ. ფილმი "მსოფლიო ოდისეები" 15.00 სერ. **"დეტექტივები"** 17.00 მედინფო 17.30 დამზადებულია საქართველოში 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერ. **"ოჯახური გამოძიება"** 21.00 **ფეხბურთი: ზესტაფონი – ნეფტჩი** (პირდ.) 22.00 დიალოგი დ.პაიჭაძესთან. 00.00 მხ. ფილმი **"მწუხრი"** (ს. სარანდონი) 01.55 მხ. ფილმი **"სამოთხის ძახილი"** (ო. შარიფი) 03.35 მხ. ფილმი **"არტურ პეილის დეტექტივები"** (15)

08.00, 00.45 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 13.45, 19.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 დოკ. ფილმი 16.00 დოკ. ფილმი 17.00 სერ. **"მელოე შანსი"** 20.00 მხ.ფ.**"კოლდიცი"** 3-4 სერ. 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 01.00 მხ. ფ.**"ბოლო მომენტში"**

07.30 იმედის დილა 10.05 ან. ფილმი "სპანჯბობი" 10.30 სერ. **"მოპარული ბედნიერება"** 11.30 ქრონიკა+11.00, 11.30, 14.00, 17.00, 20.00, 01.30, 05.15, 07.00 ქრონიკა 11.50 სერ. **"უკვდავი ამბავი"** 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. **"ღვინის გზა"** 15.40 ღამის შოუ (გან.) 17.40 სერ. **"მეწამული ცა"** 18.40 სერ. **"შურისძიების სახელით"** 21.00 სერ. **"მემკვიდრეები"** 22.00 მხ. ფილმი 23.45 სპეც რეპორტაჟი (გან.) 00.45 მხ. ფ. "X **ადამიანები"** 03.10 მხ.ფ.**"მტრის საწოლში"** 04.45 მხ.ფ.**"წოდვის ქალაქი"** 07.15 მუსიკა.

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. **"დედის გული"** 11.00 სერ.**"ეჭვი და სიყვარული"** 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.00 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.30 ვანოს შოუ 17.00 სერ. **"ტერეზა"** 18.45 სერ. **"მგზნებარე გული"** 19.50 სერ.**"ველური ყვავილი"** 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 23.00 თქვენი შოუ 00.30 შუა დღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (ტიტ.)

08.00 ან. ფილმი 08.55 სერ. **"ჩემი შეყვარებული"** 09.45, 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 10.00 მხ. ფილმი 12.20 სერ. **"მარტოხელა მტრედის დაბრუნება"** 13.00 მხ. ფილმი 15.15 ან. ფილმი 16.05 ან. ფილმი 17.10 სერ. **"ელიზა და რივომბროზა"** 18.00 სერ. **"ინსპექტორები"** 19.00 გზა ლონდონისკენ 20.00 სერ. **"ტყუპები"** 21.00 სერ.**"გაუხსნელი საქმე"** 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი 01.50 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30, 15.15 დოკ. ფილმი **"დედამიწის საგანძური"** 10.30 დოკ. ფილმი "ჰოლივუდი მაფიის წინააღმდეგ" 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.25 სერ. **"საგა"** 12.50, 19.35 სერ. **"კეთილშობილი თაღლითები"** 13.50 სახლი ბათუმში 16.00 დოკ. ფილმი "პლატინის ქორწინებები" 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი "ჰოლივუდი მაფიის წინააღმდეგ" 19.30 ანონსი. 19.35 სერ. **"კეთილშობილი თაღლითები"** 23.00 დოკ. ფილმი "ისინი" 23.40 მხ. ფილმი **"მეფის გვარდიელები"**

**ერთსულოვნება** 08.30 განთიადი 10.00, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55 ისტორიის დღიური 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.35, 21.25 უწიგნოდ თვადთახედვის ისარი მოკლეა. 10.35 კვირიაკე 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 24.05 საეკლესიო კალენდარი. 12.15 მხ. ფილმი **თოჯინები იცინიან"**. 13.35 კონცერტი. 15.05, 18.55, 22.55 ერთი ნივთის ისტორია. 15.10 განთიადის სტუმარი. 15.40 დოკ. ფ. "ველური ბუნება". 16.05 დოკ. ფ. "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად". 16.30 მხ. ფილმი **"ჩრდილი გზაზე"**. 17.05 საუკუნის პორტრეტები – კირიონ II. 17.40 ქართული მონეტები. 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 18.10 100 ქართული ხალხური სიმღერა. 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი. 19.00 სიახლენი. 19.15 გამოყენებითი ხელოვნება. 19.30 დროის ჩანაწერები. 20.40 ძილი ნებისა 21.05 ფატრიარქის ქადაგება. 21.20 სალვთისმეტყველო საუბრებიყ 22.00 სიახლენი 23.15 დოკ. ფილმი "ხიდები სამშობლოსაკენ". 00.10, 02.30 სიახლენი. 00.30 განთიადის სტუმარი 00.55 ერთსულოვნების სალონი. 01.50 კარაბადინი. 02.15 კლასიკა.

ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba

24 ivlisi


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,6369
ევრო —2,0455
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5586
რუსული რუბლი — 0,0498

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 32-34, ღამით — 20-22.

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 27-30, ღამით — 17-18.

**ამინდის პროგნოზი 24 ივლისისთვის**




# რატომ გადავიდა დუტა იმედზე“?

ეკა ირემაშვილი

**შოუმენი და მსახიობი დუტა სხირტლაძე მშობლიურ ტელეკომპანია „რუსთავი ორს დაემშვიდობა“ და სამუშაოდ „იმედზე“ გადავიდა. შესაბამისად, ახალი სატელევიზიო სეზონიდან ტელეკომპანია „რუსთავი ორზე“ აღარ გავა ყველაზე რეიტინგული და მუსიკალური შოუ „ჯეოსტარი“, რომელიც წლების განმავლობაში მილიონობით მაყურებელს შემოიკრებდა გარშემო და თავისი ფავორიტისთვის აქტიურად დამესიჯებისკენ მოუწოდებდა. ამ პროექტმა საქართველოში არაერთი ნიჭიერი მომღერალი აღმოაჩინა — ოთო ნემსაძე, ნოდიკო ტატიშვილი, მარიტა როხვაძე, გიორგი სუხიტაშვილი, ანი კეკუა და სხვა მომღერლები. შესაძლოა, პროექტში ყველა გამარჯვებული ვერ გახდა, თუმცა ყველა კონკურსანტი დღესაც ქართულ შოუბიზნესშია და აქტიურად არიან დაკავებული კონცერტებსა თუ ღონისძიებებში.**

როგორც გაირკვა, „ჯეოსტარის“ წამყვანი და კომპანია „ჯეოსელის“ სახე, მსახიობი და შოუმენი დუტა სხირტლაძე, ტელეკომპანია „რუსთავი ორიდან“ „იმედში“ იმისთვის გადავიდა, რომ გრანდიოზული პროექტი „საქართველოს ხმა“ წაიყვანოს. გაუჭირდა თუ არა მრავალწლიანი თანამშრომლობის გაწყვეტა დუტას „რუსთავი ორთან“, ჩვენთვის უცნობია, რადგან მას არ უყვარს ჟურნალისტებთან ურთიერთობა და ნებისმიერ საკითხზე კომენტარს თავს არიდებს, მაგრამ ფაქტია, რომ დუტას წასვლამ პროექტი „ჯეოსტარი“ დახურა. როგორც „ახალი თაობისთვის“ გახდა ცნობილი, „რუსთავი ორი“ არა მარტო დუტა სხირტლაძემ, არამედ არხის მუსიკალურმა ხელმძღვანელობამაც დატოვა. „ახალი თაობა“ კომენტარისთვის მარინა ბერიძეს დაუკავშირდა:



— ქალბატონო მარინა, რამდენად აქტიურად ხართ ჩართული „რუსთავი ორის“ ახალ პროექტში „საქართველოს ვარსკვლავი“?

— არ ვარ ჩართული, რადგან ჩვენ წამოვედით „რუსთავი ორიდან“ და იქ აღარ ვმუშაობთ.

— „იმედზე“ ახალი პროექტი „საქართველოს ხმა“ იწყება. ამ პროექტში ხომ არ ჩაერთეთ?

— არა, ამ პროექტში საერთოდ არ ვარ ჩართული. ჩემი საქმეები მაქვს, სამსახური კულტურის სამინისტროში და სამომავლო გეგმები, რომელსაც აუცილებლად გაიგებთ.

„რუსთავი ორიდან“ მუსიკალური ხელმძღვანელობისა და დუტას წამოსვლამ განაპირობა ის, რომ „ჯეოსტართან“ ერთად დაიხურება გადაცემა „იღბლიანი ბორბალიც“. „ჯეოსტარის“ ნაცვლად კი ტელეკომპანია ეთერში გაუშვებს ახალ პროექტს სახელწოდებით „საქართველოს ვარსკვლავი“, რომელიც „ჯეოსტარის“ თარგმანია და ქართულად სწორედ საქართველოს ვარსკვლავს ნიშნავს, თუმცა, ვინაიდან „ჯეოსტარს“ კომპანია „ჯეოსელი“ წარმოადგენდა, ამ პროექტში გამარჯვებული სწორედ „ჯეოსელის“ ვარსკვლავი იყო და არა საქართველოსი.

„ჯეოსტარის“, დუტასა და მუსიკალური ხელმძღვანელობის გარეშე დარჩენილმა კომპანიამ უკვე დაიწყო მუშაობა ახალ პროექტზე და „საქართველოს ვარსკვლავმა“ მთელი საქართველოს მასშტაბით შესარჩევი ტურების ჩატარება დაიწყო. 16 ივლისიდან პირველი შესარჩევი ტური კახეთში თელავიდან დაიწყო, რომელიც გურჯაანში, ყვარელში, გორში, კასპსა და საქართველოს სხვა

გაგრძელება მე-8 გვერდზე

# ლონდონში გამგზავრების წინ საქართველოს ოლიმპიური ნაკრების წევრებმა ფიცი დადეს




**გუშინ ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში ფიცის დადების სიმბოლური ცერემონია გაიმართა. ფიცის ტექსტი ოლიმპიური ნაკრების ვიცე-კაპიტანმა, ძიუდოისტმა ვარლამ ლიპარტელიანმა წაიკითხა, რის შემდეგაც სპორტსმენებმა საქართველოს ეროვნული ჰიმნი მოისმინეს. სპორტსმენებთან ერთად ფიცის დადების ცერემონიალში მწვრთნელები, ფედერაციების პრეზიდენტები, ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილი და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლადო ვარძელაშვილი მონაწილეობდნენ.**

გუშინვე ოლიმპიური დელეგაცია პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილი მიიღო და წარმატებები უსურვა. ხვალ, გამთენიისას კი ქართული დელეგაცია ლონდონში, ოლიმპიურ თამაშებზე გაემგზავრება.

წლევანდელ ოლიმპიადაზე სპორტის 12 სახეობაში 35 ქართველი სპორტსმენი იასპარეზებს. გუნდის მედროშე და კაპიტანი ტყვიის მსროლელი ნინო სალუქვაძე იქნება. გეტყვით, რომ ნინო სალუქვაძე და მშვილდოსანი ქრისტინე ესებუა უკვე ლონდონში იმყოფებიან.

ოლიმპიური თამაშები 27 ივლისს გაიხსნება, მედლებისთვის ბრძოლაში კი ქართველთაგან პირველები ძიუდოისტები ჩაერთვებიან.

მ. ჟ.

.დტჯფვ უფბსლფჯბცობყტს=

fcnhjghjuyjpb @$ ბლჯბცბცსლბც

**ვერძი** — ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს. მოთმინებით აღიჭურვეთ. **კურო** — დაისვენეთ ოჯახის წევრებთან ერთად, იმუშავეთ ბაღში. **ტყუპები** — ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ნებისმიერ შემთხვევაში სიმშვიდე შეინარჩუნეთ. **კირჩხიბი** — თავმდაბლად იმუშავეთ. თქვენი შრომა დაფასდება. **ლომი** — კონფლიქტური დღეა. თავი შეიკავეთ ჩხუბში ჩართვისაგან. **ქალწული** — სიყვარულში გიმართლებთ. თაყვანისმცემლისგან სიურპრიზი გელით. **სასწორი** — შემოქმედებითი დღეა. ფანტაზიას გასაქანი მიეცით. **მორიელი** — დღეს, შესაძლოა, ძველი ვალის დაბრუნება მოგთხოვონ. **მშვილდოსანი** — დღევანდელი საღამო მეგობრების წრეში გაატარეთ. **თხის რქა** — მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას არ აჩქარდეთ. დიდია მოტყუების ალბათობა. **მერწყული** — წადით საყიდლებზე. ნავაჭრი იღბლიანი იქნება. **თევზები** — ერიდეთ შორეულ მგზავრობას. შინ დარჩით და მსუბუქი საქმით დაკავდით.

უბცეჰდტ,ს ,ტლყბტჰ ლქტს=

hჰჯცლჯჰლბ ფ

**შვეულად:** 1. მატყლის სართავი უმარტივესი ბზრიალა ხელსაწყო; 2. სპორტის სათამაშო სახეობა; 3. ნარკოტიკული ნივთიერება; 5. სააღდგომო ნამცხვარი; 6. ნიგვზისა და ბადაგისაგან მომზადებული ქართული ნუგბარი; 8. თბილი დინება ატლანტიკის ოკეანეში; 10. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 12. აეროპორტი ბელგრადში; 14. ნიშა ოთახის კედელში, სადაც საწოლია გამართული; 15. ავსტრიის ფეხბურთელთა გუნდი; 16. პოპულარული ბალ-რესტორანი ძველ თბილისში.

**თარაზულად:** 1. ნაყვავილარი სახის მქონე მამაკაცი; 4. მთიანეთი აშშ-ში; 7. პოსტიმპრესიონისტი ფრანგი მხატვარი; 9. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში; 11. ღვთის სადიდებელი შეძახილი ქრისტიანულ მღვდელთმსახურებაში; 12. ქართველებით დასახლებული რაიონი აზერბაიჯანში; 13. ჩხიკვის მეორე სახელწოდება; 17. ბალეტ „დონ-კიხოტის“ პერსონაჟი; 18. პენიტენციალური დაწესებულება; 19. სპორტის ზამთრის სახეობა; 20. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული თურქეთში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა




# 4 ივლისიდან

გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად

## „ისტორია და ამოუცნობი სამყარო“




ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

იტალიური კრიმინალური დაჯგუფებები, რომლებსაც კრებითი სახელით — „მაფია“ მოიხსენიებენ, XIX საუკუნის 60-იანი წლებისთვის ტრადიციული ბანდიტიზმის ნიადაგზე აღმოცენდა და მთელი სიცილია მოიცვა. მისი გავლენა მალე გასცდა იტალიის ფარგლებს და XX საუკუნის დასაწყისში ორგანიზაციის ათასობით წევრი, მეტწილად არალეგალურად, შეერთებულ შტატებში დამკვიდრდა. მალე მაფიის საცეცები ამერიკის ცხოვრების ყველა სფეროს მოედო, ხოლო ნარკოტიკებით ვაჭრობის ინდუსტრიაში მისი წამყვანი როლის გამო, მაფიამ საკუთარი ქსელი ბრიტანეთში, კანადასა და ავსტრალიაშიც შექმნა.
მაფიის წევრთა უმრავლესობა დაუნდობელი, ანტისოციალური ელემენტი და კრიმინალი იყო. მიუხედავად ამისა, მათი „ლამაზი“ ცხოვრების სტილი საზოგადოებისთვის ძალზე მიმზიდველი აღმოჩნდა — ათასობით კანონმორჩილი მოქალაქე დგებოდა რიგში ე.წ. განგსტერული ფილმების სანახავად, ხოლო ცნობილი პიროვნებები განგსტერების მხრიდან მის მიმართ გამოჩენილი ყურადღებით იწონებდნენ თავს.
„მაფიის ისტორია“ ალ კაპონეს, ლაკი ლუჩიანოს, ბენჯამინ „ბაგსი“ სიგალის, ტომაზო ბუშეტას და სხვა ცნობილი „მაფიოზების“ ცხოვრებაზე, მათი ოჯახების, კოდექსის, დანაშაულებისა და მკვლელობების შესახებ მოგვითხრობს. იგი წარმოადგენს ვრცელ და ამაღელვებელ ამბავს, რომელიც გაჟღენთილია სისხლით და აღსავსეა მუხანათობით...